პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76 } მდივნის 10—58 ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისთვის—1 მ. და 20 კ. განცხადების: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

ოთხშაბათი, 15 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 287 (1742)

დღიური

- კომინტერნის აღმასკომის პლენუმის საბოლოო სხდომა გამართება დღეს.
- დაიხურა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.
- ბათუმში გაიხსნა რეიმდასის ინგლისის სექციის „პრეზრე - ური-ლობა".
- ტოკიოში დამთავრდა ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა.
- კანტონის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადავიდა ხან-კოუში.
- ევროპის ლითონის ტრესტში შედიან ავსტრიის, უნგრეთის და ჩეხო - სლოვაკიის მრეწველობის წარმომადგენელნი.

უშედეგოდ დამთავრდა

ერთა ლიგის საბჭოს ეხლახან დახურულ სესიის შესახებ ცნობები ძალიან კაპიტ-კუნტად მოდიოდა; სესიის სხდომები საიდუმლოებით იყო მოცული. რომ რაიმე, თუ გინდ მოჩვენებით, შეთანხმებისათვის მიეღწიათ, ამაზე ხმაურით ყურებს გამოგვიჭედავდნენ, როგორც ამას, მაგ. ლოკარნოში ჰქონდა ადგილი. რადიოს ძუნწი ინფორმაციის მიხედვით, სესიას არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სადაო საკითხი არ გადაუჭრია და ის უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ გერმანია პირველად მონაწილეობდა ერთა ლიგის მუშაობაში. როცა ვაი - ვაგლახით გერმანია მიღებულ იქნა ერთა ლიგაში, მას იმედი ჰქონდა, რომ ამით გახდებოდა ევროპის ხალხთა „ოჯახის" სრულუფლებიანი და თანასწორი წევრი. ეს მოლოდინი გაცრუვდა. სხვათა შორის საყურადღებოა, რომ, როგორც დეპეშა გადმოგვცემდა, ყველა მთავარ საკითხს, რომლებიც გერმანიას ეხებოდა, წინასწარ ამუშავებდა ელჩთა კონფერენცია გერმანიის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. მაშასადამე, გადაწყვეტილებები გერმანიის ზურგს უკან გამოქონდათ, რაც ნაკლებად ლაპარაკობს მის „სრულუფლებიანობაზე".

მაგრამ ეს „წვრილმანია". რა კი გერმანიამ ლოკარნოში დასდო საგარანტიო ხელშეკრულება და ამით უზრუნველყო საფრანგეთის უშიშროება, რაკი ის ერთა ლიგის წევრი გახდა, აქედან ცხადად გამომდინარეობდა ის დასკვნა, რომ მისთვის უნდა მოეხსნათ „მოკავშირეთა" სამხედრო კონტროლი, რომელიც გერმანიის სუვერენიტეტის უხეში შელახვის გამოხატულებაა. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი ამბობდა რეიხსტაგში: „გერმანიის ხალხში იმ ფსიქოლოგიური ლოდის დატოვება, რომელსაც ის გრძნობს გერმანიის ტერიტორიაზე უცხო ოფიცრების (საკონტროლო კომისიიდან) ყოფნასთან დაკავშირებით, შეუთავსებელი იქნებოდა ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის ფაქტთან და ლოკარნოს ხელშეკრულებათა ძალაში შესვლასთან.". ამიტომ გერმანია კატეგორიულად მოითხოვდა სამხედრო კონტროლის გაუქმებას, მით უფრო, რომ გერმანიის მატერიალური განიარაღება, რომლის განხორციელება და მეთვალყურეობა სამხედრო საკონტროლო კომისიას დაკისრებული ჰქონდა ვერსალის „ზავის" მიხედვით,— საერთოდ უკვე დამთავრებულია. მაგრამ ელჩთა კონფერენციამ არ დაადასტურა გერმანიის სრული განიარაღების დასრულების ფაქტი და „მოკავშირე"-თა კონტროლის მოხსნის საკითხში ლიგის ეხლანდელ სესიაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. მხოლოდ დაშვებული იქნა ამ კონტროლის გაუქმების შესაძლებლობა 1927 წლის პირველ თებერვლიდან, თუ ამას საჭიროდ დაინახავენ ლოკარნოს შეთანხმებაზე ხელმომწერი სახელმწიფონი. დღესდღეობით მდგომარეობა ძველი რჩება და ლიგის წევრი — გერმანია ისევ უცხოელ ოფიცრების სამხედრო კონტროლს ექვემდებარება. მისი მოხსნა დამოკიდებული იქნება ლოკარნოს ავტორთა „კეთილ" სურვილებზე, ან უკეთ, იმ ძალთა განწყობილებაზე, რომელიც შეიქმნება მათ შორის, და თვით გერმანიაზე, თუ რამდენად მოიგებს ის „ამა ქვეყნის ძლიერთა" გულს.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა განეხილა ერთა ლიგის სესიას, ესაა საერთაშორისო განიარაღების საკითხი. ერთი მხრივ არსებობს შეიარაღების სრული თავისუფლება, მეორე მხრივ — გერმანია სრულებით განიარაღებულია და ამასთან მის მიმართ ხორციელდება ცალმხრივი კონტროლი. გერმანია აცხადებს, რომ ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს ერთა ლიგის შიგნით და მოითხოვს საყოველთაო განიარაღების გატარებას. ნამდვილად კი გერმანიის ამ არგუმენტაციის აზრი შემდეგია: რაკი სხვა სახელმწიფოები—ლიგის წევრები — შეიარაღებას არ ამცირებენ, პირიქით — აძლიერებენ, რადა მე უნდა შევადგინდე გამონაკლისს, მეც, როგორც ლიგის წევრს, უნდა მომეცეს შეიარაღების საშუალება. ამნაირად, გერმანიის მიერ საყოველთაო განიარაღების მოთხოვნა ნიშნავს მისთვის შეიარაღების უფლების მინიჭებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში მას მხარს უჭერს ინგლისი, რომელიც მოწადინებულია შეიარაღებული გერმანია დაუპირდაპიროს საფრანგეთის სამხედრო სიძლიერეს და ამით უკანასკნელის საერთაშორისო გავლენა შეამციროს. როგორც საერთოდ სჩვევია ერთა ლიგას, ეს საკითხიც გადადებულია შემდეგისათვის, გამოურკვეველ მომავლისათვის.

მესამე საკითხი, რომელიც შეადგენდა ლიგის საბჭოს სესიის განხილვის საგანს, -ეს იყო გერმანიის მოთხოვნა მისი ოკუპაციაქმნილ ტერიტორიების დაცლის შესახებ. ეს მოთხოვნა თითქო სავსებით ბუნებრივი და კანონიერი უნდა იყოს ლოკარნოს ხელშეკრულებათა დადების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შემდეგ. თავის თავად ცხადია, რომ შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებაზე, მით უმეტეს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებაზე, სანამ გერმანიის მიწა-წყალი „მოკავშირეთა" და პირველ ყოვლისა საფრანგეთის ჯარებითაა დაკავებული. ოკუპაცია კი გრძელდება. ლოკარნოში გერმანიას შეჰპირდენ საოკუპაციო ჯარების რამდენიმედ შემცირებას რეინის ოლქში, მაგრამ ეს დაპირებაც არ არის შესრულებული, რომ არ ვილაპარაკოთ ოკუპაციის მთლად მოხსნაზე. ლიგის საბჭოს სესიამ დაადგინა საარის ოლქის ევაკუაციის საკითხის განხილვა გადასდოს მარტის სესიამდე. მიაქციეთ ყურადღება: არა საარის ოლქის განთავისუფლება, არამედ მხოლოდ საკითხის განხილვა. და ეს „განხილვა" შეიძლება წლობით გაგრძელდეს. რაც შეეხება რეინლანდის დაცლას, ამაზე სესიას სიტყვაც არ დაუძრავს.

ამნაირად, გერმანიის არც ერთი პრეტენზია არ არის დაკმაყოფილებული. თუმცა ის ფორმალურად ერთა ლიგის სრულუფლებიანი და თანასწორი წევრი შეიქმნა, თუმცა ის გაბედნიერებულ იქნა ევროპის „დიდ სახელმწიფოთა ოჯახში" შეყვანით, მაგრამ ამას მისთვის რეალური სარგებლობა ჯერ არაფერი მოუტანია, ის წინანდებურად უცხო სახელმწიფოთა მონობაში იმყოფება არსებითად.

ლიგის საბჭოს კულისებში, უეჭველია, დიდი ვაჭრობა და შეხლა-შემოხლა წარმოებდა იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ოფიციალურად იდგენ სესიის დღის წესრიგში, ისე, ალბად, მრავალ სხვა საკითხების გარშემოც. და ამ ბრძოლას უმთავრესად ისევ ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობები უდევს საფუძვლად. ინგლისი მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძვის, რომ ჩაშალოს ის შეთანხმება, რომელსაც საძირკველი ტუარიში ჩაეყარა. ამისათვის ის იყენებს იტალიას და გერმანიას. ხდება უკანასკნელთა ერთმანეთთან დაახლოვება. ორივე ცდილობს კოლონიების დაუფლებას საფრანგეთის ხარჯზე და აქ მათ ლონდონის მთავრობა უმაგრებს ზურგს. ამასთან აღსანიშნავია, რომ წარმოებს მუშაობა გერმანიის და ინგლისის მრეწველთა შესაკავშირებლად და იმ შეთანხმებათა დასაშლელად, რომელიც დაიდო გერმანია-საფრანგეთის კაპიტალისტებს შორის.

იმპერიალისტურ ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობამ პოვა გამოხატულება ერთა ლიგის საბჭოს ეხლანდელ სესიაზედაც, რამდენადაც საქმე გერმანიას ეხებოდა, და შეუძლებელი გახადა ამ მხრივ რაიმე შეთანხმების მიღწევა. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელმა სესიამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ლიგის უძლურება და ფუჭობა მშვიდობიანობის საკითხების მოწესრიგებაში.

სოციალ-დემოკრატების „მუშაობა"

როგორც ცნობილია ინგლისელ მემაღაროელების დამარცხებაში თავიანთი „წვლილი" შეიტანეს არა მარტო ინგლისელმა რეფორმისტებმა. დიდი „ღვაწლი" მიუძღვის ამ მხრით გერმანიის პროფბიუროკრატებსაც. იმის მაგიერ, რომ გერმანელ მემაღაროელთა კავშირის დახმარება აღმოეჩინა ინგლისელ თანამოძმეებისათვის გაფიცვით, მათ სამოქალაქო ზავი შეკრეს „თავიანთ" მეპატრონეებთან. საერთო ძალით მათ შესძლეს ხელში ჩაეგდოთ ინგლისის ქვანახშირის ბაზარი, თავისკენ გადაიბირებიათ ინგლისის ქვანახშირის მუშტრები და ამნაირად დაიპყროთ ახალი პოზიციები, რომლებიც წინეთ ინგლისის ქვანახშირის მეპატრონეებს ჰქონდათ ხელში. გაფიცვის გამო ინგლისის ქვანახშირის მეპატრონეებმა ქვანახშირი ვერ მიაწოდეს თავიანთ მუშტრებს და ამ უკანასკნელებმაც პირი იბრუნეს გერმანიის ქვანახშირისაკენ.

გერმანელ რეფორმისტების დახმარებით მოიგეს გერმანელმა კაპიტალისტებმა.

ასეთ პირობებში ე. ი. მას შემდეგ რაც ქვანახშირის გასაღების ბაზარი ხელთ იგდეს გერმანიის მაღაროების პატრონებმა, მათ მიმართეს თავიანთ ინგლისელ თანამოძმეებს წინადადებით, რომ ეცნოთ „მომხდარი ფაქტი" ე. ი. დათანხმებულიყვნენ ქვანახშირის ბაზრების მშვიდობიან განაწილებაზე, როგორც ეს მოხდა „ბუნებრივად", გაფიცვის შედეგად. ამაზე მათ მიიღეს კატეგორიული უარი და „დაპირება": ჩვენ არავითარ ზომებს არ დავერიდებით უკანვე დავიბრუნოთ დაკარგული ბაზრებიო. ამნაირად იწყება ომი ეკონომიურ ნიადაგზე ინგლისსა და გერმანიის მაღაროს მეპატრონეებს შორის. მოგებული ამ ომში გამოვა ის, ვინც უფრო იაფათ გაასაღებს მომავალში ქვანახშირს. აქედან — ორივე ჯგუფი კაპიტალისტებისა შეეცდებიან „თავიანთი" მუშების ხარჯზე გააიაფონ პროდუქცია. შედეგი იქნება სამუშაო დღის გადიდება და ხელფასის შემცირება, როგორც ინგლისში, ისე გერმანიაში.

გაზეთი „როტე ფანე", რომელიც თავის წერილში „ინგლის - გერმანიის სანახშირო ომის" შესახებ, არჩევს შექმნილ მდგომარეობას სწერს შემდეგს: „გერმანიის პროფკავშირთა ბიუროკრატიის ღალატი ინგლისელ მემაღაროელებისადმი თავს დაატყდება გერმანელ მემაღაროებსავე. გაალმასებული იმპერიალისტური ბრძოლა, გამწვავებული შეტაკება ბაზრის დასაპყრობათ — ასეთია შედეგი გერმანელ მემაღაროელთა პროფკავშირის ბიუროკრატიის თანამშრომლობისა გერმანიის მაღაროს მეპატრონეებთან. არავის არ უნდა შეუვიდეს ეჭვი იმაში, რომ გერმანელი კაპიტალისტები, მაღაროს მეპატრონეები, რომლებიც იძულებული იქნებიან დაიწყონ ბრძოლა ინგლისელ კაპიტალისტების წინააღმდეგ, ამ ბრძოლას გერმანელ მუშების ხარჯზე დაიწყებენ და გააგრძელებენ. ისინი შეეცდებიან შეინარჩუნონ ინგლისელების ბაზრები და ამ მიზნით გაადიდებენ სამუშაო დღეს, შეამცირებენ სამუშაო ხელფასის ფონდს. ეს აუცილებლად ასე მოხდება, თუ გერმანელი მემაღაროელები მაგრად და შეკავშირებული მტკიცე რიგებით არ შეხვდებიან კაპიტალისტების ამ ცდას".

როგორი შედეგი მოჰყვა ამნაირად პროფბიუროკრატიის მოღალატურ პოლიტიკას. აი როგორი: მათ გასტეხეს ინგლისელ და გერმანელ მაღაროს მუშების სოლიდარობა და ხელი შეუწყვეს გაფიცულების დამარცხებას. მაგიერად კავშირი შეკრეს გერმანელ მაღაროს მუშების კლასიურ მტრებთან მაღაროს მეპატრონეებთან და ამით დაეხმარენ მათ ხელში ჩაეგდოთ ინგლისის ყოფილი ბაზრები. ხოლო ვინაიდან ბრძოლა იწყება ამ ბაზრებისთვის, გერმანელი კაპიტალისტები ცდილობენ შეამცირონ მუშების ხელფასი, გაადიდონ მათი სამუშაო დღე, რომ იაფათ დაიჯინონ პროდუქცია და ამნაირად ებრძოლონ თავიანთ ინგლისელ კონკურენტებს.

ამნაირად რეფორმისტების პოლიტიკამ, ღალატმა, მოგვცა მუშათა რიგების მათი სოლიდარობის დანგრევა, „თავიანთი" მეპატრონეების ზურგის გამაგრება და ამ „კეთილი საქმისთვის" გასამრჯელო კი არის მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება.

აი, რეფორმისტების. აი, სოციალ-დემოკრატების მოღალატური პოლიტიკის შედეგები.

ეს უნდა დაიმახსოვრონ მუშებმა.

X.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო

ამხ. ბუხარინის სიტყვა

მოსკოვი, 14 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის 9 დეკემბრის სხდომაზე ამხ. ბუხარინმა სთქვა:

პერმანენტული რევოლუციის თეორია

„მე უპირველეს ყოვლისა მსურდა რამოდენიმე შენიშვნა გამეკეთებინა ტროცკის სიტყვისათვის. უმთავრეს საკითხებს, რომლებსაც იგი შეეხო, მე ანალიზს გაუკეთებ ზინოვიევის სიტყვასთან დაკავშირებით, ვინაიდან მე მხედველობაში მაქვს ტროცკის სიტყვები იმის შესახებ, რომ ზინოვიევმა „სიუცხოვოდ დაამტკიცა" ჩვენი შეხედულებათა სიყალბე.

ტროცკიმ ამ ტრიბუნიდან სთქვა, რომ მას არ აქვს განზრახვა საჩივარი აღძრას ინტერნაციონალის წინაშე და, რომ მას არ სურს თავისი იდეების „დაცვა". მაგრამ ამ „იდეების" გამო არსებობს განსაზღვრული პოლიტიკური უთანხმოება. ამ უთანხმოებათა უმეტესი ნაწილი უკვე გადაწყვიტა ჩვენმა პარტიამ. მისი „იდეების" დაცვა ეხლა ნიშნავს ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ მოქმედებას. ამას ეწოდება აპელიაცია.

ტროცკიმ აქ განაცხადა, რომ ყველა უმთავრეს უთანხმოებებში ლენინსა და სხვა ამხანაგებს შორის, ლენინი ყოველთვის იყო პრინციპიალურად მართალი. ეს მართალია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხების იმ კომპლექსს, სადაც გამოაშკარავდა უთანხმოებანი და სადაც ლენინი სავსებით მართალი გამოდგა, ეკუთვნის პერმანენტული რევოლუციის თეორია. მაგრამ ტროცკიმ დღევანდელ სიტყვაში სთქვა, რომ იგი მხოლოდ ზოგიერთ „ხარვეზებს" ხედავს პერმანენტული რევოლუციის თეორიაში. თუ თქვენ ლაპარაკობთ მხოლოდ ზოგიერთი „ხარვეზების" შესახებ, მაშინ თეორია სავსებით, ალბად, ხელუხლებელი რჩება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს აღიარება სრულიად არაა საკმაო. როცა ტროცკი აფასებდა თეორიას მთლიანად, მას არ განუცხადებია, რომ ეს თეორია არაა მართალი.

ტროცკი აქ ამბობდა, რომ აზრი არ აქვს ცალკე ამხანაგების ბიოგრაფია განვიხილოთ. მაგრამ მაშინვე, ამ სიტყვების შემდეგ იგი გულმოდგინეთ შეუდგა მანუილსკის და პეპერის ბიოგრაფებს, რაც შეეხება ტროცკის ბიოგრაფიას, მის ცხოვრებას და მოქმედებას, მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ ამერიკაში მას ისეთივე ხაზი ჰქონდა, როგორც ლენინს და ვითომ მან თავისი ხაზი თითქმის ლენინზე ადრე აილო, მაზე ადრე გაითვალისწინა. მე ასე ვსთქვათ, ცოცხალი მოწმე ვარ სწორედ საწინააღმდეგო მოვლენისა. ტროცკი, მე ვფიქრობ, რომ იგი ამას არ უარყოფს, ამერიკაში ციმერვალდის მემარცხენეების სასტიკი მოწინააღმდეგე იყო; ეხლა კი ამას ეწოდება მოქმედება „ლენინის ხაზის მიხედვით". ეს, რბილად რომ გამოვსთქვათ, „ჭეშმარიტებიდან პატარა გადახვევაა" ძალიან დიდი მკვეხარობის გამო.

უცხოეთთან ურთიერთობის საკითხი

ეხლა არათანაზომიერი განვითარების საკითხის შესახებ. ტროცკიმ თავის სიტყვაში სთქვა, რომ ჩვენ გვაქვს ნიველიროვკის პროცესი მსოფლიო მეურნეობის ზრდის დარგში და სხ.

ეს ისეთივე ელემენტარული ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი-ოთხი. ამაზე არავინ დაიწყებს დავას. შემდეგ ტროცკი ისე ახასიათებს საქმის ვითარებას, რომ თითქოს ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში სავსებით აუხვია გვერდი ნიველიროვკის ტენდენციას. ეს არ არის მართალი. არავის არ უმტკიცებია ამის მაგვარი რამ.

ამ საკითხისადმი მარტივად მიდგომის დროს, ტროცკი საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შეფასებაში, კვლავ მეტად მარტივად განიხილავს საკითხს. მისი უმთავრესი თეზისი აქ არის: რაც უფრო მეტად განვვითარდებით, მით უფრო მეტად ვიქნებით დამოკიდებული მსოფლიო მეურნეობიდან. აქ იგი სვამს წერტილს. ეს სიმართლის მხოლოდ ნახევარია და ამიტომ არაა მართალი. ფაქტია ის, რომ ჩვენი განვითარების ეს პროცესი მსოფლიო ბაზართან დაკავშირებით წინააღმდეგობებითაა აღსავსე; ერთის მხრით, ჩვენ დიდად დამოკიდებულნი ვხდებით მსოფლიო მეურნეობისაგან, მეორეს მხრით—თუმცა ეს პარადოქსალურია,—ჩვენ სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელნი ვხდებით. ჩვენი ეკონომიური ბაზისი სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდება, როცა ჩვენ ვიყენებთ ჩვენს ურთიერთობას კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან. აქ დიალექტიური წინააღმდეგობაა. არ შეიძლება პროცესის ერთი ნახევარის დანახვა და მეორის სრულიად დავიწყება. ეს არაა საკითხის სწორი დაყენება. ჩვენ რომ ავილოთ მხოლოდ ერთი ნაწევარი ტროცკის მტკიცებასა საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ, მაშინ სხვა პერსპექტივას მივიღებდით. ეს იქნებოდა პერსპექტივა საბჭოთა კავშირის გადაქცევისა კაპიტალისტურ მეურნეობის შემადგენელ ნაწილად, მის დანართად. (ხმები: „მართალია").

ეს კი გადამწყვეტი მომენტია ტროცკის მთელ თეორიულ წყობაში. მაგრამ ტროცკიმ კიდევ მოიყვანა ერთი არგუმენტი. იგი ამბობდა, რომ არ უნდა დავივიწყოთ მთელი ჩვენი ეკონომიური ისტორია. განა შეუძლია რევოლუციონერს ასეთი რამის მტკიცება? რა აზრი ექნება ასეთი მდგომარეობას? მხოლოდ ერთი, სახელდობრ ის, რომ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცოტად თუ ბევრად განსაზღვრულ „ნახტომებს" ეკონომიკის განვითარებაში. ცხადია, რომ სრული განყენება, აბსტრაქცია ისტორიისაგან ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ თუ ჩვენ ასეთ რამეს ვამტკიცებთ, ეს უკვე არის რევოლუციონური გარღვევის უარყოფა, ეს განვლილი ეტაპისაკენ დაბრუნებაა. საკითხის ასე დასმა მეტად გამარტივებაა მისი და ამიტომ არაა სწორი.

სოციალიზმის ერთ ქვეყანაში განხორციელების საკითხი

უკანასკნელი შენიშვნა ტროცკის სიტყვაზე. ტროცკი სადავოდ ხდის სტალინის თეზისს იმის შესახებ, რომ სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში ნიშნავს „ჩვენი ბურჟუაზიის ძლევას ჩვენი საკუთარი ძალებით". მან გვიამბო ჩვენ იმის შესახებ, რომ ჩვენ უკვე ვსძლიეთ ჩვენი ბურჟუაზია. მის ფორმულაში ტროცკიმ გაუშვა სიტყვა „ეკონომიური". სტალინი ლაპარაკობდა არა პოლიტიკური ძლევის, არამედ ეკონომიური ძლევის შესახებ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მრეწველობაში, ჩვენს საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, ყველა ამ დარგებში განვდევნით ბურჟუაზიას. ამაზე კიდევ მეტიც, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვსძლევთ კაპიტალისტური ტენდენციების პერმანენტულ ზრდას, რომლებიც კვლავ იწყებენ აღმოცენებას გლეხური წვრილ-ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძველზე. თუ ჩვენ შევსძლებთ ამ ამოცანის შესრულებას, განა ეს არ ნიშნავს სოციალიზმის გამარჯვებას? ეს არის ტროცკის „პატარა შეცდომა", გამოტოვება ერთი სიტყვისა „ეკონომიური", მაგრამ სწორედ ეს ერთი სიტყვა არის გადამწყვეტი. სტალინი სავსებით მართალია, როცა იგი ასეთ ფორმულას აძლევს საკითხს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევა-მოსილად აღმშენებლობის შესახებ.

გადავდივარ ზინოვიევის სიტყვაზე და ტროცკის სიტყვის უმთავრეს ნაწილზე.

ვწუხვარ, რომ მე არ შემიძლია, ისე როგორც სხვა ამხანაგებს, წავიკითხო ზინოვიევის სიტყვა, თუმცა ყველა ამხანაგებმა დაინახეს, რომ ზინოვიევმა თავისი სიტყვა წაიკითხა, რომ მაშასადამე, იგი მზად იყო. მაგრამ ხელთნაწერი დაკავებულ იქნა, ალბად იმიტომ, რომ წაერთმიათ ჩვენთვის მისი გაცნობისა და პასუხის გაცემად მომზადების საშუალება. ეს, ასე ვსთქვათ, თვალთმაქცური მიდგომაა საქმისადმი წვრილმანებში. მაგრამ ასეთივე ორპირული მიდგომა აშკარავდება უფრო დიდ საკითხებშიაც.

ფიცი გვწამს—ბოლო გვაკვირვებს

ზინოვიევი და ნაწილობრივ ტროცკიც ამბობს, რომ ისინი „აპელიაციას არ ახდენენ". ეს აშკარად იყო ნათქვამი. ჩვენი ცეკა ასეთ გამოსვლას შეაფასებდა როგორც აპელიაციას, თუმცა ფორმალურად, ამხანაგებს, ცხადია, აქვთ გამოსვლის უფლება. ფაქტიურად აპელიაციას ახდენენ და ამავე დროს ფორმალურად აცხადებენ: „ჩვენ არ ვახდენთ აპელიაციას".

ეხლა გამოსვლის პოლიტიკური მხარის შესახებ. ზინოვიევმა სთქვა: „მე არ ვაწარმოებ ფრაქციულ ბრძოლას". მაგრამ როგორია საქმის ვითარება ფაქტიურად? ეს გამოსვლა აქ პლენუმზე ნიშნავს სწორედ ფრაქციული ბრძოლის გაგრძელებას საერთაშორისო მასშტაბით.

ამხანაგებმა დასწერეს, ასე ვსთქვათ, მთელი ოპოზიციური პლატფორმა: პირველი ნაწილი აქ წაიკითხა ზინოვიევმა, მეორე ნაწილი ჩაილაპარაკა ტროცკიმ, მესამე ნაწილს წაიკითხავს ან ჩაილაპარაკებს კამენევი. რა მიზანს ისახავს ეს გამოსვლა? მისი მიზნები აშკარა და ნათელია. ჩვენი პარტიის ოპოზიციის შემდეგ ძლიერი ოპოზიცია კომუნისტურ ინტერნაციონალში არის გერმანიის პარტიის ოპოზიცია, მაგრამ არც მას აქვს იდეოლოგიური პროდუქციის უნარი და საჭიროებს საერთაშორისო დახმარებას: საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის „სახელმწიფოებრივი დახმარების" გარეშე, გერმანიის კომპარტიის ოპოზიცია დაიღუპება. პერმანენტული რევოლუციის თეორია გამარჯვებულია ამ პუნქტში. „თვალის ასახვევად" ამხანაგები ლაპარაკობენ, რომ ფრაქციულ მუშაობას არ ეწევიან, ხოლო ფაქტიურად კი ჩვენ ვხედავთ უფრო მწვავე ფრაქციული ბრძოლის მზადებას უფრო ფართო მასშტაბით.

ეს არის პოლიტიკური თვალთმაქცობა.

ამასვე ვხედავთ ჩვენ დანარჩენ დარგებშიც. მე ვიტყვი, რომ ასეთივე მდგომარეობაა თითქმის სულ ყველა, ცოტად თუ ბევრად მსხვილ პოლიტიკურ საკითხის განხილვის დროს. ავილოთ თუნდაც სტაბილიზაციის პრობლემა. ჩვენ არა ერთხელ მიუთითებდით ზინოვიევს, რომ ერთ-ერთ თავის სიტყვაში ერთ და იმავე დროს ის ორ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ანვითარებდა. ერთის მხრივ ის „სცნობს შედარებით სტაბილიზაციას", ხოლო მეორე მხრით კი „არ სცნობს".

რა აზრი აქვს ასეთ თამაშს? ამის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტების ღალატი რომ არ გამოუვიდეთ, ოპოზიციონერები იძულებული არიან აღიარონ ნაწილობრივი სტაბილიზაცია, ხოლო „მემარცხენობის" თამაშის დროს, იძულებული არიან უარყონ ის.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ

ეხლა შევჩერდები ცნობილ საკითხზე სოციალიზმის მშენებლობის შესახებ საბჭოთა კავშირში. ტროცკი და ზინოვიევი გარკვეულ სტრატეგიას მიმართავენ ამ საკითხში, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა საკითხში. ეს სტრატეგია მდგომარეობს იმაში (დამახინჯებულია...) რომ სადისკუსიოთ გამოაქვთ არა ძირითადი, მთავარი უთანხმოების საკითხები, არამედ ისეთი საკითხები, რომლებიც დისკუსიის გარეშე დგანან.

რაში მდგომარეობს (დამახინჯებულია...) ერთი საკითხისა მეორეთი.

პირველი,—ჩვენ ყველანი გამოუკლებლად საერთაშორისო ხასიათს ვაძლევთ რუსეთის რევოლუციას, რომელიც მსოფლიო რევოლუციის შემადგენელი ნაწილია. ზინოვიევი და ტროცკი ჩვენ გვაწერენ შემცდარ და ამის საწინააღმდეგო აზრს. ამაში მდგომარეობს მათი მანევრი. ამ საკითხში არავითარი უთანხმოება არ არსებობს. ეს არის ცილის დაწამება მთელი ჩვენი პარტიისათვის.

მეორე,—ჩვენ ვაღიარებთ მეორე აქსიომას, რომელიც ღაღადებს, რომ სოციალიზმის საბოლოო პრაქტიკული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში სხვა ქვეყნების დაუხმარებლად და მსოფლიო რევოლუციის გაუმარჯვებლად შეუძლებელია.

ამ საკითხშიაც არავითარ უთანხმოებას ადგილი არა აქვს ჩვენს პარტიას და ოპოზიციას შორის. მაგრამ რატომ გვაწერენ ჩვენ ამის საწინააღმდეგო შეხედულებას? ეს იმიტომ, რომ ამხანაგების ყურადღება ძირითად სადაო პრობლემიდან გადაიტანონ სხვა პრობლემებზე, რომელთა გარშემო არავითარ დავას ადგილი არ აქვს.

საჭიროა გარკვევა სამ ძირითად საკითხში: პირველი—კაპიტალისტური ინტერვენცია თუ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მეორე—მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკა, მსოფლიო მეურნეობა და საბჭოთა კავშირი, მესამე—შინაური სიძნელენი, რომელთაც ჰქმნიან საბჭოთა კავშირში შინაგანი წინააღმდეგობანი. მე ვუახლოვდები პრობლემას შეიარაღებული ბრძოლის, ომისა და ინტერვენციის შესახებ. თუმცა ჩვენ ნაწილობრივ დამოკიდებული ვართ გარეშე კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, მაგრამ დღითი დღე სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ვხდებით. სოციალიზმი ჩვენში დღითი დღე განვითარდება. ამასთან ერთად გამწვავდება პრინციპიალური წინააღმდეგობანიც ჩვენსა და გარშემორტყმულ კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. ჩვენი რევოლუცია საძირკველს უყრის მსოფლიო რევოლუციას. მსოფლიო რევოლუცია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ არ შეიძლება ვიქონიოთ იმის იმედი, რომ რევოლუცია მრავალ ქვეყანაში მოხდება დაუყონებლივ და ერთსა და იმავე დროს. სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ადგილი ექნება ბრძოლას—ომებს. ისტორიამ პირდაპირ დასვა საკითხი—ვის ერგოს საბოლოო გამარჯვება. ან ჩვენ უნდა დავიპყროთ მსოფლიო, ან ბურჟუაზიამ, ეს უაღრესად ელემენტარულია. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება გულისხმობს სოციალიზმის დამყარებას მთელს მსოფლიოში. მხოლოდ ასე შეიძლება საკითხის დასმა. ბურჟუაზია იარაღით შეებრძოლება თვითეულ საბჭოთა სახელმწიფოს. სად არის იმისი გარანტია, რომ ჩვენ შევიძლება დამშვიდებით ვაშენოთ სოციალიზმი ამა თუ იმ ქვეყანაში, რომ შეიარაღებულ ჩარევას კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ ადგილი არ ექნება. რასაკვირველია, ასეთი გარანტია არ არის. პროლეტარულ ორგანიზაციების და კაპიტალისტურ სახელმწიფოების არსებობა დროებითი მოვლენაა. ჩვენ სავსებით გარკვევით ვლაპარაკობთ, რომ მსოფლიო რევოლუციის გარეშე, კაპიტალისტურ სახელმწიფოების გადამწყვეტ ცენტრებში პროლეტარიატის გამარჯვების გარეშე, ლაპარაკიც შეუძლებელია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე.

მეორე საკითხი—მსოფლიო კაპიტალისტური სახელმწიფო და საბჭოთა კავშირი. ეს სხვა ხასიათის საკითხია. არის თუ არა ჩვენი სახალხო მეურნეობა, ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა რამოდენიმედ დამოკიდებული მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობისაგან? რასაკვირველია, არის. ეს დამოკიდებულება ხდება ექსპორტ—იმპორტის, საკრედიტო ურთი-ერთობის, კონცესიების ხაზით. აი სამი მთავარი კალაპოტი ჩვენი ნაწილობრივი დამოკიდებულებისა გარეშე კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, მაგრამ ამ საკითხში უფრო სხვანაირი მიდგომაა საჭირო, ვინემ პირველ შემთხვევაში. განვიხილოთ, რა მოხდებოდა საბჭოთა კავშირის სრული ეკონომიური იზოლაციის, ჩვენი მეურნეობის ყოველმხრივი ბლოკადის შემთხვევაში. პრაქტიკაში ასეთი საყოველთაო ბლოკადა, ჩემის აზრით, შეუძლებელია, თუ ომი არ გამოგვიცხადეს. მაგრამ, ავილოთ პრაქტიკულად წარმოუდგენელი შემთხვევაც. სრული ბლოკადა ომის გარეშე.

ასეთ პირობებში აუცილებელია თუ არა ჩვენი დაღუპვა? ამ კითხვაზე ოპოზიციონერები არ იძლევიან პასუხს. ამავე დროს კი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩემი შეხედულობით, ჩვენ ამ შემთხვევაში არ დავიღუპებით. უკეთესი იქნებოდა, რომ ოპოზიციონერებს ამ ტრიბუნიდან აშკარათ მოეცათ პასუხი ამ კითხვაზე. განვითარების ტემპის შესახებ ვამტკიცებ, რომ ჩვენში ქალაქსა და სოფელს შორის დამყარებული ახალი ურთიერთობა პრინციპიალურად დაკავშირებულია უფრო სწრაფ ტემპთან.

რას ემსახურება ჩვენი ინდუსტრიალიზაცია

ჩვენი ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს არა გაღატაკების, არამედ, პირიქით, ჩვენი სოფლის მეურნეობის განმტკიცების საშუალებას. ჩვენ ვიცნობთ ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, სადაც განვითარების ტემპი ყველაზე უსწრაფესია. ეს არის ამერიკა. აიხსნება ეს იმით, რომ არ ყოფილა განვითარებული ფეოდალიზმი, რომ იქ ხელფასი იყო უფრო მაღალი, ვინაიდან ურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის არ ჰქონია ისეთი სახე, როგორც ძველ ევროპაში. აი რატომ იყო იქ უფრო სწრაფი განვითარების ტემპი. ჩვენს ქვეყანაში, სადაც არსებობს სოციალისტური დიქტატურა, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობანი სულ სხვა ფორმებში ყალიბდება, სადაც ინდუსტრიალიზაცია კი არ აღატაკებს, არამედ აძლიერებს სოფლის მეურნეობას, სადაც იგი ნიშნავს სახოფლო-სამეურნეო ბაზრის არა შეზღუდვას, არამედ პირიქით, მის სწრაფად განვითარებას, განვითარების ტემპი იქნება უფრო სწრაფი, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

რა დააშავა ზინოვიევს?

ზინოვიევი მოდის ჩვენთან და აცხადებს: რას სჩადიხართ თქვენ? თქვენ უარყოფთ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიც არის მსოფლიო ბაზარი. ჯერ კიდევ მარქსი ამბობდა, რომ ფასებს შინაურ ბაზარზე განსაზღვრავს მსოფლიო ბაზარი და სხვადასხვა.

ზინოვიევს შეუფერის გამბედაობა, რომ მარქსის ეს სიტყვები პირდაპირ უნდა იქნეს გავრცელებული ახლანდელ მდგომარეობასთან შეფარდებით. მაგრამ საქმის ვითარება ასე მარტივი როდია. ზინოვიევს ცოტა რამ დაავიწყდა ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ. უნდა მოვაგონოთ თქვენ, რომ როცა მარქსი ამას ამბობდა, მას მხედველობაში ჰქონდა, როგორც წინა-პირობა, თავისუფალი კონკურენციის არსებობა. სანამ ზინოვიევის თანამოაზრე სოკოლნიკოვს, რომელიც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმების მომხრეა, არ ჩაუშლია იგი, ზინოვიევის თეორეტიულ მოსაზრებებს აკლია მთავარი წინაპირობა. განსხვავების არდანახვა არსებულ მდგომარეობასა და თავისუფალი კონკურენციის ეპოქას შორის, როცა არ არსებობდა არც პროლეტარიატის დიქტატურა და არც საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ეს ნიშნავს მარქსის არცოდნას. ზინოვიევი ვერ ერკვევა არსებულ ფორმების თავისებურებაში, ისე როგორც მეორე პოლიტიკურ საკითხში, რომელიც მან აქ „გააშუქა". ზინოვიევმა მოიყვანა აქ ციტატა მარქსიდან, რომელმაც ერთხელ სთქვა, რომ რევოლუცია ევროპაში, თუ არ მოხდა რევოლუცია ინგლისში, იქნება „ქარიშხალი ჭიქა წყალში". მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენი რევოლუცია, მაგალითად, გერმანიის რევოლუცია, ეს არის ქარიშხალი ჭიქა წყალში? ამ შემთხვევაში თქვენ მეტად „ორთოდოქსალური მარქსისტები" ბრძანებულხართ.

ჩვენ არ გვინდება მარქსიზმის სახის შეცვლა, მაგრამ რა მოხდებოდა, რომ ჩვენ ახალი პირობების ანალიზი არ მოგვეხდინა მარქსისტული მეთოდის შემწეობით და ზინოვიევისებურად გამოგვეყენებინა მარქსის ციტატა: „რევოლუცია კონტინენტზე—ქარიშხალია ჭიქა წყალში".

ამ რიგად ერთის მხრივ მსოფლიო მეურნეობის და მეორე მხრით საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხში, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თვით უმწვავეს კონფლიქტის დროსაც (ბლოკადა, იზოლაცია) ჩვენი დაღუპვა არ არის აუცილებელი. ჩვენზე დიდ ძალდატანებას მოახდენენ, რაც დიდ სიძნელეებს გამოიწვევს, მაგრამ ეს სიძნელეები როდია დაუძლეველი. რაც შეეხება კაპიტალისტების გაერთიანებულ ომს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ არ გვაქვს იმის გარანტია, რომ ჩვენ აუცილებლად გაუძლებთ.

კაპიტალიზმის შერყევა და აფეთქება დანარჩენ ქვეყნებში პირველად შექმნის ასეთ გარანტიას.

რას ამბობს ოპოზიცია და რას ამბობდა ლენინი

მესამე საკითხი, არსებითად რომ ვსთქვათ, მთელი დისკუსიის დედა-ბოძია. ეს საკითხი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებულ პირობებში. თუ ჩვენი ტეხნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო აუცილებელია ჩვენი დაღუპვა „დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე". ეს ჩემი ფორმულიროვკით არის საკითხი რუსეთის რევოლუციის ხასიათის შესახებ, ანუ სტალინის ფორმულიროვკა რომ ვიხმაროთ, საკითხი—საკუთარი ბურჟუაზიის ეკონომიურად დაძლევის შესაძლებლობის შესახებ. შეიძლება თუ არა ეს საკითხი ზედმეტად ჩაითვალოს. არა.

სოციალ-დემოკრატები აშკარად აცხადებენ, რომ ისეთ წინასწარ პირობებში, როგორც არის რუსეთში: სუსტი მრეწველობა, ეკონომიკაში, გლეხურ მეურნეობათა რიცხობრივი უპირატესობა. ანტიმარქსისტი და უტოპისტი იქნება, ვინც წარმოიდგენს, რომ ამ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა შესაძლებელია. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ოპოზიციამ სავსებით გარკვეული პასუხი გასცეს ამ კითხვას.

ლენინის თვალსაზრისით ამ საკითხში სავსებით ნათელია. სტალინმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ლენინის ორი ციტატა: პირველი იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება „ყველა აუცილებელი პირობები სრული სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად". განა ეს საკმაოდ გარკვეული არ არის? მეორე ადგილას ლენინი ლაპარაკობს: „ჩვენ გვეკუთვნის გამარჯვება ეკონომიურ ბრძოლაში, თუ არ ჩაგვერევიან ინტერვენციით და ომით".

ლენინი ასე სწყვეტდა საკითხს.

თუ ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმის შენება, გვიჩვენეთ ჩვენ ის საზღვარი, ის მომენტი, რომლიდან სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა შეუძლებლად იქცევა.

ზინოვიევი აქ ამბობდა, რომ ეს საკითხი „არ გამწვავებულა" და სხ. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენ ეს საკითხი ოფიციალურად განვიხილეთ მე-14 კონფერენციაზე. სათანადო რეზოლიუციას, შემუშავებულს ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, ხმა მისცეს ყველა ამხანაგებმა, მათ შორის ზინოვიევმა და კამენევმა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყვავილია, ნაყოფი შემდეგში იქნება. მე ნებას მივსცემ თავის თავს მოვიყვანო ციტატა ზინოვიევის მიერ მე-14 კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვიდან. ლენინის ციტატის მოყვანის შემდეგ, ზინოვიევი სიტყვა-სიტყვით შემდეგს ამბობს: „სავსებით ნათელია, რომ ვლადიმირ ილიჩს შესაძლებლად მიაჩნია სრული სოციალიზმის დამყარება ისეთ ქვეყანაში, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენთ, თუ ჩვენ გარეშე ჩარევისაგან უზრუნველყოფილი დავრჩით, თუნდაც მარტო კოოპერაციის შემწეობით".

აქაც ისეთივე ამბავი ხდება, როგორც სტაბილიზაციის საკითხში. იმედს ამყარებენ ერთბაშად ივანეზედაც და ონოფრეზედაც. ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ზინოვიევი მოვა ჩვენთან და გვეტყვის „მე ამას ყოველთვის ვლაპარაკობდიო. თუ გნებავთ აი ნახეთ ეს ჩემი ციტატაო".

გამოდიან ზინოვიევი და ტროცკი, ხვალ ალბად მათ მოემატებათ კამენევიც. ყველა ისინი არაფერს ამბობენ იმაზე, თუ როგორი იყო მათი პოზიცია წინად. ეს თეორეტიული და პოლიტიკური მხრით არ არის საკადრისი.

„ტერმიდორზე" არც ერთი კრინტი, „კულაკურ პოლიტიკაზე"—არც ერთი კრინტი. ეს არ არის საკადრისი. „უთანხმოებაზე ხალხთა მასების ინტერესებსა და ჩვენი პარტიის პოლიტიკის შორის", არც ერთი სიტყვა, ხოლო ჩვენ აქ გვინდა გარკვეული პასუხი მივიღოთ.

ვინ სცდება?

გავყვეთ შემდეგ. რა იყო უძლიერესი დოკუმენტი ჩვენი ოპოზიციისა პარტიის ცეკას წინააღმდეგ, მე მხედველობაში მაქვს 1925 წლის შემოდგომა. მაშინ ისინი ლაპარაკობდნენ: წინააღმდეგობანი უაღრესად მძლავრდებიან, ხოლო პარტიის ცეკას არ ძალუძს ამის გაგება. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ კულაკებმა, რომელთაც თავის ხელში აქვთ თითქმის მთელი გადარჩენილი პური, ჩვენს წინააღმდეგ „პურის გაფიცვა" მოაწყვესო. ოპოზიცია ფიქრობდა, რომ ყოველივე დანარჩენი ამ ძირითადი მოვლენის პოლიტიკური გამოხატულებაა. იგივე ამხანაგები გამოდიოდენ შემდეგში და ლაპარაკობდენ: კულაკი კიდევ უფრო გაძლიერდა, საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა. ნამდვილად კი საქმის ვითარება ასეთია: წელს ოქტომბერში შემოსულ პურის რაოდენობამ გადააჭარბა შარშანდელს, ნოემბერში ამ ციფრმა მთელი 50 მილიონი ფუთით გადააჭარბა შარშანდელ რაოდენობას. საერთოდ წელს დამზადებულ პურის რაოდენობა უკვე 35 პროცენტით აღემატება შარშანდელს, რაც უეჭველი მიღწევაა ეკონომიურ დარგში. ოპოზიცია ცილს გვწამებს, თითქოს ჩვენ ხელს ვუწყობთ კულაკობის ზრდას, ხოლო ნამდვილი შედეგები კი სულ წინააღმდეგს მოწმობენ.

ჩვენ კი არ ვსცდებით, არამედ ოპოზიცია სცდება. სწორედ მან შემცდარად შეაფასა კლასიური და ეკონომიური ძალები. სწორედ ის მოსტყუვდა აქ ისევე, როგორც ის მოსტყუვდა „ავიო პრიბორ"-ში. ოპოზიციის მთავარი ეკონომიური თეორიის საძირკველი დაიმსხვრა. ამ დარგში ოპოზიციის ხელოვნური იდეოლოგია და ძირითადი დებულებები სავსებით განადგურებულია (გამოტოვებულია...).

ეხლა ბურჟუაზიას ხელში ჰქონდა უფრო მსხვილი ეკონომიური პოზიციები. (გამოტოვებულია...) ის წარმოადგენდა მსხვილ წარმოებას, ხოლო იაკობინელების დიქტატურა იცავდა წვრილი წარმოების ინტერესებს. ხოლო რა მდგომარეობაა ჩვენში? ვის მხარეზეა ყველაზე პროგრესიული ეკონომიური პრინციპი. აბსოლიუტური [illegible] და ეკონომიური [illegible] ჩვენში ლაპარაკი „ტერმიდორზე" საკმარისია საფრანგეთის რევოლუციის და ჩვენი ისტორიის ელემენტარული გაცნობა, რომ დაინახო, თუ რამდენად უაზრობაა. ლაპარაკი ჩვენში „ტერმიდორზე". მე ბევრს არ ვილაპარაკებ ჩვენი გადაგვარების საფრთხის შესახებ. გადაგვარების საფრთხე, ჩემის აზრით, განსაკუთრებით მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენი სახელმწიფო - ეკონომიურ აპარატის ბიუროკრატიზაციის სხვა და სხვაგვარ მოვლენებთან. მაგრამ ფასების მომატების პოლიტიკა მხოლოდ ხელს შეუწყობდა ამ ბიუროკრატიზაციას.

ოპოზიცია მოითხოვდა ფასების მომატებას. მე არ შევჩერდები დანარჩენ საკითხებზე, როგორიც არის მაგალითად, თამაში ლენინის ციტატებით. ომის დასაწყისში ლენინი, მაგალითად, სწერდა, რომ ჩვენ ვიმყოფებით ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე. აი, ზინოვიევი ამტკიცებს უკვე, რომ ლენინი ემხრობოდა დემოკრატიულ რესპუბლიკას, თითქოს მას შემდეგ არაფერი მომხდარიყოს. ეს არის ზინოვიევის და კამენევის მიერ ოქტომბერში დაშვებულ შეცდომების ფარულად დაცვა და სხვა არაფერი. (ხმები ადგილებიდან: „სავსებით მართალია").

ბრძოლა როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ

ზინოვიევი შეეხო ზოგიერთ ისეთ საკითხს, რომელიც სპეციალურად კომინტერნს შეეხებოდა. მან სთქვა, რომ „მემარცხენეებს" ავიწროებენ, ხოლო მემარჯვენეებისადმი „კარგი განწყობილება" აქვთო. ზინოვიევი ეთანხმებოდა გერმანიის კომპარტიისადმი გაგზავნილ ღია წერილს. ერთხელ მან სთქვა, რომ ღია წერილი —კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი საუკეთესო დოკუმენტიაო. განა ღია წერილში, რომელთა ავტორების რიცხვს მეც ვეკუთვნი, ნათქვამი არ არის, რომ ეგრეთ წოდებული ულტრა - მემარცხენე გადახრები თავიანთ დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირისადმი „დასავლეთზე" ბურჟუაზიული ორიენტაციის გამოხატულებას წარმოადგენს. იმ დროს ზინოვიევს ეს სავსებით სწორად მიაჩნდა და ძალიან ოხერხებულად.

წმინდა სინიდისით შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, კორშისტების და ნახევრათ-კორშისტების მოთმენა პროლეტარულ კომუნისტურ პარტიაში შეუძლებელია, ვინაიდან „მემარცხენე" გადახრა აქ იქცევა აშკარა კონტრ-რევოლუციად.

რაც შეეხება მემარჯვენე გადახრებს, მე თქვენ გეკითხებით—შეიძლება, თუ არა ჩვენ ბრალი დაგვდოთ იმაში, რომ ჩვენ ვითმენთ მემარჯვენე გადახრებს. არა, არ შეიძლება. ჩვენ სასტიკად ვაკრიტიკებდით პოლონეთის პარტიას, უფრო მკაცრად, ვიდრე ზინოვიევი. ჩვენ ვაკრიტიკებდით ინგლისის კომპარტიის ზოგიერთ შეცდომებს. ინგლისის კომპარტიამ ეს შეცდომები აღიარა, მაგრამ აი, ზინოვიევის განცხადებები სუვარინის, პირველი რენეგატის მიმართ, სრულიად უსაფუძვლოა. ის ამბობს: მე წინადადებას ვძლევდი მხოლოდ, რომ სუვარინი გაიგზავნოს არა ინგლისში, არამედ ჩინეთში. მაგრამ რატომ არ იძლევა ზინოვიევი წინადადებას, რომ, კაუტსკი გაგზავნილ იქნეს იავაზე. იავაზე ხდება აჯანყება. იქნებ ბ. კაუტსკი მოახერხებს იავის კომუნისტების შეცდომების გამოსწორებას. როდის აქეთაა, რომ ჩინეთი გადასახლების ადგილად გადაიქცა? მე ჯერაც არაფერი მსმენია ამის შესახებ. ჩინეთის წინაშე წამოჭრილია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მსოფლიო რევოლუციონური პრობლემები, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ პლენუმზე. ჩინეთში უნდა გაიგზავნოს უაღრესად რევოლუციონერი, უაღრესად გაბედული, კომინტერნისადმი უაღრესად თავდადებული ამხანაგები (ტაში).

დასასრულ მე მინდა ვსთქვა შემდეგი: მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციონერი ამხანაგები სცდილობენ კარგათ დამუშავებული პლატფორმა ოპოზიციის, მათ რიცხვში მორყეულების სასარგებლოდ გამოიყენონ. ჩვენ ამაზე პასუხი უნდა გავსცეთ. მე ვფიქრობ, რომ აღმასკომი ამ პასუხს გასცემს. პარტიები ეხლა მომწიფდნენ, ისინი მტკიცეთ არიან დარწმუნებული საბჭოთა კავშირის რევოლუციონერი განვითარების შესაძლებლობაში და არ ითმენენ ფრაქციულ იერიშებს კომინტერნში. ეს საკითხი პირდაპირ უნდა დაისვას, ვინაიდან მხოლოდ ამ პირობებში წავიყვანთ ჩვენ კომინტერნს საერთაშორისო რევოლუციის გზით.

ასეთია ჩვენი მიზანი, ჩვენი ამოცანა. ამ ამოცანას ჩვენ შევასრულებთ. ჩვენ კურსი გვექნება რევოლუციის შემდგომი განვითარებისაკენ მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებამდე (მქუხარე ტაში).

10 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამხ. მანუილსკის სიტყვა

მოსკოვი, 14 დეკემბერი. „ერთი შენიშვნა ბიოგრაფიის საკითხის შესახებ, რომელსაც შეეხო ტროცკი, — სთქვა მანუილსკიმ. ტროცკიმ ირონიით მოიხსენია აქ შმერალი იმისთვის, რომ ის ჩვენთან მოვიდა ძველ სოციალ - დემოკრატიის რიგებიდან. მაგრამ ჩვენ ყველანი, ტროცკისთან ერთად, მეორე ინტერნაციონალიდან ვართ გამოსულნი. შმერალი, ჩვენთან გადმოსვლის შემდეგ კომუნისტური პარტიის ერთგული დამცველი გახდა. სულ სხვაა ტროცკი. პარტიის და პროლეტარიატის დიქტატურის ყოველ რთულ მომენტში — 1921 წელს კრონშტადტის აჯანყების დროს, 1923—24 წლებში და 1926 წელს ის პარტიის წინააღმდეგ მიდიოდა.

ეხლა მან დაარღვია 16 ოქტომბრის ვალდებულება. იმ ხალხს, რომელიც შორდება კომუნიზმს, მე მიმჩნევია ისინი, ვინც მიდის [illegible]. ტროცკიმ აღიარა თავისი შეცდომები ლენინის მიმართ, მაგრამ მას სიტყვაც არ დაუძრავს აქ შეცდომების შესახებ პარტიისა და კომინტერნის მიმართ. ამის შესახებ ის სდუმს. შეიძლება იმიტომ, რომ აქ ნაწილობრივ არიან ახალგაზრდა ამხანაგები. ასეთი მოქმედება დასაშვებია ბურჟუაზიულ პარლამენტში და არა ჩვენს კომინტერნში.

მე მინდოდა კიდევ მომეყვანა ციტატები სოც. დემოკრატიული პრესიდან. პაულ ლევი მაგალითად სწერს: „რუსული ოპოზიციის გზა—ეს არის სოც. დემოკრატიის გზა; ოპოზიცია წარმოადგენს ახალ დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობის დასაწყისს რუსეთში". ვენის მუშათა გაზეთი სწერდა: „რუსული ოპოზიცია თავის სურვილის წინააღმდეგ წარმოადგენს ისეთ კლასობრივ ძალებს, რომლებიც მუშაობენ დემოკრატიული განვითარების ინტერესებისათვის".

ეს მსჯელობანი გამოხატავენ სოციალ - დემოკრატიის და ბურჟუაზიის ნამდვილ თვალსაზრისს.

თუ რადეკი ლაპარაკობს „კომინტერნის 4 ფეხისტოზე", ის ამაზე მიიღებს საკადრის პასუხს: ტერმიდორიანელები ვართ არა ჩვენ, არამედ ისინი, ვინც ჩვენს წინაშე გამოდის სოციალ-დემოკრატიული ჰანგებით".

ამხ. ნეიმანის სიტყვა

„რიზეს განცხადება იმის შესახებ, სთქვა ნეიმანმა, რომ ტროცკი გადავიდა ზინოვიევის თვალსაზრისზე, არ არის სწორი. ტროცკის არ უთქვამს უარი ტროცკიზმზე. ამას მოწმობს მისი განცხადება მეხუთმეტე პარტკონფერენციაზე პერმანენტულ რევოლუციის თეორიის შესახებ. ზინოვიევს კი არ გადაუყვანია ტროცკი თავის მხარეზე, არამედ, პირიქით, თვითონ გადავიდა სავსებით ტროცკიზმის მხარეზე.

საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის წარმომადგენლებმა აქ დაკმაყოფილდნენ საერთო ხასიათის, ასე ვსთქვათ, „უცოდველ" პრობლემათა განხილვით. ისინი ლაპარაკობდნენ სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ, მაგრამ მათ სიტყვაც არ დაუძრავთ ოპოზიციის გაერთიანებულ ბლოკის შესახებ.

მათ არც კი უხსენებიათ თავისი საკუთარი წინადადებები პრაქტიკულ პოლიტიკის შესახებ.

ჯერ არც კი გამშრალა მელანი 16 ოქტომბრის განცხადების ხელმოწერაზე და ოპოზიციის წარმომადგენლები კვლავ აცხადებენ, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკას და თვით მეთაურ პარტკადრების პოლიტიკა ეწინააღმდეგება მარქსიზმის და ლენინიზმის საფუძვლებს. ამ განცხადებიდან სჩანს, რომ ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა იქნეს წარმოებული და ეს ბრძოლა ჩვენ უნდა მივიყვანოთ ბოლომდის. აქ ადგილი არ უნდა იქნეს არავითარ კომპრომისებს. რუსულ ოპოზიციას არ გამიჯნულა რუტ ფიშერის ჯგუფისაგან.

გერმანიის კომპარტიის ოპოზიცია ნაწილობრივ შეგნებულად უწყობს ხელმძღვანელობას ანტისაბჭოთა მიმდინარეობებს გერმანიაში. ეს ითქმის არა მარტო კორშის და კაცის ჯგუფის შესახებ, არამედ რუტ - ფიშერ —მასლოვის ჯგუფის შესახებაც. ამ ჯგუფის ახალი მემორანდუმი, რომელიც მას დამზადებული აქვს გერმანიის კომპარტიის მომავალ ყრილობისათვის, შეიცავს ისეთ ადგილებს, რომლებშიაც არის ყველაფერი, რაც უთქვამს კორშს. ეს მემორანდუმი წარმოადგენს კომინტერნის სრული ლიკვიდაციის ცდას.

ამ ჯგუფთან ბლოკი შეკრა რუსულმა ოპოზიციამ.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ოპოზიციის ბლოკი საზღვარგარეთელ ოპოზიციასთან არის გამოხატულება დასავლეთის იმპერიალისტების ბლოკისა ნეპმენებთან და კულაკებთან იმ ბლოკის, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის ინტერვენციის მომზადება.

კომინტერნის ამოცანაა ამ ბლოკის განადგურება. მთელი ქვეყნის კომუნისტები უნდა გაერთიანდნენ საკავშირო კომპარტიის ირგვლივ. ოპოზიციას ჩვენ უნდა განვუცხადოთ: საკავშირო კომპარტია არის და რჩება ისტორიაში ყველაზე უფრო ინტერნაციონალური პარტია, მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლუციონური პარტია. ლენინიზმი არის ერთად ერთი რევოლუციონური მოძღვრება მსოფლიოში, როგორც წარსულისათვის, ისე აწმყოსა და მომავლისათვის".

ამხ. კუუსინენის სიტყვა

„ამჟამად ოპოზიციონური ბლოკის აგიტაცია უკვე არ წარმოადგენს საფრთხეს პარტიის შიგნით, მაგრამ მას კიდევ შეუძლია მოუტანოს დიდი ზიანი პარტიას და სოციალ - დემოკრატიულ მუშათა მასებში მუშაობის დროს. ამიტომ ჩვენი ამოცანაა განვმარტოთ ეს საკითხები ფართო მასებს და ვებრძოლოთ იმათ, ვინც ქადაგებს უიმედობას სოციალიზმისადმი. საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობისადმი რწმენა არის საფუძველი სოციალიზმისადმი რწმენისა.

უკვე მარტო საბჭოთა კავშირის არსებობა არის დიდი რევოლუციის გამაღვივებელი ფაქტორი, საბჭოთა კავშირის ყველა გულწრფელი მეგობრები მუშათა მოძრაობაში ინსტიქტიურად დგებიან საკავშირო კომპარტიის ცეკას მხარეზე. ყველაფერი, რაც მტრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, ირაზმება ოპოზიციის ირგვლივ, ეს არის დაყოფის მკაფიო ხაზი პარტიის ფარგლებს გარეშე.

ზინოვიევმა განაცხადა, რომ ის შეებრძოლება ყოველგვარ მტრულ აგიტაციას საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ, კორში და სოციალ - დემოკრატები იყენებენ ზინოვიევის აგიტაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი აქტიობა და ამ მუშაობის მიზანი უნდა იყვეს ამჟამად. პირველ ყოვლისა, ტროცკიზმის აღმოფხვრა და სოციალისტურ აღმშენებლობისადმი უნდობლობის მოსპობა".

ამხ. შაცკინის სიტყვა

კამათში მონაწილეობა მიიღო შაცკინმა (ახალგაზრდობის კომინტერნი), რომელმაც განაცხადა: „ახალგაზრდობის კომინტერნის ყველა სექციებში, გარდა უმნიშვნელო უმცირესობისა გერმანიაში, არსებობს სრული ერთსულოვნება. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი ყველა ქვეყნებში მხარს უჭერს რუსეთის კომუნისტურ პარტიის პოზიციას და მტკიცედ იცავს ლენინიზმის საფუძვლებს".

11 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. კამენევის სიტყვა

კომინტერნის პლენუმის 11 დეკემბრის დილის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კამენევმა.

„ჩემის აზრით, ძირითადი საკითხი, რომელიც კომინტერნის წინაშე სდგას დღის წესრიგის ამ პუნქტში, დაიწყო თავისი სიტყვა კამენევმა, არის საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრა. მე მტკიცედ და ურყევად შემიძლია უპასუხო, რომ მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში არსებობს. ეს სავსებით ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სოციალიზმის აღმშენებლობა ხდება გლეხურ ქვეყანაში, რომ მსოფლიო რევოლუციის განვითარების ტემპი შენელდა და რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სახელმწიფო აპარატი ზეგავლენას ახდენენ ჩვენი პარტიის ცალკე რგოლებზე.

მაგრამ, მემარჯვენე გადახრის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს პარტიაში მოხდა ტერმიდორი, რომ პარტია გადადის კლასობრივ პოლიტიკის ხაზიდან და რომ ხორცი ესხმება ახალი ბურჟუაზიის იდეოლოგიის იმედებს. ეს განცხადებები კატეგორიულად უნდა იქნეს უარყოფილი.

პირველი გადახრა ჩვენს პარტიაში პირველ ყოვლისა გამოიხატება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შელამაზებაში, იმ კლასობრივ ბრძოლის შინაგან წინააღმდეგობათა დაფარვაში, რომელიც სწარმოებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ტეხნიკურ და ეკონომიურ ჩამორჩენილობისადმი არა საკმაო ყურადღებაში, არა სწორ შეფასებაში გლეხობის მნიშვნელობის და როლის და აგრეთვე იმ ფაქტის, რომ საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის ეხლანდელ ეპოქას ახასიათებს სხვადასხვა კლასების ბრძოლა ნაციონალურ შემოსავლის განაწილებისათვის.

მემარჯვენე გადახრის ყველა მომენტები დაკავშირებულია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების თეორიასთან.

ლენინი 1922 წელში სწერდა, რომ ჩვენ არ გაგვიმთავრებია საბჭოთა ეკონომიკის ფუნდამენტიც კი და ჩვენ შეიძლება უკან დაგვწიოს მომაკვდავი კაპიტალიზმის მტრულმა ძალებმა. ამას ჩვენ ყოველთვის ვქადაგებდით და ეხლაც ვაცხადებთ, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა რამოდენიმე მოწინავე ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანებული მოქმედება. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ ცილისწამების წინააღმდეგ, თითქოს ჩვენ არა ვსთვლით სოციალისტურად იმ აღმშენებლობას, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში სწარმოებს. სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხში უთანხმოება არ არსებობს. უთანხმოება წარმოიშვა პრაქტიკულ საკითხებში. ისეთი გზების და მეთოდების არჩევის საკითხებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური აღმშენებლობის სათანადო ტემპს. სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ სოციალისტური აღმშენებლობის შემდგომ მიღწევებში უფლებას გვაძლევს ჩვენ პირდაპირ შევხედოთ გარდამავალი პერიოდის ყველა სიძნელეებს. პესიმიზმი და რწმენის უქონლობა ჩვენს მოწინააღმდეგე — კრიტიკოსებს გამოაჩნიათ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოციალისტური მეურნეობის აშენების დაგვირგვინება საბჭოთა კავშირში მოხდება სხვა ქვეყნების პროლეტარულ რევოლუციების დახმარებით. და ამას რატომღაც პესიმიზმს უწოდებენ (ხმაურობა, ხმები: „კმარა"). ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეთა ოპტიმიზმი გლეხობის სოციალისტურ უნარის შესახებ არის მეორე მხარე პესიმიზმისა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციის მიმართ (ხმაურობა, ხმები: „კმარა".).

ზოგიერთი ამხანაგები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში 9/10 განხორციელებულია კომუნისტურ მანიფესტის პროგრამა. ეს არის ილუზია. ჩვენ არ შეგვიძლია არ გავაცხადოთ პროტესტი ამ შეხედულებების წინააღმდეგ, ვინაიდან, ეს შეხედულებები რომ უპროტესტოდ დარჩენ პარტიისა და კომინტერნის შიგნით, ისინი რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ აუცილებლად მიგვიყვანენ იმ მოვლენამდე, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ არამც თუ პროტესტს ვაცხადებთ, არამედ იმედი გვაქვს პროტესტს განაცხადებს ჩვენი პარტიის და კომინტერნის დიდი უმრავლესობა. (სიცილი).

მეხუთმეტე პარტკონფერენციაზე ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელ დროს ჩვენ გადავედით ტროცკიზმის პოზიციაზე. (ხმები: „მართალია"). ეს არ არის მართალი. მართალია ის, რომ ნაწილი ამხანაგებისა უაღრესად სერიოზულ ძირითად საკითხებში შორდება ლენინიზმს. (სიცილი). ჩვენ ვდგევართ კომუნისტურ — ბოლშევიკების პარტიის მონოლიტობის და მონოპოლიურობის ნიადაგზე.

თქვენ ვერც ერთ სიტყვას ვერ ნახავთ ჩვენს წერილებში, რომელიც ამას ეწინააღმდეგებოდეს. ჩვენ გვეკუთვნის ინიციატივა ნამდვილი ლენინური იდეის აღდგენისა პარტიის დიქტატურის შესახებ. (ხმაურობა. ხმები: ოხოვხ,(ი)!).

საერთაშორისო საკითხებში უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი ილუზია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს საერთაშორისო მოძრაობაში შეუძლია დაეყრდნოს ისეთ ელემენტებს, რომლებიც წარმოდგენილია ინგლის - რუსეთის კომიტეტში ან ტრედიუნიონთა გენსაბჭოში.

16 ოქტომბრის განცხადება ჩვენთვის სავსებით რჩება ძალაში (ხმაურობა, ხმები: „სიტყვები არ გვწამს") ჩვენ ვემორჩილებით და დავემორჩილებით პარტიის ყოველგვარ დირექტივას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია აღვიაროთ, რომ ჩვენი პრაქტიკული მუშაობა ან ჩვენი შეხედულებანი გადახვევაა ლენინიზმიდან. ერთად ერთი პროლეტარული რევოლუციონური ორგანიზაცია ჩვენთვის არის კომინტერნი და ერთად ერთი გზის მაჩვენებელი ბრძოლაში არის ლენინიზმი.

13 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 14 დეკემბერი. კომინტერნის პლენუმის 13 დეკემბრის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ: ლონგე (ახალგაზრდათა კომინტერნი), კოლაროვი (ბულგარეთი), ლოზოვსკი და კატაიამა (იაპონია). შემდეგ [illegible] ბელგიის, ჰოლანდიის და შვეიცარიის კომპარტიის სახელით და პრუხნიაკმა პოლონეთის დელეგაციის სახელით გააკეთეს განცხადება. რომელშიაც ისინი სავსებით უერთდებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლატფორმას და ოპოზიციის გამოსვლას პლენუმზე ახასიათებენ ისე, როგორც ფრაქციული ბრძოლის საერთაშორისო ასპარეზზე გადატანის ცდას.

13 დეკემბრის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 13 დეკემბრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სტალინმა, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდა მთელი პლენუმი. ამხ. სტალინის უკანასკნელ სიტყვებს კვლავ ფარავს ხანგრძლივი ტაში და „ინტერნაციონალის" სიმღერა. [illegible] შეძახილი: „გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) მთლიანობას", „ურას"— ძახილით ხვდება მთელი პლენუმი.

პლენუმის უკანასკნელი სხდომა შესდგება 15 დეკემბერს. (ადს)

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია

13 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენება

მოხსენებით ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გამოდის ამხ. მირზა დაუდ ჰუსეინოვი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. თავის მოხსენებას ამხ. ჰუსეინოვი იწყებს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის დახასიათებით.

„თუ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გაწეულ ხარჯებს,—ამბობს ამხ. ჰუსეინოვი, — დავანაწილებთ მათი ხასიათის დამიხედვით, აღმოჩნდება, რომ ჩვენ შარშან და შარშანწინ წარმოებაზე გაცილებით მეტს ვხარჯავდით, ვიდრე 1926-27 წელში. გასულ წელში ჩვენი ბიუჯეტი უმთავრესად სამომხმარებლო ბიუჯეტი იყო. წრეულს, პირველი შემთხვევაა, რომ ის უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სახალხო მეურნეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს“.

ამ დებულებას ამხ. ჰუსეინოვი ასურათებს სათანადო დიაგრამებით. მიმართავს რა დიაგრამას, რომელიც გამოხატავს სახალხო მეურნეობის ცალკე ნაწილებზე გაწეულ ხარჯებს, ამხ. ჰუსეინოვი ამბობს:

„სასოფლო მეურნეობაში 6.200.000 მან. 1924-25 სამ. წელს, ხარჯი იზრდება 9.660.000-დე 1925-26 წელში, ე. ი. იზრდება თითქმის 56 პროც. 1926-27 წლისათვის ეს ზრდა განზრახულია აყვანილ იქნას 234 პროც.-დე 1924-25 წელთან შედარებით. დიდ ნაწილს შარშანდელთან და შარშანწინდელთან შედარებით აკეთებს მრეწველობა და, აგრეთვე, ელექტროფიკაცია. ხარჯები კოოპერაციაზე შედარებით ნაკლებათ იზრდება, იმიტომ, რომ რაც უფრო სწრაფად ვითარდება კოოპერაცია, მით უფრო ნაკლებ დახმარებას საჭიროებს ის სახელმწიფოსაგან.

სახალხო კომისარიატებზე გასაწევ ხარჯების შედგენას საფუძვლად დაედო მომჭირნეობის რეჟიმის პრინციპი. ჩვენ ვცდილობთ შევაჩეროთ ადმინისტრატიული ხარჯების ზრდა და აგრეთვე ხარჯები სამუშაო ხელფასზე და, პირიქით, გავადიდოთ ცალკე დაწესებულებათა სამეურნეო საჭიროებებთან, ე. წ. საოპერაციო საჭიროებებთან დაკავშირებული ხარჯები.

სახალხო კომისარიატებზე გასაწევ ხარჯების შედგენას ჩვენ, აგრეთვე, დაუდეთ პრინციპი პრივილეგიურ მდგომარეობაზე განათლების, მიწათმოქმედების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების დატოვებისა. 1924-25 წელში სახალხო განათლების კომისარიატზე მთელ ამიერ-კავკასიაში დახარჯულ იქნა 7.625.000 მანეთი, ხოლო 1926-27 წელში 12.376.000 მანეთი.

გადადის რა ადგილობრივი ბიუჯეტის დახასიათებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის პირობებში ეს ბიუჯეტი ქრონიკულად დეფიციტიანია. ამიტომ დაწვრილებით განხილვის შედეგად შეცვლილი იქნა შეფარდება სახელმწიფო ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტს შორის. მთელი რიგი ხარჯებისა ადგილობრივ ბიუჯეტიდან გადატანილია სახელმწიფო ბიუჯეტში, ადგილობრივ ბიუჯეტს დიდი შეღავათი მიეცა ანარიცხების სახით სხვადასხვა გადასახადებისაგან, და, აგრეთვე, მთელი რიგ შემოსავლის გადაცემით.

სუბვენციური დახმარება ადგილობრივ ბიუჯეტისათვის 1924-25 წელთან შედარებით 6.700.000 მანეთიდან გაიზარდა 15 მილიონ მანეთამდე. მაინც აღმოჩნდა, რომ მთელ რიგ ჩვენმა, უმთავრესად მსხვილმა ქალაქებმა თავისი ბიუჯეტი დეფიციტით დაასრულეს. ასეთი მდგომარეობა აიხსნება უმთავრესად საკმაოდ შემოსავლიანი ბაზის უქონლობით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი მეურნეობის განვითარებით გვექნება უდეფიციტო ადგილობრივი ბიუჯეტი“.

ასრულებს რა ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის მიმოხილვას, მომხსენებელი იძლევა თვითეულ სულზე გაწეული ხარჯის შედარებით სურათს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებში და გადადის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

„მისი შედგენის დროს,—ამბობს მომხსენებელი,—ჩვენ გამოვდიოდით საკავშირო ცაკის მიერ მოცემულ დირექტივიდან, რომ საჭიროა ბიუჯეტი უპირატეს შემთხვევაში ემყარებოდეს არასაგადასახადო შემოსავალზე. სალერბო გადასახადის გამოკლებით, შარშან ჩვენი ბიუჯეტის 47,7 პროც. საგადასახადო შემოსავალი შეადგენდა, ბოლო 52,3—არასაგადასახადო. წრეულს საგადასახადო შემოსავალი შეადგენს 42,2 პროც. ხოლო არა საგადასახადო—57,8 პროც. საერთოდ, როგორც საგადასახადო, ისე არასაგადასახადო შემოსავალი ჩვენში მართალია, თანდათან, მაგრამ მაინც იზრდება.

შემდეგ გადადის რა ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილების შეფარდებაზე, ამხ. ჰუსეინოვი აღნიშნავს, რომ დეფიციტი 1926-27 წელში წარსულ წლებთან შედარებით მცირდება. თუ 1925-26 წელში ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტი უდრიდა 47 პროც., 1926-27 წელში ეს დეფიციტი ა.-კ. ცაკის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში შეადგენს 34 პროც., ხოლო სათანადო შესწორების შემდეგ ის დაყვანილ იქნა 14 პროც.

მოხსენების დასასრულ ამხ. ჰუსეინოვი ამბობს:

„ამიერ-კავკასია, რომელიც მრავალი ათეული წელი ცხოვრობდა ისეთ პირობებში, რომელიც ძალიან განსხვავდება რუსეთის და უკრაინის პირობებისაგან. მოითხოვს მთელი რიგ საჭიროებების სათანადოთ დაკმაყოფილებას. მაგრამ ამ საკითხს არ შეიძლება მიუდგეთ მარტო უბრალო მომხმარებლის თვალსაზრისით. ჩვენს საჭიროებათა დაკმაყოფილების საკითხს უნდა მიუდგეთ ჩვენი ქვეყნის საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით, სოციალიზმის აგების თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი საჭიროებათა დაკმაყოფილება უნდა შევუფარდოთ არსებულ შესაძლებლობებს. არ უნდა დავივიწყოთ საკავშირო ბიუჯეტის უპირატესობა მთელ რიგ სხვა ქვეყნების ბიუჯეტების წინაშე. იმ დროს, როცა საფრანგეთის პოლონეთის და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების ბიუჯეტი ვერ ამოითქვამს სულს საგარეო სესხისა და იმისიის გარეშე, ჩვენი ბიუჯეტი აშენებულია შემოსავლის [illegible]. თქვენ იცით, რომ ჩვენ გარედან ერთი მანეთის დახმარების იმედიც კი არ გვაქვს. არც იმისიას მივმართავთ. რადგან ვითვალისწინებთ, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას. მხოლოდ ჩვენი ხარჯების შეფარდებით ჩვენს შესაძლებლობასთან შევძლებთ იმ ძირითადი მიღწევის შენარჩუნებას, რომელიც გვაქვს საფინანსო საქმეში—ბიუჯეტის უდეფიციტობას. ეს ისეთი მიღწევაა. რომლისკენ ჯერ მხოლოდ მიისწრაფვიან მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნები“. (ტაში).

მომხსენებელი თავის სიტყვას თარგმნის თურქულ ენაზე.

კამათი ამხ. ჰუსეინოვის მოხსენების გარშემო

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველად გამოდის ამხ. ზაუტაშვილი, რომელიც აღნიშნავს მასწავლებლობისათვის სამუშაო ხელფასის მომატების საჭიროებას.

ამხ. ჰოლოსიანი ამბობს, რომ გადიდებულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის წილი საბჭოთა კავშირის სალერბო გადასახადის მთელ შემოსავალში. საჭიროა ადგილობრივ მთელ რიგ ახალ წარმოებების შექმნა, არსებული ადგილობრივი მრეწველობის გაძლიერება და არსებულ საშემოსავლო წყაროების გაფართოება. არაჯანსაღ მომენტს ჩვენს ბიუჯეტში წარმოადგენს ბიუჯეტის დაგვიანებით გატარება და იმ ინსტანციების მრავალრიცხოვანობა, რომლებშიც მას უხდება გავლა.

ამხ. აზრუმელაშვილი დაბეჯითებით მოითხოვს სახსრების გადიდებას უმუშევრობასთან საბრძოლველად და მასწავლებლობის უზრუნველყოფას უფრო მაღალი სამუშაო ხელფასით.

ამხ. კასუმოვს საჭიროთ მიაჩნია გადიდდეს ანარიცხი ღალიდან ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამხ. ჰუსეინოვის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. ჰუსეინოვმა აღნიშნა, რომ ის სავსებით ეთანხმება კამათში გამოთქმულ მოსაზრებებს ადგილობრივი ბიუჯეტის ისე აგების შესახებ, რომ ამას არა განსაზღვრული თანხების მიწოდების ხასიათი ჰქონდეს, არამედ, ადგილობრივ ბიუჯეტისათვის შემოსავლიანი ბაზის შექმნის ხასიათი. უნდა გაძლიერდეს ადგილობრივი მრეწველობა და დავეხმაროთ კომუნალურ მეურნეობებს და მათ წარმოებებს.

შეეხო რა მასწავლებლობისათვის სამუშაო ხელფასის გადიდების საკითხს, მომხსენებელი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ძალიან ძნელია ამ საკითხის გადაჭრა. სულ უმცირესი მომატებაც კი ნიშნავს მილიონების გასავალს.

დაბოლოს, შეეხო რა ბიუჯეტის გატარებას, ჰუსეინოვი არ არის მისი გადათვალიერების წინააღმდეგი.

რეზოლიუციების დასამუშავებლად ამხ. ჰუსეინოვის მოხსენების გარშემო არჩეულ იქნა კომისია 11 კაცის შემადგენლობით. ამით თავდება საღამოს სხდომა.

ხვალ დილით სესიის სხდომა არ შესდგება. იმუშავებენ მხოლოდ კომისიები. სესიის თავისუფალი წევრები გაემგზავრებიან განჯის სხვადასხვა ადგილებში.

სესიის უკანასკნელი სხდომა

განჯა, 14 დეკემბ. დღეს, საღამოს ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიის უკანასკნელი სხდომა. ცაკის მდივანმა ამხ. შავერდოვმა მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის ცაკის იმ დეკრეტებისა და დადგენილებების შესახებ, რომლებიც მიღებული იყო ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ მეორე სესიიდან მესამე სესიამდე განვლილი დროის განმავლობაში. ამხ. შავერდოვმა მოკლეთ დაახასიათა ეს დეკრეტები და დადგენილებები.

სესიამ დაადგინა დამტკიცებული იქნეს ის დეკრეტები და დადგენილებები, რომლებიც მიღებული იყო ამიერ - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მეორე და მესამე სესიებს შორის. შემდეგ არჩეული იქნა კომისია, რომელიც სესიის სახელით მიესალმება წითელი არმიის ნაწილებს განჯაში. კომისიაში შევიდნენ ამხ. ხანოიანი, კარინიანი, თოდრია, იაკუბოვი, სულთანოვი და ვარდანიანი. შემდეგ სესია ერთხმად იღებს აღმასკომის მოხსენებების შესახებ.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ გამოდის ბალიანი, რომელიც აცხადებს შემდეგს:

ამხ. ბალიანის განცხადება

„ჩვენ ვხედავდით, თუ მრეწველობის ზრდასთან ერთად როგორ იზრდება და მტკიცდება განჯის პროლეტარიატი, მაგრამ ის წარმოადგენს ნედლ მასალას, რომელიც ჯერ კიდევ უნდა აღვზარდოთ. ამ მიზნისათვის საჭიროა სათანადო შენობა. ამიტომ სომეხ და ქართველ დელეგატების ჯგუფს სესიაზე შემოაქვს შემდეგი წინადადება: დავავალოთ ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს მიმდინარე საბიუჯეტო წელში გაიღოს სათანადო თანხა განჯაში კულტურის სახლის ასაგებათ. (ტაში). ამას გარდა, განათლების და ჯანმრთელობის საქმის გასაძლიერებლად განჯის მაზრაში ჩვენ საჭიროდ მივვანია დავავალოთ ამიერ-კავკასიის ცაკს მიმდინარე საბიუჯეტო წელში გაიღოს თანხა რაიმე სამკურნალო დაწესებულების მოსაწყობად მაზრის დაბლობ რაიონში და საგანმანათლებლო დაწესებულების მოსაწყობად მთიან რაიონში. (ტაში). სომეხ და ქართველ დელეგატების ჯგუფის წინადადება მიღებული იქნა ერთხმად. შემდეგ სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლიუციები მრეწველობაზე და ბიუჯეტზე გაკეთებულ მოხსენებების შესახებ.

სესიამ დაავალა ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს განიხილოს განჯის მაზრის მოქალაქეთა სხვადასხვა განცხადებები, რომლებიც შემოვიდა სესიის განჯაში ყოფნის დროს.

სამოქალაქო ომის და შრომის ინვალიდების მისალმება

ტრიბუნაზე ადის სამოქალაქო ომის და შრომის ინვალიდების დელეგაცია, ესალმება რა სესიას, დელეგაცია უძღვნის მას ლენინის დიდ პორტრეტს. ბუნიატ-ზადე სესიის სახელით მადლობას უძღვნის დელეგატებს.

ამხ. მიხა ცხაკაიას საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. მიხა ცხაკაია. „ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენ განჯაში მოვემგზავრებოდით — ამბობს ამხ. ცხაკაია, მუშების და გლეხების მასები ენტუზიაზმით ხვდებოდნენ სესიის წევრებს. არა ნაკლები ენტუზიაზმით შეხვდა მათ განჯა. ის სულიერი აღტკინება, რომლის მოწმენიც ჩვენ ვიყავით იქ, სადაც ჯერ კიდევ რამოდენიმე ხნის წინად მუსავატების, დაშნაკელების და მენშევიკების კარნახით ადგილი ჰქონდა ნაციონალური ხოცვა-ჟლეტის კოშმარებს — ეს სულიერი აღტკინება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ჩვენ იმაში რომ საბჭოთა მთავრობამ სწორად გადასწყვიტა ნაციონალური საკითხი.

ჩვენ აქ დავინახეთ მუშების და გლეხების და მათ მიერ არჩეულ ამხანაგების უდიდესი შემოქმედება. წინადადებას ვიძლევი მივესალმოთ ერთ-ერთ ღირსეულს მათ შორის — ამხ. ბუნიატ-ზადეს (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

ვისურვებ, რომ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღო სესიამ განჯის ადგილობრივ საკითხების, და აგრეთვე აზერბეიჯანის და მთელი ამიერ-კავკასიის საკითხების შესახებ გატარებული იქნეს ცხოვრებაში.

აღნიშნა რა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის სესიები ადგილებზე სწყვეტს მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს და ამავე დროს ეს სესიები არის მმართველობის სკოლა მუშებისა და გლეხებისათვის, ცხაკაია თავის სიტყვას ათავებს შემდეგი შეძახილით: „გაუმარჯოს სოციალიზმს მთელ დედამიწის ზურგზე“ (მქუხარე ტაში. „ინტერნაციონალი“).

ბუნიატ-ზადე შესძახებს: „გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა კავშირს. ვაშა“. (ყველა ფეხზე დგება. მქუხარე ტაში. ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს“).

სესიის დახურვა

ამხ. მიხა ცხაკაია ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიას დახურულად აცხადებს.

სესიის რეზოლუციები

აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენების შესახებ

განჯა, 14 დეკემბერი. მოისმინა რა აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენება, ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია აღნიშნავს აზერბეიჯანის მშრომელთა მიღწევებს მეურნეობის ყველა დარგებში და სავსებით იწონებს აზერბეიჯანის მთავრობის მოღვაწეობას.

აზერბეიჯანის მრეწველობა, რომელიც დანგრეული იქნა ომის წლებში და რომელსაც წინსვლის არავითარი ნიშნები არ ეტყობოდა მუსავატელების ბატონობის დროს, პროლეტარიატის გმირული მუშაობის წყალობით უმეტეს დარგებში აღდგენილი იქნა ომის წინა ხანების დონემდი. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობა, რომელშიაც თითქმის სავსებით გატარებულია ელექტროფიკაცია, ყველა საწარმოო პროცესებში უახლოვდება ომის წინა დროის ნორმას. ნავთის მრეწველობასთან ერთად დიდი მიღწევებია სახელმწიფო მრეწველობის სხვა დარგებშიც. კიდევ უფრო მეტი კმაყოფილებით აღნიშნავს სესია ახალ სამრეწველო აღმშენებლობას, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია ეხლახან შექმნილი განჯის მრეწველობა—მაუდის ფაბრიკა, ზეთის და საპნის ქარხანა და სხვა.

სოფლის მეურნეობის დარგში უკვე შარშან იქნა გადალახული ომის წინა დროის ნათესების სივრცე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვირფას ტეხნიკურ კულტურების ნათესების წარმატებით განვითარება. იზრდება აგრეთვე აგროპუნქტების გავლენა; პუნქტების რიცხვი გაიზარდა, შექმნილია პირველად რევოლიუციის დროის განმავლობაში მთელი რიგი საცდელი სელექციური სადგურები და იზრდება გლეხების მისწრაფება მეურნეობის ინტენსიურად წარმოებისაკენ.

არა ნაკლები მიღწევებია კულტურულ სფეროში, რომელსაც მთავარი ყურადღება ექცეოდა აზერბეიჯანის მთავრობის მუშაობაში. ფართოდ გაშლილ სკოლების ქსელში, რომელიც ბოლო ნახევარ წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ იქნა გადიდებული, ამჟამად ჩაბმული სასკოლო ასაკის ბავშვთა ნახევარი, გამტკიცდა მუშფაკების, უმაღლესი სასწავლებლების, პროფტეხნიკუმების და სხვათა მდგომარეობა.

სახალხო ჯანმრთელობის სფეროში მაზრებში მოწყობილია ახალი საავადმყოფოები, სამკურნალო და საფერშლო პუნქტები და სხვა.

აღნიშნავს რა აზერბეიჯანის მუშების და გლეხების ამ ძირითად მიღწევებს, სესია ამასთანავე ხაზს უსვამს ქვემო ჩამოთვლილ ღონისძიებების გატარების აუცილებლობას: 1) მრეწველობის დარგში ყოველმხრივ განვითარება იმ დარგების, რომლებსაც აზერბეიჯანში აქვთ ნედლეულის მტკიცე ბაზა და ყველა წინასწარი პირობები იმისათვის, რომ ისინი მომგებიანი იქნენ; ასეთია, უპირველეს ყოვლისა, საფეიქრო და სამთო მრეწველობა. სახელმწიფო მრეწველობის ახალი აღმშენებლობის განვითარებასთან ერთად საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს შინამრეწველობის აღდგენას, რომელსაც აზერბეიჯანის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

2) სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში მთავარი ღონისძიებები მიმართული უნდა იქნეს: ძვირფას ტეხნიკურ კულტურების, უმთავრესად, ბამბის, ნათესების ყოველმხრივ განვითარებისაკენ, სოფლის მეურნეობის უფრო ინტენსიურად წარმოების გზით; უპირველეს ყოვლისა მიღწეული უნდა იქნეს მოსავლიანობის გადიდება იმ მიწებზე, რომლებიც ამჟამად ირწყვება; ვინაიდან, რომ ობიექტიური პირობების გამო ნათესების სივრცის გადიდება შეუძლებელია მხოლოდ ახალი მიწების მორწყვით—ყურადღება მიექცეს ჰიდროტეხნიკური სამუშაოების მაქსიმალურად განვითარებას, რისთვისაც პროგრესიულად გადიდებული უნდა იქნეს საჭირო თანხები; ამას გარდა, მუღანლოს პრობლემა, რომელიც მოგვცემს ასეულ ათას დესეტინა ნოყიერ მიწას, გადაწყვეტილი უნდა იქნეს საბოლოოდ; საქონლის ჭირი, რომელიც ასუსტებს ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელ სახალხო მეურნეობას, მოსპობილი უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში და მის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლად მომუშავე ორგანიზაციებმა.

3) გზების ნაკლებობის გამო აზერბეიჯანში, რაც საგრძნობლად აფერხებს სოფლის მეურნეობის გეგმაშეწონილად განვითარებას—სერიოზული ყურადღება მიექცეს საგზაო მშენებლობის განვითარებას. ჯულფა-ბაქოს რკინის გზის შესახებ — უაღრესად საჭიროდ იქნეს ცნობილი მისი მიყვანა საბოლოო პუნქტამდე უახლოეს წლებში.

4) ვინაიდან სოფლის მეურნეობის და მრეწველობის შემდგომ განვითარებას ხელს უშლის ელექტრო-ენერგიის საჭირო რაოდენობის უქონლობა, ეს უკანასკნელი კი მეტად საჭიროა როგორც მინდვრების მექანიკური წესით მოსარწყავად და დიდი ცენტრების ინდუსტრიალიზაციისათვის, ისე აზერბეიჯანის მთელი დანარჩენი მრეწველობისათვის — მიქცეული იქნეს საბჭოთა კავშირის ცენტრალური ორგანოების ყურადღება იმაზე რომ აუცილებელია გაძლიერებული იქნეს ელექტრომშენებლობა აზერბეიჯანში ჰიდროცენტრალის აშენების გზით.

5) აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უახლოეს ხანში კიდევ უფრო თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობაში და აგრეთვე სოფლის ეკონომიკის გარდაქმნაში. აზერბეიჯანის მთავრობამ საჭიროების მიხედვით უნდა გააფართოვოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელი და უნდა აიღოს კურსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სპეციალიზაციაზე; ამასთანავე მან კოოპერაციის ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარი თანხების გაძლიერების საჭიროებაზე.

6) აღნიშნავს რა აზერბეიჯანის მთავრობის მიერ უეჭველად სწორი ნაციონალური პოლიტიკის გატარებას, რასაც შედეგათ მოყვა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება, ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები დაურღვევლად დაცული იქნება მომავალშიაც და იგი დარჩება აზერბეიჯანის ეკონომიურ და კულტურულ განვითარების პირველ და ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინასწარ პირობათ.

7) ანგარიშს უწევს რა მნიშვნელოვან შედეგებს, რომლებიც მიღწეული იქნა უკანასკნელი წლების განმავლობაში კულტურული მშენებლობის სფეროში, სესია ამავე დროს აღნიშნავს რომ საჭიროა მხედველობაში მიღებული იქნეს, რომ საუკუნოებრივი ჩაგვრით აზერბეიჯანის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოკლებული იყო საშუალებას გეგმაშეწონილად და წარმატებით განევითარებინა თავისი კულტურა, რის გამო იგი ამჟამად ტეხნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილია; ამიტომ სესია აუცილებლად სცნობს, გაგრძელებული იქნეს შეუპოვარი ბრძოლა ამ ფრონტზე, რისთვისაც გადიდებული უნდა იქნეს საშუალებების და ძალების მაქსიმუმი სახალხო განათლების განსავითარებლად; ამასთანავე რაც შეიძლება დაჩქარებული უნდა იქნეს პროფტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო სკოლების ქსელის გაძლიერება.

ამავე დროს გაძლიერებული უნდა იქნეს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე აზერბეიჯანის მაზრებში. შემდეგ, აღნიშნავს რა ახალი თურქული ალფაბეტის დიდ მნიშვნელობას აზერბეიჯანის კულტურული მშენებლობის საქმეებში, აუცილებლად იქნეს ცნობილი მისი კიდევ უფრო დაჩქარებით გატარება ცხოვრებაში და გამომცემლობის საქმის გაძლიერება ამ ალფაბეტზე.

დაბოლოს, აღნიშნავს რა უდიდეს მიღწევებს თურქი მშრომელი-ქალის განთავისუფლების საქმეში, სესია საჭიროდ სთვლის კიდევ უფრო ინტენსიურად იქნეს გაგრძელებული მუშაობა ამ მიმართულებით; ამასთანავე ქალები ჩაბმული უნდა იქნენ გაფართოვებულ წარმოებაში და საზოგადოებრივ მუშაობაში და მიღებული უნდა იქნეს გაძლიერებული ზომები მათ მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ა.-კ. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ

სესია სავსებით იწონებს ამიერ-კავკასიის მთავრობის საფინანსო პოლიტიკას და იღებს ბიუჯეტს, რომელიც დამტკიცებული იქნა ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის 5 ოქტომბერს.

სესია აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც გასულ წლებში უმთავრესად სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა, 1926-27 წელში შედგენილია ისე, რომ მასში თვალსაჩინოთ გადიდებულია ხარჯები საწარმოო საჭიროებებზე, რომელთა ხვედრითი წონა გასული წლის 18.4 პროცენტიდან წრეულს გაიზარდა 28.8 პროცენტამდე. სესია აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის შედგენა უეჭველად შეეფერება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დირექტივებს და საჭიროთ სცნობს სთხოვოს საკავშირო ცაკს, რომ მომავალშიაც დაცული იქნეს ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის ეს ხასიათი. სესია სავსებით სწორად სთვლის იმ გარემოებას, რომ საწარმოო ხარჯებს შორის ყველაზე მეტი მოდის მრეწველობაზე. სესია სწორად სთვლის მრეწველობასა და ელექტროფიკაციასთან ერთად მნიშვნელოვანი თანხების გაღებას სოფლის მეურნეობისათვისაც. ვინაიდან წყალის საკითხი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამიერ-კავკასიის მთელ მეურნეობაში, სესია აუცილებლად სთვლის წყალთა მეურნეობის სამუშაოების რაც შეიძლება მჭიდროთ დაკავშირებას ამიერ-კავკასიის მთელ სახალხო მეურნეობასთან და ამიერ-კავკ. მთავრობის კონტროლს ამ სამუშაოებზე; ამ მიზნით, სესია სავსებით ადასტურებს პრეზიდიუმის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატისათვის საჭირო თანხები გაღებული იქნეს ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სესია ადგენს ამის შესახებ აღძრული იქნეს სათანადო შუამდგომლობა საკავშირო ცაკის წინაშე.

სესია იწონებს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივას, რომელიც გულისხმობს სპეციალური დანიშნულების და ადმინისტრატიული ხარჯების ზრდის შეჩერებას. სესიას სწორად მიაჩნია ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის 1926-27 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს დოტაციებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის მაღაროების შემოსავლიდან გადადებულ ანარიცხების ანგარიშში და საჭიროთ სთვლის სთხოვოს საკავშირო ცაკს დაამტკიცოს ეს თანხები. სწორად მიაჩნია რა სათანადო თანხის შეტანა ბიუჯეტში საქონლის ჭირთან და კალიასთან საბრძოლველად, სესია ავალებს ამიერ-კავკასიის მთავრობას მომავალშიაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობის ამ მავნებლებთან ბრძოლას. ამიერ-კავკასიის ცაკის სესია აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის დეფიციტიანობის ძირითადი მიზეზია, ერთის მხრივ, მტკიცე საშემოსავლო ბაზის ნაკლებობა და მეორეს მხრივ ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის აღსადგენად საჭიროა დიდძალი თანხები.

ამის გამო სესია საჭიროდ სთვლის მოითხოვოს ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესაძლებელი გადიდება მისთვის ახალი შემოსავლის წყაროების მინიჭების გზით. იღებს რა მხედველობაში, რომ არასაგადასახადო შემოსავლის ჯგუფში მთავარ როლს თამაშობს შემოსავალი მაღაროებიდან, სესია სწორად და მინიმალურად სთვლის იმ საიჯარო განაკვეთს, რომელიც მიღებულია ბიუჯეტში და ადგენს სთხოვოს საკავშირო ცაკს დაამტკიცოს ეს განაკვეთი. ანგარიშს უწევს რა იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის საბიუჯეტო შესაძლებლობათა ფარგლებში არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის ზოგიერთი გადადებული საჭიროებები, სესია საჭიროთ სთვლის აღძრული იქნეს საკავშირო ცაკის წინაშე შუამდგომლობა, რათა დამატებით გაღებული იქნეს საერთო საკავშირო ბიუჯეტიდან თანხები ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამიერ-კავკასიის უმეტეს ქალაქების კომუნალურ მეურნეობათა მძიმე მდგომარეობა მოითხოვს მათთვის ფინანსების მიწოდების გაძლიერებას; ამის გამო სესია იწონებს შუამდგომლობის აღძვრას სათანადო ორგანოების წინაშე ამ მიზნისათვის საჭირო თანხების გაღების შესახებ. სესია აუცილებლად და სწორად სთვლის ამ.-კავკ. კურორტებისათვის საჭირო ფინანსების მიწოდების გათვალისწინებას ბიუჯეტში.

განჯის აღმასკომის მოხსენების შესახებ

სესიამ, მოისმინა რა მოხსენება განჯის აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ, მის მუშაობას სავსებით იწონებს. კერძოდ, აღნიშნავს რა აღმასკომის მუშაობის უეჭველ სისწორეს, ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას მაზრაში და ქალაქში, გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ განჯის აღმასკომი მომავალშიაც მტკიცეთ გაატარებს ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს ამ საკითხში.

ამავე დროს, აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულ საერთო ღონისძიებებთან ერთად სესია საჭიროდ სთვლის სასწრაფოდ გატარებული იქნეს ცხოვრებაში ქალაქ განჯისათვის, როგორც ახლად შექმნილ მრეწველობის ცენტრისათვის, შემდეგი ღონისძიებები: მუშათა საბინაო აღმშენებლობის გაფართოვება, მუშაობის გაძლიერება ქალაქის და უპირველეს ყოვლისა წყალსადენის კეთილ - მოსაწყობად და საავადმყოფოების ასაგებად.

სოფლის მიმართ, გარდა საგლეხო მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვისა, უცილებლად გაუმჯობესებული იქნეს ქვედა საფეხური საბჭოთა აპარატი და დაახლოვებული იქნეს იგი მოსახლეობასთან.

ცაკის წევრები მაზრაში

განჯა, 14 დეკემბ. დღეს სესიის დელეგატები ჯგუფ - ჯგუფად გაემგზავრენ მაზრის სხვადასხვა ადგილებში. ერთი ჯგუფი ამხ. კახიანის, თოდრიას და ფლორა ვარდანიანის მონაწილეობით გაემგზავრა ჩაიკენდში. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა სტუმრებს. სტუმრებმა დაათვალიერეს ადგილობრივი სკოლები, საავადმყოფოები და სხვა დაწესებულებები. სოფელ აზათში და მიხაილოვკაში სტუმრებს სოფლელები ნაციონალური მუსიკით შეხვდნენ. მეორე ჯგუფი ამხ. ალამალი - ოღლის, მიხა ცხაკაიას, კარინიანის და სხვ. შემადგენლობით ეწვია ელენენდორფს. კოოპერატივის („დახმარება“) პირდაპირ მოედანზე გაიმართა მიტინგი. „ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალები და თანასწორ პირობებში ვიმუშაოთ ბრწყინვალე მომავალისათვის“, — ამბობს თავის სიტყვაში მ. ცხაკაია. აქეთკენ მიისწრაფიან საბჭოთა კავშირის — მთელი მსოფლიოს ამ ერთ ექვსედ ნაწილის მშრომელები.

აზერბეიჯანის ცაკის სახელით მისალმებით გამოვიდა მირ ბაშირ კასუმოვი.

— გერმანელები — ყოფილი კოლონისტები ახლა საბჭოთა რესპუბლიკის თავისუფალ მოქალაქეებს წარმოადგენენ, კულტურულად განვითარების გამო ისინი უფრო კარგად არიან მოწყობილი, ვინემ მეზობლები თურქები და სომხები — ლაპარაკობს ამხ. კასუმოვი. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ცოდნა - გამოცდილებას ამ მხრივ თქვენ გადასცემთ მეზობელ სოფლებს და დაეხმარებით მათ. წითელ ელენენდორფის წარმატება სამაგალითო უნდა გახდეს მთელი განჯის მაზრისათვის.

შემდეგ გამოდის სომხეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კარინიანი, რომელიც ლაპარაკობს: ყველა ეროვნებათა შეკავშირებული რიგებით ჩვენ დავსძლევთ სიღარიბეს და მოვაწყობთ სოციალისტურ მეურნეობას.

აზერბეიჯანის საშუალო და ღარიბ გერმანელ გლეხების სახელით ლაპარაკობს ამხ. შუმახერი: „გერმანელთა მეურნეობა აქ სამაგალითოდ და სანიმუშოდ ითვლება სხვა ეროვნებათა მოსახლეობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენ გვაკლია საზოგადოებრიობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი რაიონის ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები კომპარტიის ხელმძღვანელობით ახლო მომავალში საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობაში მოახდენენ ისეთსავე რეკორდს, როგორც სამეურნეო-ტეხნიკურ დარგში“.

[illegible] საათისათვის ყველა ჯგუფები განჯაში დაბრუნდნენ. (ადს).

სესიის შედეგები

საუბარი ამხ. აღამალი-ოღლისთან

განჯა, 14 დეკემბერი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს მესამე სესიის შედეგების შესახებ ამიერ-კავკასიის ცაკის და აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. აღამალი-ოღლიმ განაცხადა:

„სესიის მუშაობამ განჯაში, გარდა დიდი პოლიტიკური ეფექტისა, რაზედაც ბევრმა ამხანაგმა ილაპარაკა, სერიოზული შედეგები მოგვცა ეკონომიურ და სამეურნეო საკითხებში, როგორც ამ დარგებში გაწეული მუშაობის შეფასებით, ისე ახალი გზების დასახვით. განჯისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ვეზიროვის მოხსენებას, რომელშიაც გაშუქებული იყო ამ მაზრის სამეურნეო და კულტურული საკითხები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სესიამ მიაქცია რა ყურადღება განჯის კულტურულ და სამრეწველო ზრდას და კულტურულ ურთიერთობის გასაძლიერებლად სათანადო შენობის უქონლობას, ქართველ და სომეხ ამხანაგების ინიციატივით აუცილებლად სცნო კულტურის სახლის აგება, რაც განჯისათვის ახლა დიდ მიღწევად ჩაითვლება. რაც შეეხება ნაციონალური სოლიდარობის დემონსტრაციას, ეს დიდი აღფრთოვანებით გამოიხატა. სესიამ სიმხნევე და სიცოცხლე შეიტანა გარევოლიუციონერებულ მთელი განჯის ცხოვრებაში. კიდევ ერთი სალამი განჯის მაზრის მუშებს და გლეხებს“.

საუბარი ამხ. ბუნიატ-ზადესთან

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ბუნიატ-ზადემ განაცხადა:

„ამიერ-კავკასიის ცაკის მე-3-ე სესიამ, რომელიც შესდგა განჯაში, მემამულეების ყოფილ ცენტრში, მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. ამიერ-კავკასიის უმაღლესი ორგანო გაეცნო ჩვენს წარმატებებს, დეფექტებს და განჯის მაზრის ნამდვილ მდგომარეობას. აზერბეიჯანის მთავრობის და განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენებების გარშემო მიღებული რეზოლიუციები ხაზს უსვამენ საბჭოთა მშენებლობის გაგრძელების აუცილებლობას მშრომელი განჯის ლენინიზმის გზაზე დამდგარ პროლეტარიატისათვის. სესიის დადგენილება განჯაში კულტურის სახლის აგების შესახებ განსაკუთრებით უნდა ახარებდეს მუშებს და გლეხებს, ვინაიდან ეს სახლი იქნება მუშების და გლეხების კულტურულად დაახლოვების კერა. უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სესია დარწმუნდა იმაში, რომ მემამულეთა ყოფილი ბუდე დანგრეული და დასამარებულია. მის მაგიერ აგებულია ახალი საბჭოთა განჯა. სესია აგრეთვე დარწმუნდა იმაში, რომ ნაციონალური მშვიდობიანობა აზერბეიჯანში დამყარებულია მტკიცედ და სამუდამოდ“.

საუბარი ამხ. გუსეინოვთან

სესიის შედეგების შესახებ საუბარში ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გუსეინოვმა განაცხადა: „ეხლახან დამთავრებული სესია, ჩვენი ძალების დემონსტრაცია იყო, რამაც თვალსაჩინო გახადა, რომ სულ ფუჭია ჩვენი მტრების იმედები, თითქოს მათ ეღირსებოდეთ თავიანთ ბნელ საქმეებს კეთება აზერბეიჯანში. ყველაფერი ის, რაც ჩვენ განჯაში ვნახეთ დაბეჯითებით მოწმობს იმას, რომ აზერბეიჯანის გლეხობამ სამუდამოთ დაუკავშირა თავისი ბედ-იღბალი მუშათა კლასს და მასთან ერთად მიდის წითელი დროშის ქვეშ. (ადს).

საუბარი ამხ. კარინიანთან

განჯა, 14 დეკემბერი. ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სესიის შედეგების შესახებ ამხ. კარინიანმა განაცხადა:

„ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია გაიხსნა საბჭოურ აზერბეიჯანის ცენტრში—განჯაში. საკითხები, რომლებიც სესიამ გაარჩია, შეეხება როგორც ამიერ-კავკასიის, ისე აზერბეიჯანის საარსებო ინტერესებს. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მუსაბეკოვის მოხსენებამ აზერბეიჯანის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე, მოხსენებამ განჯის სამაზრო აღმასკომის მუშაობაზე, მოხსენებებმა მრეწველობაზე და ბიუჯეტზე გამოიწვიეს გაცხოველებული აზრთა გაცვლა-მოცვლა და საქმიანი შენიშვნები მაზრების წარმომადგენლების მხრივ. ამ საკითხების განხილვაში არაჩვეულებრივ მონაწილეობას იღებდნენ განჯის მშრომელები და აზერბეიჯანის მაზრების წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ განჯაში სესიის მუშაობის გასაცნობად. სესიის მუშაობის დროს მოხდა აზერბეიჯანის ორი მნიშვნელოვანი წარმოების გახსნა—ზეთის და საპნის მსხვილი ქარხნის და აგრეთვე სელექციური სადგურის. როგორც ერთი, ისე მეორე წარმოება განსაკუთრებულ მკაფიო ილიუსტრაციას წარმოადგენდა სესიის მუშაობისათვის. ამ წარმოებებმა ყველაზე უკეთ დაამტკიცეს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის მნიშვნელობა. ამავე ნიშანს ქვეშ ჩატარდა სესიის მთელი მუშაობა. განჯა სულ რამოდენიმე წლის წინ მემამულეთა კონტრ-რევოლიუციის სატახტო ქალაქი იყო. ამ მაზრის მთელი მოსახლეობა ტყვედ ჰყავდათ თურქ მუსავატელებს და სომეხ დაშნაკელებს. საბჭოთა ხელისუფლებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამიერ-კავკასიის მშრომელთა მტრებს. პროლეტარიატის დიქტატურამ შეაკავშირა აზერბეიჯანის მუშები და გლეხები საერთო რიგებში და საშუალება მისცა მათ შეკავშირებულად იბრძოლონ ძველი მსოფლიოს წინააღმდეგ. ვინაიდან, როგორც თავისი საქმიანი მუშაობით, ისე ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური სოლიდარობის დემონსტრაციით, სესია ინტერნაციონალიზმის ბრძოლის ყიჟინას წარმოადგენდა“.

საუბარი ამხ. მუსაბეკოვთან

განჯა, 14 დეკემბერი. ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში სესიის შედეგების შესახებ აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მუსაბეკოვმა განაცხადა:

„ხუთი დღის მუშაობის შემდეგ დღეს დაიხურა ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია. მიუხედავად მუშაობის პირობების არაჩვეულებრიობისა, სესია უაღრესად საქმიან ხასიათს ატარებდა. დღის წესრიგში არსებულ თვითეულ მთავარ საკითხის გაცხოველებით განხილვა და კონკრეტიულ ღონისძიებათა ამხანაგური კრიტიკა აშკარად მოწმობდნენ იმას, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეების მუშები და გლეხების წარმომადგენლები როგორც საერთო-ფედერატიულ—მრეწველობის და ბიუჯეტის,—ისე ადგილობრივ საკითხებისადმი.

უკანასკნელები, ე. ი. მოხსენებები აზერბეიჯანის მთავრობის და განჯის სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ სესიის ყურადღების ცენტრში იდგა, მათ მოუნდა სესიის მუშაობის დროის თითქმის ნახევარი. აზერბეიჯანის მუშების და გლეხების თვითეული მიღწევის აღნიშვნას სიხარულით ხვდებოდნენ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები. თვითეული ნაკლი იწვევდა გულწრფელ სურვილს დახმარებოდნენ აზერბეიჯანის მუშებს და გლეხებს ამ ნაკლის გამოსწორებაში, გამოენახათ საჭირო საშუალება, გაეზიარებინათ მათთვის თავისი გამოცდილება. ეს ღრმა ყურადღება სესიისადმი, აზერბეიჯანის მუშების და გლეხების საჭიროებებისადმი, იმ მუშების და გლეხების, რომლებიც შეუსუსტებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს სესიის მუშაობას და რომლებმაც თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს სესიაზე ყველაზე უფრო შორეულ კუთხეებიდანაც კი, ახალ ენერგიას შემატებს აზერბეიჯანის მშრომელებს.

სხდომებისაგან თავისუფალ დროს სესიის წევრები ეწვეოდნენ განჯის ახალი სამრეწველო აღმშენებლობის დღესასწაულებს, რითაც აღნიშნავდნენ ზეთის ქარხნის და უზარმაზარ სელექციურ სადგურის გახსნის ზეიმს. სესიის წევრების ყურადღებას არ გამოპარვია არც ერთი წვრილმანი, ისინი გულდასმით ათვალიერებდნენ ქარხნის და სადგურის მთელ მოწყობილობას.

არ შეიძლება რამოდენიმე სიტყვით გადმოცემა, იმისა, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენ სესიის მუშაობის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სესიის გადაწყვეტილ საკითხებს; ამ საკითხებმა აღნიშნეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის დამთავრება და წინა გეგმაშეწონილი რეკონსტრუქციის დაწყება ახალ ტეხნიკურ ბაზაზე; მაგრამ ერთი აშკარაა. სესიამ დაამტკიცა, რომ აუცილებელია სესიების გავლა ადგილებზე, ფედერაციის რესპუბლიკებში და ამით ძმობის და სოლიდარობის განმტკიცება ამიერ-კავკასიის ერებს შორის.

ხვალ განჯა თავის ჩვეულებრივ სახეს მიიღებს. ახალი ენერგიით დაიწყება მუშაობა ახალი ფაბრიკების და ქარხნების ასაგებად და ახალი სოფლის შესაქმნელად. სესიის მუშაობამ განჯაში წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების მიერ გახსნილი ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც პირველია იმათ რიცხვიდან, რომლებიც აქ აგებული უნდა იქნეს, დარჩება ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების დაურღვეველი მთლიანობის ძეგლად“.

ზოოტექნიკური სადგურის საძირკვლის ჩაყრა

განჯა, 14 დეკემბერი. დღეს სოფელ კიზილ-კენდში ელენენდორფის მახლობლად მოხდა ზოოტექნიკური სადგურის საძირკვლის ჩაყრა, რასაც დაესწრნენ ამხ. ბუნიათ-ზადე, ალამალი-ოღლი, ერზინკიანი, ახუნდოვი და სხ. საძირკვლის ჩაყრის გამო შემდგარ მიტინგს დიდძალი გლეხობა დაესწრო.

„საბჭოთა ხელისუფლება, სთქვა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ბუნიათ-ზადემ, არ კმაყოფილდება გლეხებისათვის მიწების გადაცემით. ის ეძებს გზებს იმისათვის, რომ საგლეხო მეურნეობა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს. ჩვენ ბაქოში გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, მაგრამ ამ ფაკულტეტს არ შეუძლია მოგვცეს მომზადებული საბჭოთა აგრონომები, თუ მას არ მოეპოვება [illegible] საცდელი სადგური. გარდა ამისა დღემდე ჩვენში არავითარი გამოკვლევა არ ხდებოდა მესაქონლეობის, არ ხდებოდა ცდები აზერბეიჯანის საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად. აი ამ მიზეზების გამო ჩვენ აუცილებლად ვსცანით ზოოტექნიკური სადგურის აგება. ნება მომეცით თქვენთან ერთად აქ საძირკველი ჩაუყარო სოციალისტური მეურნეობის კერას—ათავებს თავის სიტყვას ბუნიატ-ზადე.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ალამალი-ოღლი, ახუნდოვი, ერზინკიანი და აგრეთვე სადგურის ასაგებად მოწვეული სპეციალისტები.

„ვაშა“-ს ძახილით ჩაეყარა პირველი საძირკველი ზოოტექნიკურ სადგურს. (ადს).

რამოდენიმე საათით განჯაში

(შთაბეჭდილებანი)

განჯას დიდი ხანია ვიცნობ. კიდევ 1888 წლიდან ბედმა მარგუნა ამ ქალაქში ცხოვრება და მუშაობა. 12 წელი დავყავი აქ, მაგრამ შემდეგშიც ხშირად მიხდებოდა განჯის ნახვა-დათვალიერება. მინახავს განჯა მუსავატელების და გასაბჭოების პირველ წლებშიც. ვნახე დღეს, ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიის დროს, და ჩემს მეხსიერებაში გადაიშალა ამ ქალაქის ისტორია ამ 40 წლის განმავლობაში.

ჯერ კიდევ ორთქლმავალიდან, გავედით თუ არა სადგურ შამხორიდან, გამოჩნდა ელექტრონით განათებულ-გაბრწყინებული დიდი ხაზი. უცბად ვერ გამოვარკვიე, თუ რას ნიშნავდა ასე გრძელი ილიუმინაცია-განათება, თუმცა ვიცოდი, რომ დღეს განჯაში დიდი ზეიმია, დღესასწაულია. რაც ახლო მივდიოდით, მივხვდი, რომ ეს გრძელი სინათლე არის სადგურ-ქალაქ შუა მდებარე ქუჩა. აი ის ქუჩა წინათ რომ შიშის ზარს მცემდა.

ჩვენი მატარებელი შეგრიალდა დღესავით განათებულ სადგურზე. სულ ორი-სამი საათი დრო მრჩება უკან გამობრუნებამდი, მაგრამ გულმა არ მომითმინა და მაშინვე გავსწიე ქ. განჯისაკენ, საცა ამიერ-კავკასიის ცაკის კრებაა გამართული.

სავსეა ეტლები, მაგრამ აი აგერ პატარა ორთქლმავალმა დაიყვირა. თურმე მატარებელიც დადის სადგურ-ქალაქ შუა ყოველ 20 წუთში.

მივდივარ. აღარ ვიცი რომელ მხარეს უყურო, რომელი დავათვალიერო. თვით ეს, ჩემს წარმოდგენაში საშინელი ქუჩა, მისი განათება. ორივე მხარეს სახლებ-ბაღები, თუ აქა-იქ წამოჭიმული უზარმაზარი ქარხნები.

— ეს რა შენობაა, ამხანაგო, ვეკითხები ჩემს გვერდში მჯდომ ადერბეიჯანელს.

— თქვენ აქაური არა ხართ?—თავის მხრივ მეკითხება ის. აქ საპონის და ზეთის ქარხანა, იქ ჩითის ფაბრიკაა, იქ ელექტრონის სადგურია. იქ ესაა, აქ ესაა.—დამაყარა გამხიარულებულმა ჩემმა მეზობელმა.

კიდევაც მართებსთ სიხარული. განჯა ამსდგარა, გაცოცხლებულა. სუყველაფერი განათებულია. სიცოცხლე დუღს. ღამეა, მაგრამ მთელი ქუჩა სავსეა ხალხით. რამოდენიმე ალაგას ელექტრონის კარებია ამართული. ასე გგონია—ცეცხლში უნდა გავძვრე.

განსაკუთრებული მორთულობა ემჩნევა ახლად ამუშავებულ ფაბრიკა-ქარხნებს. მინდა უყურო, დავსტკბე, გავძღე ამ მშვენიერი სურათების ცქერით, მაგრამ ეს გიჟი მატარებელი არ იცდის. წინ მიქრის და მეც თავი ამოვყავი ქალაქ განჯაში.

როგორც ქუჩა აღარ ჰგავს ძველ ქუჩას, აღარც ახალი განჯა ჰგავს ძველ განჯას. სავაჭროები, დაწესებულებანი დაკეტილია, მაგრამ ყველაფერი განათებულია ელექტრონით. სახლები, დუქნები წესზე და რიგზე ჩამწკრივებულან. ქუჩა-ქუჩას დამგვანებია... და წარმოიდგინეთ, ისე მივქრივარ ღამე განჯის ქუჩაში, ვითომც რუსთაველის გამზირზე მივდიოდე. ვუცქერი, ვათვალიერებ ნაცნობ სახლებს, ალაგებს და ასე მგონია, მე სხვა ქალაქში, სხვა ალაგას მოვხდი. ეს ასეც არის. მე მართლაც სხვაგან ვარ. ნაცნობი, ძველი აქ აღარაფერია. რა ჯადომ შესცვალა აქაურობა, უნებურათ ვფიქრობ გუნებაში. ეს ჯადო საბჭოთა ხელისუფლებაა. ეს ხელისუფლება თურმე ყველგან ერთნაირად ენერგიული ყოფილა. ძველს ანგრევს, ახალს აშენებს. სიბნელეს სდევნის, სინათლეს ამყარებს. დამჩაგვრელებს სპობს, დაჩაგრულებს ამაგრებს, ეხმარება... და ასეთი ფიქრებით მივადექით განჯის მუშათა კლუბს. ამ შენობას ვიცნობ. ეს ძველი თეატრია. აქ რამდენჯერმე ძველათ წარმოდგენაც გამიმართავს. ამ შენობას მშრომელები დაპატრონებიან და დღეს აქ, ამ სახლში მთელი ადერბეიჯანის, მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელების წარმომადგენელნი შეკრებილან, მსჯელობენ, საქმიანობენ.

შენობის ირგვლივ აუარება ხალხს მოუყრია თავი მუშა, მოსამსახ., გლეხი, წითელი არმიელი ერთმანეთშია არეული. დღეს საერთო დღესასწაულია. ყველა ერთადაა, ყველა ზეიმობს. ყველას სახე უბრწყინავს. მოწყენილს ვერავის ნახავ., თან ყველა სდუმს, რაღაცას უცდის.

უცბად გაისმა მქუხარე, შორს მჯდომელი ხმა. ეს ხმის გადამცემი მანქანა ქუჩას ელაპარაკება, ქუჩას გადმოსცემს—რაც დარბაზში ხდება.

ამხანაგი-მოლაპარაკე ეტყობა ადერბეიჯანელი მუშაა, ან გლეხი, ან წითელარმიელი, ის ძალზე დამტრეული რუსული ენით ლაპარაკობს, ისე დამტრეული ენით, რომ ძლივს არჩევ სიტყვებს, ძლივს გებულობ აზრს.

— რა ვიყავით წინათ. რა გავხდით დღეს. რამდენი სკოლები გვაქვს დღეს. ჩვენმა ქალებმა, ჩვენმა ბავშვებმა დაინახეს მზე. ამოვისუნთქეთ თავისუფლათ. გავერიეთ ადამიანებში. გუშინ გავხსენით სამი-ოთხი ქარხანა. ამ ქარხნების პატრონი ბეგები კი აღარ არიან, ჩვენ ვართ. ყველაფერი ხალხისაა. ყველაფერი ჩვენია. გაუმარჯოს მუშებს და გლეხებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. დაამთავრა ორატორმა და ახლა თავის დედა ენაზე დაიწყო ლაპარაკი. ზღვა ხალხი სულ განაბული უგდებს ყურს....

ჩემი წამოსვლის დროც მოვიდა. მეორე ქუჩით გამოვბრუნდი. აქაც იგივე ამბავია. ყველაფერი განათებულია. კინო-თეატრების წინ ხალხი ბუზებივით ირევა. დღეს კინო უფასოა. აქ წითელარმიელებიც ფუსფუსებენ. დღეს ყველა მხიარულია.

გამოვექანე პატარა მატარებლის სადგურისაკენ. მოვდივარ ახალი, მაგრამ ძველი, ნაცნობი ქუჩით. არას გულისათვის ამ დროს ამ ქუჩით წინათ არ გავივლიდი. კიდევ წავედი ფიქრში—წარსულმა, და აი ვითომ განგებ-რათა ეს წარსული უფრო ნათლად წარმომედგინა—უცბათ ელექტრონი ყველგან ჩაქრა. ერთ-მარე სიბნელემ მოიცვა. ვიღაცას დავეტაკე, შევდექი. აი ძველი განჯა. აი ძველი სიბნელე. უცბათ ისევ განათდა. გათენდა. მეც ჩემს გზას გაუდექი, სხვებმაც ასე.

ისევ იმ ქუჩით, იმ გზით, მაგრამ უშიშრად და დღესავით განათებულ ქუჩით, სადგურზე დავბრუნდი.

ასეთია განჯა დღეს. ის სავსებით გარდაქმნილა, გადახალისებულა და ყველა ეს მომხდარა სულ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში.

რა არის ქალაქის, ხალხის ცხოვრებაში ხუთი-ექვსი წელი. წამია, მომენტია. წინათ ათი-ოცი წლის უნახავ ქალაქებს პოეტები ასე ამკობდენ, ნახეთ, ამ ჩვენს ქალაქში არაფერი შეცვლილა და ქუჩებში ტალახი ისევ ძველის ძველიაო“. ახლა ამას ვეღარავინ იტყვის. დღეს ყველაფერი ზღაპრულათ ვითარდება. ძველი ზღაპრები სინამდვილეთ გადაიქცა. ქვეყნის, ქალაქების დეკორაციები შეიცვალა. შეიცვალა მშრომელი მასის საკეთილდღეოთ.

მართალია, ყველა მშრომელი კიდევ ვერ ცხოვრობს კარგად, კიდევ ვერაა ყველაფრით დაკმაყოფილებული, მაგრამ ყველა ხედავს, რომ აქეთკენ, ბედნიერებისაკენ ნამდვილათ მივდივართ.

ამას ამტკიცებს მთელი საბჭოთა კავშირი, მისი საქმიანობა, ენერგია. ამას ამტკიცებს დღეს განჯაც.

ნახეთ ბეგების განჯას. რა რიგათ გამოცვლილა. მჩაგვრელების ნაცვლად—მშრომელები გაზრდილა. სიბნელე გაქცეულა, სინათლე გამეფებულა. ადერბეიჯანის ხალხი წელში გამაგრებულა...

ვაშა და გამარჯვება ასეთი ენერგიით მშრომელ ადერბეიჯანის ხალხს.

ვაშა და გამარჯვება მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს!

ს. დოლიძე.

ერთა ლიგის სესიის შედეგები

საფრანგეთის პრესა ერთა ლიგის სესიის შესახებ

კონსერვატორების ახალი კამპანია კუკის წინააღმდეგ

ჩინეთის სახალხო არმია განაგრძობს შეტევას

ერთა ლიგის სესია

პარიჟი, 13 დეკემბერი. საფრანგეთის ყველა მემარჯვენე გაზეთები ერთა ლიგის საბჭოს სესიის შედეგებს აფასებენ, როგორც საფრანგეთის კაპიტულიაციას.

მილიერანის ორგანო „ავენირ“ აღნიშნავს რა, რომ ეხლა გერმანია თავიდან ფეხებამდე შეიარაღდება, სწერს: „ბრიანის პასუხისმგებლობა დიდია, მაგრამ პუანკარეს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტი. პუანკარეს სურვილზე იყო დამოკიდებული ამბებისათვის სხვა მიმართულების მიცემა, მაგრამ მას ეშინია იმის, რომ მას უწოდებენ „პუანკარეს ომს“. მომავალი გერმანიას ეკუთვნის.

რადიკალური პრესა და, ეგრედ წოდებული, ფართო ინფორმაციის პრესა აღფრთოვანებულია შეთანხმებით. „საბოლოო შეთანხმება გერმანიის განიარაღებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ, სწერენ ეს გაზეთები, მოწმობს, რომ ევროპაში ზოგიერთი რამ შეიცვალა და კონტინენტალურ პოლიტიკა ლოკარნოს სულით არის გაჟღენთილი“. (ადს).

კონსერვატორები სისინებენ

ლონდონი, 13 დეკემბერი. კონსერვატორმა დევისონმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა: „იცის თუ არა ბოლდუინმა, რომ ინგლისის მემაღაროეთა დელეგაციის მდივანმა კუკმა მოწოდებით მიმართა, რომ კვლავ გაგრძელდეს ფინანსიური დახმარების გზავნა საბჭოთა რუსეთიდან იმ მიზნით, რომ შესაძლებელი შეიქნეს წინასწარი მომზადება რევოლიუციის მოსახდენად ინგლისში, და ნებას დართავენ თუ არა კუკს დაბრუნდეს ინგლისში რუსეთის ფულით, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს რევოლიუციის მომზადება“.

მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამ საკითხს დიდი ყურადღებას აქცევს მთავრობა. (ადს).

ჩინეთის რეაქციის დამარცხება

სახალხო არმიების შეტევა

პეკინი, 13 დეკემბერი. პრესის ცნობით, სახალხო არმია განაგრძობს წარმატებით შეტევას ხენანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში.

სახალხო არმიის ჯარებმა დაიკავეს ლუნხაის რკინისგზის უკანასკნელი პუნქტი ლინბაო. (ადს).

უჩანი თუ ხანკოუ?

პეკინი, 13 დეკემბერი. კანტონის გარეშე საქმეთა სამინისტრო გადავიდა ხანკოუში.

გამოქვეყნებულია ცნობა, რომ ამიერიდან კანტონის მთავრობის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობას გაუწევენ უჩანიდან.

ჯერ - ჯერობით არ არის გადაწყვეტილი სად იქნება კანტონის მთავრობა—უჩანში თუ ხანკოუში.

ინგლისის რემედასი

ლონდონი, 13 დეკემბერი. ბატერსიში (ლონდონის მუშათა კვარტალი) შესდგა რემედასის ინგლისის სექციის პირველი ყრილობა. ყრილობას დაესწრო 377 დელეგატი მუშათა მოძრაობის ყველა დარგებიდან, უმთავრესად პროფკავშირთა საბჭოებისა და პროფკავშირთა ადგილობრივ განყოფილებათაგან, კერძოდ კი მაღაროების კომიტეტებისა და აგრეთვე ქვანახშირის რაიონების კომიტეტებისაგან.

უმთავრესი რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა ყრილობის მიერ, მოითხოვს ყველა პატიმართა განთავისუფლებას და მოუწოდებს მუშათა კლასს პროფესიონალურ და პოლიტიკურ ბრძოლისაკენ. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ექსპედიცია ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 14 დეკემბერი. რკინისგზის აღმშენებლობის გეგმის შესადგენად გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატი სპეციალურ ექსპედიციას აწყობს ამიერკავკასიაში. ექსპედიციის მიზანია მოსახლეობის მოთხოვნილებათა გამოკვლევა ტრანსპორტის დარგში. (ადს).

ახკომინტერნში

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 12 დეკემბერს დაიხურა ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის გაფართოვებული პლენუმი.

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ და დამტკიცებულ იქნა 11 კომისიის მოხსენებანი. პლენუმმა აირჩია ახკომის ახალი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: შაცკინი, შილერი, გიბტნერი, ლანგე და იანგა. კანდიდატებით: ხიტაროვი, ბიუ, ლეიბრანდი და მერინგი (ადს).

მდინარეების გაყინვა

ნ.-ნოვგოროდი, 15 დეკემბერი. ვოლგა და ოკა გაიყინა. უკვე დაიწყო მდინარეებზე ქვეითად მიმოსვლა. (ადს).

ახალი რკინისგზა

სევასტოპოლი, 14 დეკემბერი. საბოლოოდ გადაწყდა საკითხი მომავალი რკინისგზის მიმართულების შესახებ. გზა წავა სევასტოპოლიდან იალტამდე. გზის სიგრძე იქნება 86 კილომეტრი და დაჯდება 20 მილ. მანეთი. მოძრაობა იწარმოებს ელექტრონის საშუალებით. ენერგიას მისცემს ჩერნო-რეჩის ჰიდრო სადგური. (ადს).

მორდეს სახელობის პრემია

პარიზი, 13 დეკემბერი. პარიზის სამეცნიერო აკადემიამ ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორს მირნშტეინს მათემატიკის დარგში ღირსშესანიშნავ მუშაობისათვის მიუსაჯა მორდეს პრემია 3.000 ფრანკის რაოდენობით. (ადს).

სამეურნეო მუშაკთა გასამართლება

ირკუტსკი, 14 დეკემბერი. დაიწყო 32 სამეურნეო მუშაკის პროცესი. სამეურნეო მუშაკებს ბრალად ედებათ გაფლანგვა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და მექრთამეობა. მათმა ბოროტმოქმედებამ სახელმწიფოს მიაყენა 200.000 მან. ზარალი. (ადს).

ექსპედიცია ჩინეთში

მოსკოვი, 15 დეკემბერი. 1927 წ. დასაწყისში, იაპონიაში და ინდოეთში მიემგზავრება ექსპედიცია ჩაის საქმის შესასწავლად. (ადს).

პროფკავშირთა ყრილობა

14 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 15 დეკემბერი. ყრილობის 14 დეკემბრის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო.

ორატორების მთელი ყურადღება მიქცეული იყო გეგმიანი მრეწველობის, სამრეწველო მშენებლობის, მრეწველობის მმართველობის დეცენტრალიზაციის, შრომის ნაყოფიერების და სამრეწველო მუშების ახალი კადრების მომზადების საკითხებზე.

ამხ. კუკი ბავშვებთან

მოსკოვი, 15 დეკემბერი. კუკმა სამთამადნო მუშების ც. კ. თავმჯდომარის ამხ. შვარცის თანხლებით ინახულა საბავშო სახლი, რომლის შეფობა აღებული აქვს მემაღაროეთა კავშირს.

კუკი მიესალმა ბავშვებს: „მე მოგიტანეთ თქვენ სალამი ინგლისის მემაღაროეთა სამ მილიონ ბავშვებისაგან. ბავშვები მადლობას გიძღვნიან თქვენ, საბჭოთა კავშირის ყველა ბავშვებს გაფიცვის დროს აღმოჩენილი დახმარებისათვის“.

მისალმების შემდეგ კუკმა დაათვალიერა სახლი და გადასცა გამგეს მემაღაროეს ლამპა.

შემდეგ კუკი ამხ. შვარცის თანხლებით გაემგზავრა სკოლაში, რომლის შეფობა აღებული აქვს მემაღაროეთა ც. კ.

ბავშვები მიეგებნენ კუკს ძახილით: „გაუმარჯოს ინგლისელ მემაღაროებს. გაუმარჯოს კუკს“!

კუკმა მადლობა გადაუხადა ბავშვებს მემაღაროების ცოლებისა და ბავშვებისათვის აღმოჩენილი დახმარებისთვის. შემდეგ ამოიღო ჯიბიდან ინგლისური სტერლინგი და საბჭოთა ხუთ მანეთიანი და უჩვენა ბავშვებს, რომ პირველზე დახატული ინგლისის მეფეა, მეორეზე კი მუშა და სთქვა:

„ამით ყველაფერი არის ნათქვამი“.

ღამის ცნობები

ახალი რკინისგზები ოსმალეთში

ანგორა, 15 დეკემბერი. მოლაპარაკება უცხოეთის ჯგუფებთან ახალი რკინის გზების გაყვანის შესახებ დამთავრდა. მთავრობამ მიიღო შვედების მიერ წარმოდგენილი პირობები ერეგლი-ანგორა და აგრეთვე ორი სხვა ხაზის გაყვანის და ერეგლის ნავთსადგურის მოწყობის შესახებ. (ადს).

შრომის სასამართლოები გერმანიაში

რომი, 14 დეკემბერი. მუსოლინიზე თავდასხმის შემდეგ ტრიესტში დააპატიმრეს საბჭოთა კავშირის მოქალაქე ბაკინი, უკრაინელი მეურნე, რომელიც ბრუნდებოდა ამერიკიდან, სადაც იგი გადასახლდა ჯერ კიდევ 1912 წ. ბაკინი დააპატიმრეს იმ დროს, როცა იგი იკითხავდა კომუნისტურ გაზეთ „უნიტა“-ს, საბჭოთა კონსულის გაუფრთხილებლად, პოლიციამ ბაკინი გადაასახლა სამხრეთ-სლავიაში, როგორც უპასპორტო უმუშევარი. (ადს).

ბანკების მოსამსახურეთა გაფიცვა

კანტონი, 15 დეკემბერი. კანტონში გაიფიცნენ მრავალი ბანკების თანამშრომლები. არ გაფიცულან მხოლოდ მთავრობის ბანკის თანამშრომლები. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. (ადს).

საიჯარო ფასის შემცირება

კანტონი, 15 დეკემბერი. გუანდუნის პროვინციის ხელისუფლებამ წინადადება მისცა ოლქების უფროსებს 25 პროცენტით შეუმცირონ გლეხებს საიჯარო გადასახადი. (ადს).

ლენინგრადში დაიწყო აღწერა

ლენინგრადი, 15 დეკემბერი. დაიწყო მოსახლეობის აღწერა. აღმწერლებს ყოველგან კარგად ხვდებიან. აღწერას რამოდენიმედ აფერხებს ყელმჭირვოვის გავრცელება. (ადს).

ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

ბერლინი, 15 დეკემბერი. ბერლინში შესდგა დიდი საპროტესტო მიტინგი ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ იტალიაში. ლედებურის, ელეხა შტეკერის და მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის გენერალური მდივნის მიუნცენბერგის სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია „ფაშიზმის შემსწავლელი ბიუროს“ დაარსების შესახებ.

გერმანულ გაზეთებში გამოქვეყნდა დეპეშა იტალიის მთავრობის სახელზე, ხელმოწერილი სხვადასხვა ქვეყნების ინტელიგენციის ასეულ წარმომადგენლების მიერ, პროტესტით ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. (ადს).

შრომის სასამართლოები გერმანიაში

ბერლინი, 15 დეკემბერი. რეიხსტაგმა მიიღო კანონპროექტი შრომის სასამართლოების მოწყობის შესახებ. შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული სადაო საკითხები განხილული იქნებიან სასამართლოებში. (ადს).

ბანდიტის დახვრეტა

ნოვგოროდი, 15 დეკემბერი. საგუბერნიო სასამართლოს განაჩენის ძალით დახვრეტილ იქნა ბანდის მეთაური, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ტერორს ქვეშ ჰყავდა გორბატოვსკის მაზრის გლეხები. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ

ლენინგრადი, 14 დეკემბერი. 13 დეკემბერს საკავშირო კომპარტიის ლენინგრადის გარნიზონის კოლექტივებში განხილულ იქნა ოპოზიციის ბელადების გამოსვლა კომინტერნის აღმასკომში. ყველგან ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელნიც გადაჭრით გმობენ ოპოზიციური ბლოკის ახალ მანევრს. (ადს).

ნიკოლაევი, 15 დეკემბერი. მარტის სახელობის ქარხნის პარტ-აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სასტიკად კიცხავს ოპოზიციის ლიდერების გამოსვლებს კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე და გამოსთქვამს რწმენას, რომ პარტია ცენტრალურ კომიტეტის და კომინტერნის ხელმძღვანელობით სასტიკ პასუხს გასცემს ოპოზიციის ლიდერების დეზორგანიზატორულ ცდებს.

დნეპროპეტროვსკი, 15 დეკ. ოპოზიციის ახალმა გამოსვლამ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე სასტიკი გულისწყრომა გამოიწვია ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში.

ხერსონი, 15 დეკემბერი. ქალაქის ყველა პარტუჯრედებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ ენერგიული ღონისძიებების მიღებას პარტიის მთლიანობის განსამტკიცებლად და ტროცკის, კამენევის და ზინოვიევის გამხრწნელი მუშაობის სალიკვიდაციოთ.

მეორე რაიონის მე-8 პარტკონფერენცია

მეორე სხდომა

გუშინ, საღამოს გრძელდებოდა კამათი თბილისის კომიტეტის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ორლოვმა, არველაძემ, გაჩაროვმა, პრეობრაჟენსკიმ, თედეშვილმა, ერისთავმა, დარასხიევმა, ფარნიევმა, ტარასოვმა, ტერ-ოგანეზოვმა, [illegible] და პევცოვმა.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა „ვიდვიჟენცებს", არ არის აგრეთვე დამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა სამეურნეო მუშაკებზე. კამათში მონაწილე ერთ-ერთ ამხანაგის აზრით საჭიროა თბილისში დაარსებულ იქნას ერთგვარი საქმიანი კლუბი, რათა სამეურნეო დარგის მუშაკებს საშუალება ექნეთ გაუზიარონ ურთიერთს გამოცდილება, შეიძინონ ცოდნა და სხვა. ორატორები აღნიშნავენ, რომ სამეურნეო დარგში სამუშაოთ წამოყენებულ ამხანაგებს უნდა მიეცეთ საშუალება შეისწავლონ საქმე. შეეხენ რა თბილისის აღმასკომის საქმიანობას, ორატორებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ აღმასკომის საქმიანობა არ შუქდება მუშა-მოსამსახურეთა მასიურ კრებებზე. ორატორები შეეხენ აგრეთვე საბინაო კოოპერაციის „მუშკოოპის", შინამრეწველ ხელოსანთა შორის მუშაობას და აღნიშნეს მთელი რიგი დეფექტები ამ მხრივ.

კამათის დასრულების შემდეგ, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ასრიბეკოვი, რომელმაც დაწვრილებით გასცა პასუხი კამათში გამოსულ ორატორებს და დასასრულ შეჩერდა ოპოზიციონურ ბლოკის ბელადების უკანასკნელ გამოსვლაზე კომინტერნის გაფართოებულ პლენუმზე.

ამხ. ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ **კონფერენციამ თბილისის კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო**. დეტალური რეზოლიუციის შემუშავება დაევალა პრეზიდიუმს.

დასასრულ კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ოპოზიციონური ბლოკის ბელადების უკანასკნელი გამოსვლის გამო კომინტერნის გაფართოებულ პლენუმის სხდომაზე:

გადამჭრელი ზომები გამთიშველების წინააღმდეგ

მოისმინა რა ცნობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციური ბლოკის „ბელადების" ახალი გამოსვლის შესახებ კომინტერნის პლენუმზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის მე-8 პარტკონფერენცია აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის „ბელადებმა" ზინოვიევმა, ტროცკიმ და კამენევმა თავისი გამოსვლით კომინტერნის პლენუმზე უხეშად დაარღვიეს პარტიისადმი მიცემული სიტყვა 16 ოქტომბრის განცხადებაში და მე-15 პარტკონფერენციაზე.

ჩვენს პარტიაში გაკოტრებულმა ოპოზიციამ კურსი აიღო ახალი ფრაქციული ბრძოლის დაწყებაზე საერთაშორისო მაშტაბით.

ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის წარმომადგენელთა ეს ლაშქრობის კურსი საერთაშორისო მაშტაბში კიდევ უფრო მაგრად დაიმსხვრევა კომუნისტური ინტერნაციონალის ბოლშევიკური რიგების ფოლადისებურ სიმაგრეზე.

კონფერენცია აღშფოთებით უკუაგდებს ოპოზიციური ბლოკის ცდას, რომ ბრალი დასდოს პარტიას მემარჯვენე გადახრაში და „საერთაშორისო რევოლიუციური პერსპექტივის ეროვნულ-რეფორმისტულ პერსპექტივით შეცვლაში".

პარტიას აღარ შეუძლია მოითმინოს ოპოზიციური ბლოკის თავშეუკავებელი პირების დეზორგანიზატორული მუშაობა.

გამოდის რა მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებიდან, — რომლის მიხედვით გადამჭრელი და სისტემატიური ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული სოციალ-დემოკრატიული გადახრის წინააღმდეგ პარტიაში, მანამ იგი სავსებით არ იქნება ძლეული, — კონფერენცია მოითხოვს, რომ გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული გამთიშველების წინააღმდეგ და აღუთქვამს საკავშირო კომპარტიის ცეკას თავის პროლეტარულ დახმარებას ამ ბრძოლაში.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლიუციის მსოფლიო შტაბს კომინტერნს"!

(რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად).

დელეგატ-ქალთა გადარჩევის შედეგები

ახლახან დასრულებული დელეგატ-ქალთა გადარჩევა და რაიონებში ჩატარებული დელეგატ-ქალთა საორგანიზაციო კრებები გვაძლევენ საშუალებას ჯამი გაუკეთოთ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დაუსახა საქ. კომ. პარ. თბილისის კომიტეტმა მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებას. კერძოთ ეს ამოცანები გამოიხატებოდენ შემდეგში: დელეგატ-ქალთა გადარჩევის კამპანიისათვის საერთო პარტიული ხასიათის მიცემა, გადარჩევაში მუშების, მოსამსახურეების, მუშების ცოლების და მუშა-ქალთა ფართო პარტიულ და უპარტიო მასების ჩაბმა, სადელეგატო კრებებში მუშა-ქალთა პროცენტის გადიდება. კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა გამოიხატა დელეგატ-ქალთა გადარჩევის შესახებ ცირკულიარებისა და ინსტრუქციების დამუშავებაში პარტიის რაიკომების პრეზიდიუმის სხდომებსა და უჯრედთა მდივნების თათბირებზე, უჯრედის ქალორგანიზატორებთან ერთად. ახალი გაწვევის დელეგატ-ქალთა კანდიდატურებს წინდაწინვე ასახელებდენ წარმოება-დაწესებულებებში ქალორგანიზატორები, უჯრედთა ბიუროებსა და წინა გაწვევის დელეგატ-ქალებთან ერთად. დელეგატ-ქალთა გადარჩევის საკითხზე ადგილობრივ პრესაში მოთავსებული იქნა მთელი რიგი წერილებისა. გადარჩევის საკითხების დაწვრილებით დამუშავების შემდეგ, წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდა კრებები, რომლებზედაც დასმული იყო მოხსენებები სადელეგატო კრებების მნიშვნელობის შესახებ დელეგატ-ქალთა ანგარიში და ახალ დელეგატ-ქალთა არჩევა. ჩატარდა 109 კრება.

კრებებში მონაწილეობა მიიღო: 5.631 ქალმა და 3.527 მამაკაცმა. სულ—9158 კაცი. ანგარიში ჩააბარა 106 დელეგატ-ქალმა.

ყველა კრებები, მცირეოდენის გამოკლებით, ძალიან გაცხოველებით ჩატარდა; მოხსენებებსა და დელეგატ-ქალთა ანგარიშების გარშემო შეკითხვებს აძლევდენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. კამათში ყველა ღებულობდა მონაწილეობას.

1926—27 წლის გაწვევის დელეგატ-ქალთა შემადგენლობას ქალაქ თბილისში შემდეგი ციფრები გამოხატავენ: სულ არჩეული იყო 865 დელეგატი ქალი. მათგან მუშა-ქალი—519—60 პროც. მოსამსახურე ქალი—123—14 პროც. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით: ქართველი 333—38,5 პროც., სომეხი—176—20,3 პროც., რუსი—284—32,9 პროც., თურქი—29—3,4 პროც., დანარჩენი ეროვნ.—43—5 პროც.

ამნაირად, უკეთებთ რა ჯამს გადარჩევის შედეგებს, ჩვენ ვამჩნევთ მუშა-ქალთა რიცხვის ზრდას ახალი გაწვევის სადელეგატო კრებებში და ფართო მასების მონაწილეობას გადარჩევაში. საჭიროა, აგრეთვე, აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო და ამან შესაძლებლობა მისცა მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებას დანიშნულ ვადისათვის დაესრულებინა გადარჩევა და ჩაეტარებინა რაიონში დელეგატ-ქალთა საორგანიზაციო კრებები, რომლებზედაც დასმული იყო მოხსენებები სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ. ამ კრებებზე დელეგატ-ქალები დანაწილებული იყვნენ ჯგუფებად ენის ნიშნების და მიხედვით და ჩაწერილი სექციებში. ამჟამად სადელეგატო კრებების ჯგუფები უკვე შეუდგნენ მეცადინეობას პროგრამის მიხედვით. რაც შეეხება სექციების მუშაობას, აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ დელეგატ-ქალები უმთავრესად ეწერებოდენ კოოპერატიულ, იურიდიულ და საბჭოს სექციებში.

პროფესიონალურ სექციაში ძალიან ცოტა ჩაეწერა და ამიტომ საჭირო გახდება ამ სექციის მოწყობა საერთო-საქალაქო მასშტაბით და არა თვითეულ სადელეგატო კრებასთან იურიდიულ და კოოპერატიულ სექციების მსგავსად. მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება ყურადღებას აქცევს იმას, რომ საკითხი დელეგატ-ქალთა პრაქტიკული მუშაობის შესახებ გადაწყვეტილ იქნას სათანადო საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საზოგადო ორგანიზაციებში. და რომ მეტი ყურადღება მიაქციონ სხვადასხვა ორგანიზაციებში მიმაგრებულ პრაქტიკანტ-დელეგატქალებს ამა თუ იმ ორგანიზაციების სათავეში მდგომმა ამხანაგებმა. სათანადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, რომლის მოწვევაც განზრახული აქვს თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებას, დაამუშავებს ამ საკითხს, ხოლო რაიკომების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებები საჭიროა შეუდგნენ დელეგატ-ქალთა აღრიცხვას, რომლებიც პრაქტიკულ მუშაობაში უნდა იქნან ჩაბმულნი. სადელეგატო კრებების მუშაობის მთავარ მომენტს წარმოადგენენ: პროგრამის მიხედვით საკითხების სისტემატიურად დამუშავება როგორც ჯგუფებში, ისე სექციებში, დელეგატ-ქალთა პრაქტიკულ მუშაობასთან საპროგრამო ნაწილის შეთანხმება, დელეგატ-ქალთა მიერ სისტემატიურად ანგარიშის ჩაბარება თავის ამომრჩევლების წინაშე. ამ ამოცანების განხორციელებას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება შესძლებს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების სისტემატიური დახმარებით, ვინაიდან **დელეგატ-ქალთა პოლიტიკური აღზრდა, მათი გაცნობა საბჭოთა მშენებლობასთან—ეს არის მთელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა.**

ო. კიდაიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წერკუმსის სკოლები

ქუთაისი, 14 დეკემბერი. ქუთაისის მაზრაში სულ არის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 160 სკოლა. მოწაფეთა რიცხვი უდრის 5.000. მეცადინეობა სკოლებში უკვე დაიწყო. ყველა სკოლებს აქვთ საჭირო სახელმძღვანელოები (ადს).

წითელი ჯვარის საზოგადოება

ფოთი, 14 დეკემბერი. შესდგა ფოთის წითელი ჯვარის საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება. მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 3.000 მან. შემოსავალი. საზოგადოების წევრთა რიცხვი გაიზარდა 300-დან 1000-მდე (ადს).

საფერშლო პუნქტი

ფოთი, 14 დეკემბერი. სოფ. პატარა ფოთში, ფოთიდან 12 ვერსის მანძილზე გაიხსნა საფერშლო პუნქტი გლეხებისათვის (ადს).

მედსანშრომის კონფერენცია

სიღნაღი, 14 დეკემბერი. შესდგა მედსანშრომის კავშირის სამაზრო კონფერენცია (ადს).

აჭარისტანი

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 14 დეკემბერი. ბათომის ნავთსადგურში ჰამბურგიდან და ლივერპულიდან მოვიდა გემი „კამენეც—პოდოლსკი", რომელმაც ჩამოიტანა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მანქანების ნაწილები, მედიკამენტები და სხ. სულ 1.440 ტონა.

წავიდნენ: ჰოლანდიური გემი „სლიდრეხტი" ლონდონში (წაიღო 6.384 ტონა ნავთი). ინგლისური გემი „დალეხტანი" ვლადივოსტოკში (წაიღო 8.493 ტონა ნავთი) და ნორვეგიული გემი „ნინა" ნორვეგიაში (ოსლოს მახლობლად) (ადს).

მიწის ფონდი

ბათომი, 14 დეკემბერი. აგრარული რეფორმის ჩატარებისა და მიწათმოწყობის შემდეგ აჭარისტანში შეიქნა მიწის ახალი ფონდი —3.227 სახნავი მიწა (მთელი ეს მიწა უკვე გადაეცა მცირე მიწის მქონე გლეხობას), 3.023 დეს. საზაფხულო საძოვარი, 1.975 დეს. ტყე და 521 დეს. გამოსაყენებელი მიწა (ადს).

წერილები

გუბელაძეების საქმე

(წერილი ბაღდათიდან)

გრიგოლ და ივანე გუბელაძეების მიერ ბიქტორ გუბელაძის მკვლელობა ა.-წ. 28 მაისს საზიზღარ სურათს იძლევა.

ბიქტორ გუბელაძე დილა ადრიან ამზადებს [illegible] მაშინან ვენახის საქმოდ. გრიგოლ გუბელაძე სტენის ფილთას ბიქტორის მოსაკლავად და მამამისის ივანეს კი მოწყობილი აქვს საქმე შვილის გასამართლებლად ქუთაისისკენ, რომ თვით გამოცხადდეს მთავრობის წინაშე უვნებლად. საქმის მომწყობი ივანეა — შემსრულებელი გრიგოლი.

ბიქტორი ადრიანად ჩადის მამულში და გულდაღლილი თავს დასტრიალებს ვაზებს. ამ დროს გრიგოლმა თოფი ჩალის კონაში გააძვრო (ეჭვი რომ არ აეღოთ), ამოიდო იღლიაში და ვითომ ხარებთან წაიღო ბიქტორის მეზობელ მამულში, ნამდვილად კი—შევიდა თუ არა ვიწრო ორღობეში ბიქტორის მამულის გვერდზე, ჩალა გადააგდო, თოფს მოუძებნა საფარი, როგორიც წინასწარ შემზადებული ჰქონდა ვენახის ღობით და დაუწყო ცხელბოლოდ ლოდინი. ვენახის პატრონმა ბევრი აღარ ალოდინა მხეცი გრიგოლი და ხვითქ გამსკდარი ბიქტორი მიაყუდა იარაღს. თოფმა იგრიალა და გულგაპობილი ბიქტორი ღრიალით გადაყირავდა შუაგულ მამულში, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ეს საქმე უკვე გაირჩა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, სადაც გრიგოლ გუბელაძეს მიუსაჯეს 10 წლის ციხე და ივანე კი გაანთავისუფლეს. მოკლულის ჭირისუფალმა საკასაციო საჩივარი გადაიტანა უმაღლეს სასამართლოში.

გერ-მან.

ამ ბოროტებას ბოლო უნდა მოეღოს

კახეთის ხაზზე ადგილი აქვს ბევრ უწესოებას, არის შემთხვევები, როდესაც ბოროტმოქმედნი უხვდებიან მატარებელს, უნთებენ წინ ლიანდაგზე ცეცხლს, ესვრიან ქვებს, უწყობენ შპალებს და რელსებს თავებში უქდავენ „კასტილებს". მაგალითისათვის მოვიყვან რამოდენიმე შემთხვევას. წნორის მახლობლად აბას წინედ ვიღაცეებს დაენთოთ ცეცხლი ზედ ლიანდაგზე, ესროლეს ქვა მატარებელს და თანაც გაუტეხეს გზის ოსტატს ბერიძეს. მელაანის მახლობლად აუტეხეს სროლა საბარგო მატარებელს 25 ნოემბერს № 196, როდესაც ის მოვიდა სადგ. მელაანში უფროსმა მემუხრუჭემ ჩოდილელმა განაცხადა, რომ 91 კილომეტრზე რელსის შუა ჩაედვათ ორი ცალი „კასტილები" და მატარებელი ხიფათს შემთხვევით ასცდა.

19 ნოემბერს ამავე მელაან-ბადიაურის გადასარბენზე, 79 კილომეტრზე, მატარებელი დაეჯახა ლიანდაგზე დაწყობილ ორ ძველ შპალს, მაგრამ მატარებელი შემთხვევით აქაც გადარჩა.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც საგანგებო კომისიამ, აგრეთვე მუშათა და გლეხთა მილიციამ, თორემ მოსალოდნელია, როგორც მატარებლის დამტვრევა, აგრეთვე ხალხის მსხვერპლიც.

ვლ. ნავრუზაშვილი.

წერილებიდან

ს. ახმეტა (თელავის მაზრა)

— **„იმედი" გამოკეთდა.** 14 წელიწადია არსებობს ჩვენი კოოპერატივი „იმედი". პირველ ხანებში „იმედი" უიმედო მდგომარეობაში იყო. კოოპერატივის უკანასკნელმა გამგეობამ საქმეების ჩაბარების დროს მიიღო: ძირითადი თანხა —90 კაპ. და 11 წევრი. 1925-26 წელი გამგეობამ დაამთავრა 8.905 მანეთის მოგებით და 2.054 წევრით. ძირითადი საპაიო თანხა „იმედს" აქვს 1600 მანეთი.

უტოლი.

ახ.-სენაკი

— **წისქვილი არა გვაქვს.** ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 5.000 კაცამდე აღწევს. მთელი ქალაქი მოკლებულია წისქვილს. ერთ დროს სადგურთან მუშაობდა წისქვილი, მაგრამ ის ამიტომაც მიკეტეს. ეხლა ქალაქის მცხოვრებნი სიმინდის დასაფქვავად დადიან 2—3 ვერსის მანძილზე, რაიც, რასაკვირველია, მრავალ გაუგებრობას და საყვედურებს იწვევს.

ზანი.

დ. ანაკლია, (ზუგდ. მ.)

სამკითხველო ცხრაკლიტულში. აქაური სამკითხველო მოთავსებულია სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთ შენობაში. ამიტომ სამკითხველო ღიაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მუშაობს ეს დაწესებულებები ისე კი მუდამ დაკეტილია. საერთო კარების გასაღებიც სამკითხველოს გამგის ხელში არაა. ასეთ პირობებში, სამკითხველოს მუშაობას რა ფასი ექნება? დროა ამას ყურადღება მიექცეს.

ჯუჯელი.

ს. ქვაშუდი (ქუთ. მ.)

— **შეფი გვეხმარება.** ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია კულტურულად. მიმდინარე წლის ნოემბრიდან ქვაშუდზე შეფობა აიღო ადგილობრივ რკ. გზის ხიდის მუშებმა. ამ მოკლე ხანში შეფი ორჯერ გვეწვია. მან მოგვიწყო სამკითხველო, მოგვიტანა ჟურნალ-გაზეთები. ახლო მომავალში შეფი გამართავს წარმოდგენასაც.

გან-ვანი.

წითელ ჯარში

ექიმ-ვეტერინარის იუბილე

ამას წინეთ შესრულდა კავკასიის ჯარების ყოფილ სავეტერინარო ინსპექტორის, ამჟამად კ. წ. დრ. ლაშქრის სამოსწავლო სანალბანდოს მასწავლებლის, სავეტერინარო მეცნიერებათა მაგისტრის თედორე ვასილისძე ლისიცინის სამეცნიერო, საექიმო და საზოგადოებრივ ასპარეზზე განუწყვეტელი მოღვაწეობის 50 წლისთავი.

1921 წლიდან ამხ. ლისიცინი თავის სურვილისამებრ ქართულ წითელ ბრიგადის სავეტერინარო ლაზარეთის ექიმ-ვეტერინარად დაინიშნა. აქედან იგი ჯერ არმიის სავეტერინარო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგის თანაშემწედ გადაიყვანეს. შემდეგ კი არმიის სამოსწავლო სანალბანდოს მასწავლებლად, სადაც იგი დღესაც დაუღალავად და ენერგიულად მუშაობს. ამხ. ლისიცინს დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული, როგორც ვეტპერსონალის მხრივ, ისე წითელ არმიელთა შორის, რომლებიც მას „ბაბუა ლისიცინს" უწოდებენ. ამხ. ლისიცინი დიდი მცოდნეა სავეტერინარო მედიცინისა.

მას ბევრი სამეცნიერო ნაწარმოები და წერილები აქვს მოთავსებული სხვადასხვა სამეცნიერო სავეტერინარო ჟურნალებში. ამ მხრივ კარგად იცნობს მას საბჭოთა კავშირის ვეტპერსონალი.

18 დეკემბერს კ. წ. დრ. არმიისა და ფლოტის სახლში კ. წ. დრ. არმიის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ვეტპერსონალი ამხ. ლისიცინის 50 წლის მოღვაწეობას ზეიმობს. იგი ღირსიც არის ასეთი დამსახურებული საიუბილეო ზეიმისა.

ქ. ფარეიშვილი.

სამხედრო წვევამდე მზადება

მე-2-ე მსრ. დივიზიის უფროსის ბრძანების თანახმად, წელს წვევამდე მზადებას გაივლიან ახალგაზრდები, დაბადებულნი 1905 და 1906 წელში.

ხსენებულ ახალგაზრდების საექიმო შემოწმება და გასაწვევ სიებში მიწერა დასრულებულ უნდა იქნეს 1927 წლის 1 იანვრამდე. რისთვისაც ყველა ახალგაზრდა, რომელსაც ეხება წვევამდე მზადება, ვალდებულია გამოცხადდეს დროზე სათანადო სამხედრო კომისარიატში.

1905 წელში დაბადებული ახალგაზრდების სწავლება დაიწყება 1927 წლის 17 იანვარს 1906 წელში დაბადებულების კი—27 თებერვალს.

ის ახალგაზრდები, რომლებიც არ გამოცხადდებიან შემოწმებაზე, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის

თბილისის მოსახლეობისადმი

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ა.-წ. 17 დეკემბერს დაიწყება მოსახლეობის საერთო აღწერა.

ჩვენს სახელმწიფოს ყოველ ნაბიჯზე ესაჭიროება სწორი და უტყუარი ცნობები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. უამისოდ კავშირის მეურნეობის გეგმიანი გზით წარმართვა წარმოუდგენელია. მომავალი დეკემბრის აღწერის ცნობები იქნება ის საფუძველი, რომელსაც დაემყარება საბჭოთა სახელმწიფო თავის საქმიანობაში. აღწერა მოგვცემს საშუალებას: 1) შევადგინოთ გეგმა საყოველთაო სწავლის შემოღებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, 2) შევიმუშაოთ სამკურნალო-სანიტარულ დაწესებულებების სწორი ქსელი, 3) დავამუშაოთ საშუალებანი დავრდომილების უზრუნველსაყოფად, 4) გამოვარკვიოთ უმუშევართა რაოდენობა და შევიმუშაოთ ამ უმუშევრობის საწინააღმდეგო ზომები, 5) შევადგინოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გეგმა, ვინაიდან ჯერ კიდევ კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში ვიმყოფებით, და მრავალი სხვა.

აი მოკლეთ მომავალი აღწერის მთავარი მიზნები. მეფის რუსეთის აღწერების დამახინჯებული მიზნებით დაშინებულმა ხალხმა შეიძლება ოდესმე იფიქროს, ვითომც მოსახლეობის აღწერა მიმართული იყო სხვადასხვა დაბეგვრისათვის და აღწერის დროს გაექცეს ამ თუ იმ ცნობების სწორ მიცემას. ასეთი გაგება აღწერის მიზნებისა უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, აღწერის ბლანკების სხვა რომელიმე მიზნისათვის გამოყენება სასტიკათ აკრძალულია.

ყოველ მოქალაქისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ თუ ამ უსასტიკეს მომჭირნეობის რეჟიმის დროს ათეული მილიონები იხარჯება აღწერისათვის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კავშირის მთავრობას ხელთ ჰქონდეს საჭირო ცნობები მოსახლეობის შესახებ, ურომლისოდაც, როგორც ზემოთაც ვსთქვით, წარმოუდგენელია გეგმიანი აღმშენებლობითი მუშაობა. კერძოთ, ვიცით, თბილისს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არამც თუ საქართველოში, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით, თავისი მდგომარეობით და მოსახლეობის რიცხვით.

თბილისი ამიერ-კავკასიის ცენტრია, აქ მოთავსებულია გაერთიანებული თუ რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატები და სავაჭრო სამრეწველო ორგანიზაციები. ამიტომაც მას აღწერის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. თბილისის აღმასკომის მიერ ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ აღწერა სათანადოთ ჩატარდეს.

წინასწარი მუშაობა უკვე დასრულებულია. სააღწერო ბიურო მზათ არის შეუდგეს აღწერას, მაგრამ სათანადო აღწერის ჩასატარებლად ეს მაინც არ კმარა: საჭიროა ხალხის თანაგრძნობა და აღწერისადმი შეგნებული შეხვედრა.

რესპუბლიკის ყოველ შეგნებულ მოქალაქეს აღწერა თავის საკუთარ საქმეთ უნდა მიაჩნდეს და იზრუნოს, რომ დღეს მოთავსებული სავალდებულო დადგენილება სავსებით შესრულებული იქნეს.

მხოლოდ შვიდი (7) დღე გასტანს თბილისის აღწერა და თუ ხალხი თანაგრძნობით არ შეხვდა აღმწერლებს და არ მიაწოდა მათ სწორი და უტყუარი ცნობები ფორმულიარების კითხვებზე, ჩვენ ისეთ მასალას მივიღებთ, რომელიც მოკლებული იქნება სათანადო მნიშვნელობას.

აღწერის წარმატებით ჩატარება ჩვენთვის კიდევ ერთი დიდი გამოცდის დაჭერაა. ამით ერთხელ კიდევ დავამტკიცებთ ჩვენი კავშირის ორგანიზაციულ გამაგრებას.

ამიტომ თბილისის აღმასკომი მოუწოდებს თბილისის მოსახლეობას შეგნებულად შეხვდეს დეკემბრის აღწერას და თავის მხრით ხელი შეუწყოს აღმწერლებს, რომ აღწერა სავსებით წარმატებით ჩატარდეს.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილების გამგე შ. გომართელი.

მუშაობა აჭარისტანში

მოსამზადებელი მუშაობა საყოველთაო აღწერისათვის აჭარისტანში დამთავრდა ერთი კვირის წინად. 12 დეკემბერს დაიწყო წინადღეობა რეგისტრატორების მოსამზადებლად, რომელიც გაგრძელდება 15 დეკემბრამდე. რეგისტრატორების მიერ ჩატარებულ სანიმუშო აღწერის შემდეგ სამუშაოდ დაშვებულ იქნება 213 კაცი. აქედან 104 იმუშავებს ქალაქში, ხოლო 109 მაზრებში. დამთავრებულია აგრეთვე საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა: დაგზავნილია წიგნები, პლაკატები, გეგმები და სხვა.

ქალაქი დაყოფილია ოთხ სააღწერო რაიონად, 14 საინსტრუქტორო რაიონად და 104 სააღწერო უბნად; მაზრები — 4 სააღწერო რაიონად, 12 საინსტრუქტორო რაიონად და 109 სააღწერო უბნად. შედგენილია სააღწერო რაიონების და უბნების კარტები ანუ პლანშეტები. რეგისტრატორებს დაურიგდებათ საკვარტალო პლანშეტები, სადაც აღნიშნულია მცხოვრებლის ბინა. მაზრის ინსტრუქტორებს დაურიგდებათ სააღწერო უბნების გეგმები, რეგისტრატორებს დასახლებული ადგილების სიები.

მიღებულია ზომები კონტროლის შესაფერ სიმაღლეზე დასაყენებლად.

გარდა ამისა, რეგისტრატორები მიიღებენ სამარშრუტო გეგმას, სადაც აღნიშნულ იქნება დასახლებულ პუნქტების აღწერის წესრიგი. დახურული დაწესებულებები (ინტერნატები, საავადმყოფოები, საპატიმრო სახლი) აღწერილ იქნება საგანგებო წესით.

აღწერის ქრონიკა

მომთაბარეთა აღწერა

ვინაიდან საქართველოს ზოგიერთ მაზრებში ძლიერ გავრცელებულია მომთაბარეობა, აღწერის განყოფილებამ ახსნა - განმარტება დაუგზავნა ადგილებს, რომ მომთაბარენი აღწერილ უნდა იქნენ საზამთრო ბინებზე.

მოხალისე კორესპონდენტები

სამაზრო სტატბიუროებს მიეწერათ, რომ აღწერის ჩატარებაში ჩაბან გარდა მასწავლებლებისა სტატბიუროების მოხალისე კორესპონდენტები.

სვანეთის შორეულ სოფლებში

სვანეთიდან მიღებულია ცნობა, რომ აღმწერლებმა უკვე მოახერხეს დანიშნულ ადგილებზე მისვლა და სააღწერო მასალების ჩატანა.

თავთავიანთ ადგილებზე

ცენტ. სტატ. სამმართველომ მისწერა სამაზრო სააღწერო კომისიებს მიიღონ ფიცხელი ზომები, რომ 17 დეკემბრისათვის ყველა აღმწერელი ჩასული იქნეს ერთი დღით ადრე თავის სააღწერო რაიონში.

ხანძარი ტყიბულის მაღაროებში

(გამომკვლევ კომისიის დასკვნები)

ტყიბულის მაღაროების ხანძრის გამომკვლევი კომისია, რომელშიაც შედიოდენ ს. მ. ო. ს. სამთო განყოფილების სათბობ მასალათა, მაღაროების სამმართველოების და სხვა ორგანოების წარმომადგენელნი, მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

ხანძრის გაჩენა მაღაროებში მიეწერება ტყიბულის ქვანახშირის თვისებებს. ნახშირი ამ თვისებათა გამო ადვილად ინთება, რაც ჩვეულებრივი შემდეგი სახით წარმოებს: ნახშირის ფშვნილი დიდი ფენების სიმძიმის ქვეშ ძალიან შეხებით იწყებს გახურებას და ინთება, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე ჟანგბადის სიუხვე ტყიბულის ნახშირში.

ხანძარი ტყიბულის მაღაროებში პირველად არ ხდება. ყოველ მაღაროში რამოდენიმე წლის მუშაობის შემდეგ, ადგილი აქვს ცეცხლის გაჩენას. ცეცხლის გაჩენის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნახშირიდან დაცარიელებული სივრცე ამოვსებული იქნება რაიმე უწვავი ნივთებით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ცარიელ სივრცის ამოვსება შეუძლებელი ხდება. ორი - სამი წლის შემდეგ იმ მაღაროში, სადაც ცეცხლი გაჩნდა მოსალოდნელი იყო ხანძარი. ზემოხსენებულ ვადაზე ადრე ხანძრის გაჩენის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ახალი მაღაროს ნახშირის მეტის - მეტი ფხვიერობა და მაღაროების პორიანობა, რომელიც ხელს უწყობს ჰაერის თავისუფალ მოძრაობას. გარდა ამისა, ნახშირის დიდი მოთხოვნილების გამო მაღაროებში მუშაობა სწარმოებდა შემოღებულ სისტემის დაუცველად, ე. ი. ნახშირიდან დაცარიელებული ადგილები არ ივსებოდა უწვავი ნივთიერებით. სწორედ ამ გარემოებამ დააჩქარა ცეცხლის გაჩენა მაღაროში. ვინაიდან ისეთ პირობებში, როგორშიაც მაღაროში ცეცხლი გაჩნდა, საერთოდ შეუძლებელი ხდება ბრძოლა ცეცხლთან და მუშაობის გაგრძელება, საგანგებოთ მოწვეულმა თათბირმა გადასწყვიტა შეეჩერებინა მაღაროს მიდამოებში ნახშირის ამოღება და ცეცხლმოდებულ რაიონებიდან სხვა მაღაროების გამოცალკევების მიზნით გაუვნებლად შესდგომოდა ზღუდეების მოწყობას. ამასთანავე თათბირმა დაადგინა გადაერჩინა დაღუპვას მიწის ქვეშ მყოფი ყველა მოწყობილობანი და იარაღები. დადგენილება დაუყოვნებლივ შესრულებული იქნა; ამოტანილ იქნა ელექტრონის მავთულები, არმატურა და საცხრილი იარაღები. ამჟამად მუშაობა ცეცხლმოდებულ რაიონებში სავსებით შეჩერებულია და სწარმოებს მუშაობა ზღუდეების ასაგებად.

ცეცხლთან ბრძოლასთან ერთად სწარმოებს საორგანიზაციო მუშაობა ნახშირის ახალ მაღაროების გასახსნელად. შემდეგისათვის, ამ სამ - ოთხი წლის განმავლობაში, მუშაობა [illegible] ფინზე, რომლის მარაგი ერთ მილიონ ფუთს უდრის. ამ ფინის დასამუშავებლათ განზრახულია სათანადო სისტემით მუშაობა. თუ ამ სისტემამ [illegible] ნაყოფი გამოიღო, იანვარში ნახშირის ამოღება მიაღწევს ნორმას ე. ი. 500 ათას ფუთს თვეში. დეკემბერში საერთო ამოღება მიყვანილი იქნება 230 ათას ფუთამდე.

სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია

(„ზაკორგსტროი")

ამ დღეებში მუშაობას დაიწყებს ახალი ორგანიზაცია, ე. წ. „ზაკორგსტროი", რომლის დანიშნულების შესახებ ა.-კ. მ.-გ.-სთან არსებულ სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი ინსპექციის უფროსმა ამხ. ს. ვარდანიანმა განაცხადა შემდეგი:

თანახმად მე-15-ე პარტკონფერენციის დადგენილებების და ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენებისა (მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოქმედების პერსპექტივებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ) სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების, მისი მოქმედების სრული და რადიკალური გაუმჯობესების და აგრეთვე მისი მუშაობის მეთოდების განმარტივების საკითხები, ამჟამად მთელი თავისი სიგრძე სიგანით სდგას დღის წესრიგში. სწორედ ამ ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად არსდება „ზაკორგსტროი", რომლის მთავარი ფუნქციებს შეადგენს შემდეგი: 1) ყოველგვარი ტიპის ანგარიშის წარმოებისა და აღრიცხვის რეორგანიზაცია და სათანადო დონეზე დაყენება (ფინანსიური, მატერიალური, სამეურნეო, საკალკულიაციო, სასტატისტიკო და სხვა). 2) საქმის წარმოების რეორგანიზაცია და სათანადო სიმაღლეზე დაყენება. 3) დაწესებულებათა და მათი ნაწილების ორგანიზაციის და სტრუქტურის სქემათა გამომუშავება, მუშახელის და ინვენტარის გამოყენების გაუმჯობესება, საქონლის ბრუნვისა და მასალების დაჩქარება და სხვა.

ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა შეიქნეს სათანადო მატერიალური და პერსონალური პირობები, ამიტომ „ორგსტროის" მუშაობის პროგრამაში შევა: საკანცელარიო და სამმართველო მუშაობის ყველა დარგებისათვის მუშაკთა მოსამზადებლად კურსების მოწყობა; დაწესებულებისათვის სტანდარტული ბლანკების, ფორმების, ინსტრუქციების გამოცემა და სხვა, დამამზადებელ-მიმწოდებელ ოპერაციების წარმოება: დაწესებულებებისათვის რაციონალიზაციაქმნილი ავეჯის, ბარათების, სააღრიცხვო მანქანების მომარაგება და სხვა. უკანასკნელ ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამჟამად დაწესებულებებს საშუალება არა აქვს თავის მუშაობისათვის გამოძებნონ სტანდარტული ფორმები და შეურჩიონ შესაფერი ავეჯი საქმის ნაყოფიერი წარმოებისათვის. მოხერხებულ მუშაობის ფორმების სტანდარტიზაციას და მოხერხებული ავეჯის ხმარებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. სწორედ ამ ფუნქციას კისრულობს „ორგსტროი", რომელიც სხვათა შორის, გაანთავისუფლებს დაწესებულებებს ზედმეტი ხარჯებისაგანაც.

საჰაერო ლატარია

დღეს, 15 დეკემბერს მთელ საბჭოთა კავშირში იწყება პირველი საკავშირო საჰაერო ლატარიის ბილეთების გაყიდვა.

გამოშვებულია სულ 2 მილიონი ბილეთი. თითო ბილეთი ღირს 50 კაპ. როგორც აღნიშნული იყო, მოგებათა შორის არის მთელი ქვეყნის შემოვლა ჰაეროპლანით. მოგებათა შორის აგრეთვე არის 7.939 შემოფრენა მოსკოვს,—ლენინგრადს,—ხარკოვს—ნოვოსიბირსკს და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებს გარშემო. სულ გამოშვებულია 8.002 მომგებიანი ბილეთი, რომელთა ღირებულება უდრის 111.401 მანეთს, ისინი, რომელთაც მოგება ხვდებათ იმოგზაურებენ საუკეთესო სამოგზაურო თვითმფრინავებით, რკინის გზებზე რბილი ვაგონებით, ხოლო ზღვაზე პირველი კლასის კაიუტით. შეჩერების ყველა პუნქტებზე მათ შეეგებებათ და მიაცილებენ გამყოლი—თარჯიმნები. პირად ხარჯებისათვის მათ მიეცემათ დღიური ხუთმეტი მანეთის რაოდენობით, ხოლო ამერიკაში მოგზაურობის დროს—25 მანეთი. ზღვაზე გემებით მოგზაურობის დროს, მოგზაურნი დღიურის გარდა მიიღებენ მთელს ხარჯს ნატურით. (საუზმე, ვახშამი, სადილი და სხ.) ყველა. იმათი სიცოცხლე ვინც მოისურვებს გამგზავრებას, დაზღვეული იქნება. თუ ვინიცობაა მოგებულს სხვადასხვა მიზეზების გამო, არ მოუხერხდება გამგზავრება, მას საშუალება აქვს თავისი უფლება გადასცეს, ვისაც სურს. მუშა-მოსამსახურეებს მთელი მოგზაურობის განმავლობაში მიეცემათ თავისი საშუალო ხელფასი, მხოლოდ მათ მიერ დაკავებული თანამდებობა შეენახებათ საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად. გლეხებს თავისი ხელფასის ასანაზღაურებლად მიეცემათ სათანადო თანხა, არა ნაკლებ ასი მანეთისა (დღიურს გარდა).

ყირიმში და კავკასიაში მოგზაურობის დროს, მოგებულთ ეძლევათ საშუალება 10—12 დღის განმავლობაში დარჩენ რომელიმე კურორტზე სალატარიო კომიტეტის ხარჯზე. მოგებულთ იმ შემთხვევაში, თუ არ მოისურვებენ მგზავრობას, მიეცემათ ფული მთელი ამ მოგზაურობის ღირებულების მიხედვით. ლატარიის გათამაშება დანიშნულია 1927 წლის პირველი ივლისისათვის.

1.100.000 ფუთი შაქარი

საკავშირო შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილების 1925-27 წლის საოპერაციო გეგმის მიხედვით, წელს თბილისის განყოფილების სამოქმედო რაიონში (საქართველო, სომხეთი, ნახიჩევანის მხარე, აფხაზეთი და აჭარისტანი) შემოტანილი იქნება 1.100 ვაგონი, ანუ 1.100.000 ფუთი შაქარი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტალისათვის საჭირო შაქრის რაოდენობა დარჩა გასული წლის მარაგიდან; მეორე კვარტალის ანგარიშში უკვე მიღებულია საჭირო რაოდენობის ნახევარი.

მთელი წლის განმავლობაში შემოსატან შაქრის მთელი რაოდენობის 75-80 პროც. შემოტანილი იქნება მეორე კვარტალში; დანარჩენი კი შემოტანილი იქნება თანდათანობით. შაქრის ასეთი ნაჩქარევად შემოტანა გამოწვეულია იმით, რომ საჭიროა ქარხნების განტვირთვა შაქრის მარაგისაგან.

შარშანდელთან შედარებით შემოსატან შაქრის რაოდენობა გადიდებულია 10 პროც.

წელს შემომზიდველ პუნქტების რიცხვი გადიდებულია; შარშან იყო 23 პუნქტი, წელს კი იქნება 26.

ომის წინა ხანების ნორმა შაქრის შემოტანაში მიღწეული იქნა ჯერ კიდევ შარშან. წელს შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილებას ამ მხრივ აქვს ერთგვარი გადამეტება.

შაქრის ტრესტის გარდა შაქრის შემოტანას ამიერ-კავკასიაში აწარმოებს სააქციო საზ-ბა „სევკავტორგ"-ი, რომელზედაც მოდის შემოსატან შაქრის საერთო რაოდენობის 15 პროც.

სამშობიარო დახმარება

სოცდაზღვევის სამმართველოს დადგენილებით, სამშობიარო ერთდროული დახმარების გაცემის წესი შეცვლილია შემდეგ ნაირად: ახალ დაბადებულთა მოსავლელათ დახმარების გაცემა იწარმოებს მშობიარობის შემდეგ, საქალაქო აქტების ჩამწერ ორგანოდან შემოწმებულ საბუთის წარმოდგენისთანავე, რომელზედაც სოცდაზღვევის ორგანო აღნიშნავს მისაცემ დახმარების რაოდენობას.

სომეხი და ქართველი მუშები ამერიკაში

ამერიკიდან თბილისში ჩამოვიდა მუშა **აბზარუმ სიმონიანცი**, რომელმაც 16 წელიწადი დაჰყო ამერიკაში; იგი მუშაობდა ფილადელფიის სხვადასხვა ქარხნებში.

ამხ. სიმონიანცმა სომეხი და ქართველი მუშების ცხოვრების შესახებ ამერიკაში განაცხადა შემდეგი:

— ამერიკაში ამ ჟამად იმყოფება 100.000-მდე სომეხი; აქედან 75.000 მუშაა, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ქარხნებში, უმთავრესად ნიუ-იორკში, ფილადელფიაში, კალიფორნიაში და სხვა ადგილებში. ფორდის ქარხანაში მუშაობს 100-დე სომეხი მუშა.

ქართველ მუშების რიცხვი ამერიკაში მცირეა; სულ სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულია ასამდე ქართველი მუშა.

როგორც სომეხ, ისე ქართველ მუშებს ძალიან უნდათ საბჭოთა სომხეთში და საქართველოში წამოსვლა, მაგრამ ძნელია ვიზის მიღება და ამას გარდა მათ თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა ხდება აქ; მათ, როგორც მუშებს აინტერესებთ შესაძლებელია თუ არა აქ სამუშაოს შოვნა.

ჩვენ ამერიკიდან ჩამოვედით ოთხი მუშა. ორი აქ რჩება, დანარჩენები კი საბჭოთა სომხეთის მდგომარეობის გაცნობის შემდეგ მიემგზავრებიან ისევ ამერიკაში, სადაც დაწვრილებით გააცნობენ იქაურ სომეხ მუშებს იმას, თუ რა ხდება და როგორი აღმშენებლობითი მუშაობაა ამ ჟამად სომხეთში.

სხვათა შორის ამერიკაში იმყოფება ამ ჟამად დაშნაკების ორი „მოღვაწე". ყოფ. მინისტრი **დარბინიანი** და გენერალი **სებუ**. პირველი თანამშრომლობს იქაურ დაშნაკურ გაზეთ „მაირენიკ"-ში („სამშობლო"), მეორე კი ხორცით ვაჭრობას ეწევა.

ზაჰესი

ნაკადის გადაცემა დაიწყება თებერვალში

გუშინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ზაჰესის სამუშაოთა უფროსის მოადგილესთან—ინჟ. მელიქ-ფაშაევთან, რომელმაც მუშაობის მიმდინარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ამ ჟამად თავდება ტურბინების და გენერატორების მონტაჟი, რომლის დასრულება მოსალოდნელია დეკემბრის 25-სათვის. ამ დროისათვის საბოლოოდ მზათ იქნება არხი წყლის პირველათ გასაშვებად.

ტურბინების და გენერატორების მონტაჟის დასრულების შემდეგ დაიწყება ტურბინების გამოცდა და გენერატორების და ტრანსფორმატორების გაშრობა, რასაც დასჭირდება 6 კვირა. თუ ეს ოპერაციები ჩქარატებით დამთავრდა, შესაძლებელი იქნება მანქანების გამოცდა და ამუშავება.

ამ ჟამად ყველა ნაწილები მზათაა. თუ მანქანების გამოცდამ დადებითი შედეგი გამოიღო, ნაკადის გადაცემა დაიწყება თებერვლის ბოლო რიცხვებიდან. გამოცდა იწარმოებს ერთდროულად დროს ყველა ტურბინზე.

ზაჰესის სამუშაოების შემცირებასთან ერთად შემცირდება მუშების რიცხვიც. თუ წინეთ მუშების მაქსიმალური რიცხვი უდრიდა 4.000 კაცს, ამ ჟამად ზაჰესში მუშაობს მხოლოდ 300-მდე კაცი. ამას გარდა, ტრესტები ამუშავებენ კიდევ 100-დე კაცს. აღნიშნულ 300 კაციდან 120 კვალიფიციური მუშაკებია, დანარჩენები დღიური მუშები.

დღევანდლამდე ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგებაზე დაიხარჯა სულ 15.000.000 მანეთი; ხარჯთაღრიცხვა კი შედგენილია 15.[illegible]00.000 მანეთის რაოდენობით. სადგურის დამთავრებისათვის საჭირო ხარჯები არ გასცილდება ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევ თანხას.

„თბილისის ვაჭრობა"

საზოგადოება „თბილისის ვაჭრობის" ბრუნვა ივლისიდან დღემდე უდრის 2 ნახევარ მილიონ მანეთს.

ამჟამად განზრახულია ძირითადი თანხა აყვანილი იქნას ერთ მილიონამდე. „თბილისის ვაჭრობა" წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციას. მას აქვს კავშირი საბჭოთა კავშირის მთავარ სინდიკატებთან. საზოგადოება ოპერაციებს აწარმოებს თბილისში და მის მაზრაში და იმყოფება თბილისის აღმასკომის და კომუნალურ ბანკის გამგებლობაში.

თბილისის ბირჟაში

კერძო ვაჭრობის სექციაში

თბილისის ბირჟის კერძო ვაჭრობის სექციაში განხილულ იქნა საკითხი, კერძო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

სექციის სხდომაზე მეწვრილმანეთა კომიტეტის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენება ფართლეულის, გალანტერეის, სილიკატების, ღვინის და საბაყლო ბაზრების მდგომარეობის შესახებ.

ფართლით მოვაჭრეთა წარმომადგენელმა დახასიათა ის მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან წვრილად მოვაჭრე მანუფაქტურისტები. მან განაცხადა, რომ წელს მოთხოვნილება საზონო ფართლეულზე გაცილებით აღემატება შარშანდელ მოთხოვნილებას.

გალანტერეით მოვაჭრეთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გალანტერეაზე ისეთ ნაკლებობას როგორც მანუფაქტურაზე ადგილი არ აქვს, მაგრამ ნაწილობრივ ისინიც ვერ არიან უზრუნველყოფილი საქონლით.

სილიკატის ნაწარმოებით მოვაჭრეთა წარმომადგენლის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ისინი საქონლით მომარაგებული არიან საკმაოდ. ნაკლებობას აქვს ადგილი მხოლოდ ფაიანსის ნაწარმოების და ლამფის შუშების მხრივ.

მეღვინეთა წარმომადგენელმა მიუთითა ღვინის ბაზრის არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. მისი განცხადებით ღვინოზე ჯერ კიდევ ვერ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფასები.

საბაყლო საქონლით მოვაჭრეთა წარმომადგენელმა დახასიათა ბაზრის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ბაზარი განიცდის ნაკლებობას მთელ რიგ საქონლების მხრივ, როგორც მაგალითად: ჩაი, პილპილი, ბრინჯი და სხვა.

სექციამ მოხსენებები მიიღო ცნობათ.

შრომის ინსტიტუტი

შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში არსდება შრომის რწმუნებულთა ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი, ანუ შრომის საქმეთა რწმუნებულის თანამდებობა არსდება პატარა მრეწველობის იმ რაიონებში, სადაც არ არსებობს შრომის ინსპექტორთა კამერები.

რძე მუშებისათვის

უკანასკნელ ხანებში ჩვენში [illegible] მავნე ხასიათის წარმოებებში მუშებს სპეც-რძის ნაცვლად ეძლეოდათ კარაქი. ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა მრავალ გაუგებრობას, რის გამო ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით აიკრძალა სპეც-რძის ნაცვლად კარაქის მიცემა.

ახალი ლაბორატორია

1-ლ იანვრიდან თბილისში გაიხსნება ს. მ. უ. ს. ქიმიო - ტექნიკური ლაბორატორია.

ლაბორატორიასთან უკვე მოეწყო განყოფილება: ანალიტიური, ტექნიკური და პრეპარატების დასამზადებელი.

ლაბორატორია მომარაგებულია უკანასკნელი სისტემების აპარატურით და საუკეთესო მოწყობილობებით.

სას.-სამ. გადასახადი

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფი კამპანიის დაწყებიდან ვიდრე 1926 წლის პირველ დეკემბრამდე მთელ ამიერ-კავკასიაში შეკრებილია სულ 2.936.815 მანეთი, რაც მთელი შესაკრეფი გადასახადის 45,1 პროცენტს უდრის.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით სასოფლო სამეურნეო გადასახადის შემოსავალი ასე ნაწილდება: აზერბეიჯანიდან აკრეფილია 1.803.361 მანეთი ანუ მთელი წლიური შემოსავლის 53,74 პროც., საქართველოში 695, 6[illegible]0 ანუ წლიური გადასახადის 36, 62 პროც., სომხეთში 437, 778 მანეთი ანუ წლიური გადასახადის 40.42 პროც.

ამავე ხნის განმავლობაში შემოსულია 45.361 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი (აზერბეიჯანიდან 23.062 მანეთი, საქართველოდან 15,596 მან. და სომხეთიდან 5893 მან.).

მუშათა ცხოვრება

დღეს, სად. 5 საათზე „კომუნისტის" ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტის" მუშკორთა მორიგი კრება.

ქარხკომის საქმიანობა

3 დეკემბერს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ში შესდგა ამავე ქარხნის და შეფად აყვანილ მეორე საარტ. ლეგიონის კომუჯრედების გაერთიანებული ღია კრება. კრებას დაესწრო საგრძნობი რიცხვი უპარტიო მუშების და წითელარმიელების.

დღის წესრიგში სხვათაშორის იდგა კითხვა ქარხკომის მუშაობის შესახებ.

ქარხკომის ოთხი თვის მუშაობის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ქარუმიძე.

ქარხკომში შედის 11 კაცი, რომელთანაც არსებობენ სხვადასხვა კომისიები, მუშათა საკონფლიქტო კომისია, საწარმოო კომისია, კულტკომისია, ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობა, შრომის დაცვის კომისია. ყოფილა კიდევ სხვა კომისიებიც.

სულ კომისიების მუშაობაში ჩაბმულია 90 კაცი; აქედან 46 პარტიულია და 44 კი უპარტიო. მათში 42 ქალია და 48 მამაკაცი.

კულტურულ მუშაობის შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იცემოდა კედლის გაზეთი, მუშებისათვის ეწყობოდა ლექციები, ჩატარებულა ექსკურსია საქართველოს მუზეუმში. დაარსებულია საჭადრაკო, ფიზკულტურის და სხვა წრეები. ჩატარებულია წერა-კითხვის და წვრილ მცოდნეთა მუშების აღრიცხვა, რომლებიც უკვე გაგზავნილი არიან ლიკ. პუნქტებში. წითელ კუთხეში გამოწერილია 16 ეკზ. ჟურნალ-გაზეთი. გაზეთებს იწერენ თვით მუშებიც.

წითელი კუთხე დიდ სულიერ საზრდოს აძლევს მუშებს, რითაც ისინი კმაყოფილი არიან.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ურთიერთ დამხმარე სალაროს მუშაობას, საიდანაც მუშები ინდივიდუალური დახმარებით სარგებლობენ. სალაროში ითვლება 250 წევრი.

ამხ. ქარუმიძემ ბოლოს აღნიშნა და ხაზი გაუსვა ქარხკომის და ხსენებულ კომისიების მუშაობის ზოგიერთ დეფექტებს.

ანგარიშის შემდეგ მუშებმა და წითელ-არმიელებმა ქარხკომის თავმჯდომარეს მრავალი შეკითხვები მისცეს და კამათში მიიღეს მონაწილეობა.

მუშები აღნიშნავდენ, რომ მბეჭდავთა კავშირი არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ქარხკომს.

უკვე 4 თვეა, რაც კოლოფების ქარხნის მუშები ჩაერიცხეთ მბეჭდავთა კავშირის წევრებათ (წინეთ ვირიცხებოდით გიმო-კიების კავშირში) და კავშირი გულცივობას იჩენს ჩვენი ქარხნის მიმართ. მუშებმა თითქმის არ იციან კავშირის ხელმძღვანელებს, რის გამო მუშები უკმაყოფილო არიან.

მბეჭდავთა კავშირს, რომ სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია ქარხნის მუშაობისათვის, [illegible] მუშაობა და აგრეთვე სხვა კომისიების მუშაობაც უფრო დამაკმაყოფილებელი იქნებოდა მუშებისათვის.

საერთო კრებამ ქარხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და უსურვა შემდეგში ნაყოფიერი მუშაობა და ნაკლულევანებების გასწორება.

ვფიქრობთ, რომ მბეჭდავთა კავშირიც ამიერიდან ყურადღებას მიაქცევს ქარხანას და [illegible] მუშების მოთხოვნილებას.

მუშკორი ი-ნო.

მორიგი მიღწევა

12 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივ ქართულ დრამწრესთან არსებულ „ცოცხალი გაზეთი"-ს წრის მიერ სოსო შეპურიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა საღამო.

პირველად ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წავიდა „ცოცხალი გაზეთის" შესავალი—„წითელი მხედარი", როგორც ეტყობა მუშა-ახალგაზრდობას დიდი მომზადება აქვს, და ძალიან კარგად აკმაყოფილებს მუშათა მასის მოთხოვნილებებს საკლუბო მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენების საქმეში. ამავე ნაწილში საზოგადოების თვალწინ გადაიშალა მუშის, ბურჟუის და „ცოცხალი" კომუნის მონოლოგი, სადაც აღნიშნულია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბურჟუაზიის ბრჭყალებიდან.

შემდეგ წარმოთქმულ იქნა ლექსი უმუშევრობის და პროტექციის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ დადგმულ იქნა ინსცენიროვკა „ვამპესთან".

შ. გოცირელმა წაიკითხა პატარა კუპლეტები თანამედროვე ცხოვრების საპირბოროტო საკითხებზე, როგორიც არის: კლუბის გამგეობის საქმიანობა, საკლუბო მუშაობის ჩამოყალიბება, თეატრალურ მუშაობის უარყოფა და სხვა.

შემდეგ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დადგმულ იქნა ცოცხალი გაზეთი „ხამიკიტოში" და „სკოლაში". ინსცენიროვკები ეხებიან ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

იყო აგრეთვე პატარა სურათები კოოპერაციის ცხოვრებიდან და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დამსწრე საზოგადოებაში ერთმოქმედებიანი შარჟი „პოლიტიკური მიმოხილვა", სადაც ნაჩვენებია დრომოჭმულ ეპოქის უარყოფითი ტიპები: ჩემბერლენი, ბრიანი და სხვა.

ამას გარდა, წარმოდგენილ იქნა ინსცენიროვკა ხულიგნობის ცხოვრებიდან, რასაც დღესაც არა აქვს მოღებული ბოლო.

ბოლოს დაიდგა ს. ერთაწმინდელის 1 მოქ. მხიარული „ინსცენიროვკა" „ვირ-ტაჩი", რაც საუცხოვოდ ჩატარდა.

პლეხანოვის სახელობის კლუბის ასეთი მძლავრი „ცოცხალი გაზეთის" წრის დაარსება დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. საზოგადოება გულდასმით და სიამოვნებით ისმენს და ერკვევა საკლუბო მუშაობაში.

საჭიროა უფრო ხშირად გაიმართოს ასეთი საღამოები და მოემზადოს ახალი ნომრები კლუბში დასადგმელად.

მუშკორი ჯავ.

მუშათა ქრონიკა

რკინის გზებზე

— **გამოკვლევა.** ა.-კ. რკინის გზის დამზღვევ სალარომ უკვე მოახდინა საუბნო დამზღვევ სალაროების გამოკვლევა.

— **79 საღამო.** სად. გურჯაანის მუშათა კლუბში 10 თვის განმავლობაში დაიდგა 79 საღამო-წარმოდგენა.

— **ხაშურის საუბნო პროფკავშირმა** დაადგინა რათა უბანში ჩაატაროს მომჭირნეობის კომპანია.

— **სად. თბილისში** ნოემბრის თვეში ა.-კ. გზებზე გაიგზავნა 9254 დატვირთული რონიდა.

— **სადამოები.** ა.-კ. დამზღვევ სალაროს განზრახული აქვს მოაწყოს სოცდაზღვევის შინაარსის საღამოები.

— **მეართლე.** თბილისის საუბნოს ადგილკომმა განმეორებით სთხოვა უბკავშირს, რათა საუბნოში დამატებულ იქნეს 1 მეართლე ჯამაგირების დასარიგებლად.

თუთუნის ქარხანა № 1

— **მუშაობის გეგმა.** როზა ლიუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხკომმა დაავალა საწარმოო ბიუროს, რათა შეიმუშაოს მომავალი მუშაობის გეგმა.

— **ცნობათა ბიურო.** ამავე ქარხნის კულტკომისიამ საჭიროდ სცნო წითელ კუთხესთან დაარსოს ცნობათა ბიურო.

— **ჭადრაკთა წრე.** ამავე ქარხნის კულტკომისიამ დაადგინა დაარსოს ჭადრაკთა წრე ახალგაზრდობისათვის.

— ამავე ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას, რათა მოწაფეებზე ჩამოკლებული თანრიგი იქნეს მომატებული.

სპილენძის სატკეცი ქარხანა

— **შეკეთება.** სპილენძის სატკეცი ქარხნის შენობის შეკეთება უკვე დამთავრდა.

— ამავე ქარხნის ადმინისტრაციას განზრახული აქვს ქარხნის სამუშაო მოედნის გაფართოება.

სანიტ. თეატრი ხაზზე. ა.-რკ. გზის სანიტარია 17 დეკემბერს მიემგზავრება ხაზზე წარმოდგენების დასადგმელად.

„თვითმშრომელთა" კავშირი

— **კედლის გაზეთი.** თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის (თვითმშრომელი) კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მე-5 ნომერი „ხელოსანი"-ს სახელწოდებით.

გვიხსენით ხანძარისაგან

(ზესტაფონი)

ზესტაფონი პატარა ქალაქია, სადაც აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს ცეცხლ-მქრობელი რაზმის შედგენა. მცხოვრებლებმა მრავალჯერ მიმართეს ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ჯერაც ყურადღება არ არის მიქცეული, რის გამოც მცხოვრებლები დიდ შევიწროვებას განიცდიან. მაგალითად ამ სამი დღის წინედ ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა საყვარელიძის სახლი. ასეთი შემთხვევა მრავალია და მრავალ ოჯახს აგდებს უბედურებაში. ამისათვის საჭიროა შორაპნის სამაზრო აღმასკომმა ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას და ზესტაფონში შეადგინოს ცეცხლ-მქრობელთა რაზმი, რომელშიაც მცხოვრებლები სიხარულით შეიტანენ თავიანთ წილს და ამგვარ უბედურ შემთხვევის დროს გადარჩებიან.

ვარ. გოლაძე.

შესცვალეთ მორიგეობის დრო

ბევრ პატარა სადგურებზე თითო ელმწერალია მუშაობს, რომლის მუშაობა 8-დან 14-საათამდე გრძელდება.

ყველა ცნობების გადაცემა კი სადგურებზე წარმოებს საღამოობით და ეს სამუშაო კი აწვება სადგურის მორიგეებს ტვირთად, რომელიც ამავე დროს ბილეთების მოლარეობის მოვალეობასაც ასრულებენ. კითხვა ისმება, რა საჭიროა დილაობით ელმწერლების მორიგეობა. მათ ეძლევათ ფოსტით მოსულ ელწერილის მიღებისთვის 30—40 პროც. პრემია, მაშასადამე ამ პრემიის დატვირთვის ჯილდოთი შეცვლა უფრო ხელსაყრელია, რაც წარმოებას საშუალებას მისცემს ნაწილობრივ ამუშაოს ელმწერლები. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს სამმართველომ და მათი მუშაობა ისე ჩამოაყალიბოს, რომ სადგურის მორიგენი თავისუფალნი იყვნენ წყოსზე მუშაობიდან.

დაფიქრებული.

უპატრონო ბავშვთა სამდღიური

19, 20 და 21 ნოემბერს თბილისში ჩატარდა სამდღიური „ბავშვთა მეგობრის" საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

შეკრეფილი თანხიდან 30 პროცენტი უნდა გადარიცხულიყო ლენინაკანის უსახლკაროდ დარჩენილ ბავშვთა სასარგებლოდ.

ზემოხსენებულ დღეებში მთელს თბილისში მოწყობილი იქნა ფულის შეგროვება ყულაბებით. პირველ რაიონში შეგროვილ იქნა 661 მან. 80 კაპ., მეორე რაიონში 905 მან. 18 კაპ., მესამე რაიონში—1002 მან. 62 კაპ., მეოთხე რაიონში—1403 მან. 94 კაპ. სულ ოთხივე რაიონში შეგროვილია 3.973 მანეთი 63 კაპ.

გარდა ამისა, შემოწირულების სახით შემოვიდა საზ. „მისლტორგ"-იდან 81 მან., ჯავშნიანი მატარებლის მე-7 დივიზიიდან—8 მან., ნივთების სახით—ქეთუსი ორახელაშვილიდან, ნინა ხომარიანიდან და ნატაშა ბალთაიევიდან 20 მანეთად ღირებული პატარა ბიბლიოთეკა, ძმათა კომუნიდან 20 მანეთად ღირებული საკუთარი ნაწარმოები, მერვე პოლკის ქალებისაგან ხელსაქმის ნაწარმოები 15 მანეთად ღირებული.

საქართველოს მ. გ. ინსპექციასთან „ბავშვთა მეგობრის" წრემ იშვილა ერთი უპატრონო ბავშვი, რომლის შესანახად თვიურად გაიღო 25 მან. ანუ წლიურად 300 მანეთი, ნ. ს. ვარლამოვამ იშვილა ოთხი წლის უპატრონო ბავშვი, ა. მ. პეტროსიანმა იშვილა ოთხი წლის უპატრონო ბავშვი.

სამდღიურის ჩატარებაზე დაიხარჯა 351 მან. 10 კაპ. ამგვარად წმინდა შემოსავალი უდრის 3.766 მან. 43 კაპ. ამ თანხის 30 პროცენტი ე. ი. 1129 მ. 90 კაპ. გადაეცა საქართველოს ცაკთან არსებულ ლენინაკანის ბავშვების დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს.

საქ. კომისართა საბჭოში

საპატენტო გადასახადი

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად, ქ. ფოთი გამოირიცხა იმ ქალაქთა ტიპის ადგილების სიიდან, რომელიც საპატენტო გადასახადის მხრივ მე-4 კლასს ეკუთვნიან.

ნართის შეძენა

სახკომსაბჭომ ნება მისცა სააქციო საზ-ბა „თბილისის ვაჭრობა"-ს გამგეობას შეიძინოს მოსკოვის ქალაქის ბანკისაგან მანუფაქტურისათვის საჭირო ნართი და ამ ნართიდან დამზადებული მანუფაქტურა შემოიტანს გეგმის გარეშე.

წინადადება მიეცა ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში დაწესოს აღნიშნულ მანუფაქტურის გასაყიდი ფასი, განსაზღვროს რომელ ორგანიზაციას უნდა მიენდოს მისი გასაღება და ზედამხედველობა გაუწიოს ამ მანუფაქტურის რეალიზაციას.

პენსიის დანიშვნა

წინადადება მიეცა სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატს წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ცნობა განსაკუთრებული მეცნიერ-ბოტანიკის იაკობ მედვედევის ოჯახის შესახებ. რის შემდეგ აღიძრა შუამდგომლობა ა.-კ. ცაკის წინაშე განსვენებულის მედვედევის ქვრივისათვის გაძლიერებული პენსიის დანიშვნის შესახებ.

საბინაო ამხანაგობები

ამჟამად ჩვენში ითვლება 30 საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს 1.127 წევრს. მათ შორის 637 მუშას და 490 მოსამსახურეს.

აღნიშნულ ამხანაგობათა საერთო სალარო ამჟამად 565.308 მანეთს შეადგენს. ცენტრალურ სააღმშენებლო ფონდიდან საბინაო-სააღმშენებლო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტს მიმდინარე საოპერაციო წელში გაეცა 100 ათასი მანეთი. ამას გარდა, კოოპერაციის განკარგულებაში გადაეცა აგრეთვე ა.-კ. სამეურნეო ორგანიზაციების პროცენტული ანარიცხები საბინაო მშენებლობის სასარგებლოდ, რაიც შეადგენს დაახლოებით 58.000 მანეთს.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო კოოპერაციაში ფართო მასების ჩაბმას. გასული წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი 1924—25 საოპერაციო წელთან შედარებით გაიზარდა 63 პროცენტით.

დარაბების დანომვრა

თბილისის აღმასკომის სააღრიცხვო-საინსპექტორო ქვე-განყოფილებამ დაამთავრა ქალაქში დარაბების დანომვრა ამერიკულ სისტემით. დარაბები დანომრილია უბნებით: პირველი რიცხვი აღნიშნავს უბანს, ხოლო დანარჩენი რიცხვები—დარაბების რიგის ნომერს.

ჩვენი გზატკეცილები

საქართველოს სამხედრო გზაზე

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს ცნობით, დარიალის უღელტეხილზე ამ დღეებში მოთოვა. აქვე ადგილი აქვს ნამქერებს. ამის გამო ავტო-მოძრაობა საქართველოს სამხედრო გზაზე შეწყდა. მოძრაობა განახლდება გაზაფხულზე.

თოვლსა და ნამქერს არ გაუფუჭებია შესრულებული სამუშაოები სამხედრო გზაზე. სამმართველოს ცნობით, ნაშენები იმდენათ მტკიცეა რომ გზატკეცილი უზრუნველყოფილია ყოველგვარ ცუდ ამინდებისაგან.

ოსეთის გზატკეცილზე

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს ატყობინებენ, რომ მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე მოძრაობა სრულებით არ შეფერხებულა. სამმართველოს ცნობით, გზატკეცილზე მოძრაობა ზამთრის განმავლობაში არ შესწყდება.

რკინისგზებზე

სპეციალური მატარებელი

წუხელის ღამის პირველ საათზე და 25 წუთზე ბაქოდან გამოვიდა სპეციალური მატარებელი, რომელიც ემსახურება ა.-კ. ცაკის სესიას. მატარებელი თბილისში იქნება დღეს დილის 9 საათზე და ჩამოიყვანს სესიის დელეგატებს.

კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილი სახალხო მატარებელი

გუშინ დილის 9 საათზე თბილისიდან—ბათომისაკენ წავიდა სახალხო რონოდებისაგან შედგენილი მატარებელი, რომელიც მოწყობილია ვესტინგჰაუზის და კაზანცევის მუხრუჭებით.

მატარებელი წაიყვანა მუხრუჭების კონსტრუქტორმა ამხ. კაზანცევმა.

ამ მატარებლის გაგზავნის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია პირდაპირ მოქმედ კაზანცევის სისტემის მუხრუჭის გამოყენება სახალხო მატარებლებზე.

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულ ცნობების თანახმად, მატარებელი სურამის უღელტეხილზე კარგად ჩავიდა.

გზების მუშაობა

უკანასკნელ დღეების განმავლობაში ა.-კ. რკ. გზების მუშაობა ყოველ დღე-ღამის განმავლობაში გამოიხატება—1.335 რონოდის გატარებაში, ე. ი. გეგმა გადიდებულია 120 რონოდით.

ღვინო

ამჟამად ღვინის დამზადება დასავლეთ საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს. ქუთაისის მარანმა მიმდინარე შემოდგომის განმავლობაში დაამზადა 30.000 ვედრო ღვინო. მარანი ამჟამად აწარმოებს ტკბილის შესყიდვას.

აღმოსავლეთ საქართველოში ღვინის დამზადება სუსტად სწარმოებს. ჯერჯერობით კახეთში დამზადებულია 15.000 ვედრო ღვინო.

მეცხენეობა

ა.-კავკასიაში მეცხენეობის განვითარების მიზნით საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სახელმწიფო ცხენსაშენთა ინიციატივით შედგენილია მეცხენეობის განსავითარებლად 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა.

აღნიშნულ გეგმის თანახმად, 1926 წლიდან 1931 წლამდე საქართველოს მეცხენეობისათვის საჭირო ხარჯები განსაზღვრულია 780.400 მან. მთელ ამიერ - კავკასიაში ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმის თანახმად დაიხარჯება 1.802.510 მანეთი.

აღნიშნული გეგმა და ხარჯთაღრიცხვები დასამტკიცებლად წარდგენილი ჰქონდა ა.-კ. სახ. გეგმო კომისიას, რომელმაც გეგმები უკვე მოიწონა და მიიღო.

ქრონიკა

სამალარიო ყრილობა

25 დეკემბრისათვის თბილისში მოწვეულია ა.-კ. სამალარიო ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან საბჭოთა კავშირის და ა.-კავკასიის მალარიოლოგები.

ყრილობის დროს სამალარიო დისპანსერში გაიხსნება სპეციალურ ექსპონატების გამოფენა.

სატრანსპორტო კურსები

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ თბილისში გახსნილ სატრანსპორტო კურსებზე სწავლობს 120 კაცი; აქედან 82 პროც. არიან გლეხები, 14,5 პროც. მუშები, 2,6 პროც. დანარჩენები.

სატრანსპორტო კურსების მიზანია შეამზადოს ახალგაზრდობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ხმარებას. კურსებთან მოწყობილია სპეციალური სარემონტო სახელოსნოები მომავალი ტრაქტორისტების მოსამზადებლად ამ დარგში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ხულიგნობა.** 1925—26 წელში აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების ცნობით, თბილისში ადგილი ჰქონდა 3962 სხვადასხვა ხასიათის ხულიგნურ გამოსვლას.

◆ **სამკურნალო მცენარეების სანერგე.** აღმასკომი ნავთლუღში აწყობს სამკურნალო მცენარეების სანერგეს.

◆ **გვალვის ამტანი მცენარეები.** კუკიის მინდვრებში საადგილ-მამულო განყოფილებამ ტრაქტორებით მოხნა 12 დესეტინა მიწა, სადაც ცდის სახით დათესილი იქნება გვალვის გამძლე მცენარეები.

◆ **მიწათმოწყობა** დამთავრებულია მაზრის 23 სოფელში, ამჟამად მუშაობა სწარმოებს 10 სოფელში.

განათლების კომისარიატში

◆ **მცირეწლოვან ბავშვთა დაცვის კომისიაში** ნოემბერში შემოვიდა 50 საქმე, რომლიდანაც ბრალი ედება 55 ბავშვს სხვადასხვა ბოროტმოქმედების ჩადენაში. მათ შორის 7 ქალია.

◆ **პოლიტგანყოფილების მთავარ მმართველობამ** გადასწყვიტა თბილისში, მაზრებში და ოლქებში მოაწყოს საპოლიტგანმანათლებლო კომიტეტები.

◆ **მცხეთის 7 წლედი** გადაკეთდა სახარატო-საზეინკლო სკოლად.

◆ **ახალი პროფსკოლები.** წელს თბილისში გაიხსნა ორი ახალი პროფსკოლა: ქართული და რუსული.

სხვადასხვა

◆ **„სოფლის კომუნისტი"**—იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" № 11—12. ჟურნალში მოთავსებული იქნება წერილები ამხ. მამია ორახელაშვილის, მ. კახიანის, გ. მუშიშვილის, ბ. საყვარელიძის და სხვ. ჟურნალი უმთავრესად მიძღვნილი იქნება მე-15 კონფერენციისადმი.

◆ **მეთევზეობა.** მიწათმოქმედების კომისარიატი იჯარით სცემს მტკვარში, არაგვში და ხრამში მეთევზეობის საქმეს.

◆ **ყრილობა.** 27 იანვარს თბილისში მოწვეულია სრ. საქართველოს ინჟინერ-ტეხნიკოსთა ყრილობა.

◆ **დემობილიზაციის წესით გაშვებული** უფროსი შემადგენლობის წევრები ვალდებულნი არიან დღეს გამოცხადდენ მთავარ შტაბში. საიდანაც გაიგზავნებიან შესაფერ სამოქალაქო სამსახურში. დღეს უკანასკნელი დღეა გამოცხადების.

◆ **საქ. ტეხნიკურ საზოგადოებაში** (კამოს ქ.) კვირას ინჟ. კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას „სახ. მეურნეობის განვითარების გზები".

„ტეხნიკა და ცხოვრება"

გამოვიდა ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრების" მორიგი მე-14 და მე-15 ნომერი შემდეგი შინაარსით:

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე—თეთრი ნახშირის ტეხნიკის თანამედროვე განვითარება, **ინჟ. ი. ყიფშიძე**—გურიის ნავთის საკითხი, **ინჟ. დ. ზერეკაშვილი**—აზოტი, **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—ქიმ. მრეწველ. მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში (ტყავის წარმოება და მთრიმლავი მასალები), **ტ. სპონქველი**—საქართველოს ნავთსადგურები და სანაოსნო მდინარეები, **ინჟ. კ. დოპროვოლსკი**—ხემქიდა, **ს. გოქსაძე**—კავკასიური ტიპის ფიჩხ-ქვის ნაშენები, **ა. გაბიჩვაძე**—მანქანების მნიშვნელობა ახალი ღვინის დამუშავება-ჩამოსხმაში, **ავ. კაკაბაძე**—პოპულიარული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის საკითხი, **ქ. შალამბერიძე**—ტრიგონომეტრიული ქსელი მიწათმოწყობაზე, **ინჟ. ბ. ჭ-ძე**—პელტონის ბორბლები ცვალებად დაწნევისათვის, **ინჟ. კ-ძე**—დავიდ გროვეს ფირმის ზეთის საექსტრაქციო აპარატი, პროფესიონალური ცხოვრება, საქ. ინჟ.-ტეხნ. ცენტრ. ბიუროს მოქმედების წლიური ანგარიში, ტეხნიკა ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, ტერმინოლოგია.

შემთხვევები

◆ **ფანჯრების გამომტვრევის** საშუალებით ჰრაფის ქუჩა № 12 ერივანდ მამულაიშვილის ბინიდან მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

◆ **ბოქლომის მოგლეჯით** 13 დეკ. გაღებული და გაქურდული იქნა ელისაბედ როხლინის ბინა, (პასკევიჩის ქუჩა № 91) საიდანაც წაღებულია ერთი რკინის საწოლი მისი მორთულობით და სხვადასხვა ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით შტაბის ქუჩა № 2, 13 დეკ. ვიკენტი ნადარეიშვილის ბინიდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ **წითელი არმიისა და ფლოტის კლუბის** საბილიარდო ოთახში კონსტანტინე აგეევს მოჰპარეს 250 მანეთი.

◆ **ზაჰესკომის სამმართველოს** შენობიდან მოიპარეს ინჟენერ ფისუნის ნივთები.

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით ბებუთოვის ქუჩა № 40 აირაპეტ აკოპოვის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ **ფეხსაცმელების სახელოსნოდან,** რომელიც მდებარეობს გრიბოედოვის ქუჩა № 12 და ეკუთვნის მოქ. გასპარიანცს, 13 დეკ. მოიპარეს შეკერილი ფეხსაცმელები და ერთი ხალიჩა.

◆ **ჯიბგირობა.** 13 დეკ. თათრის მოედანზე ასტლიკა თათუშევას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე. ჯიბგირი გურგენ არუთინოვი იქვე დაპატიმრეს.

◆ **დახურულ ბაზარში** ამავე დღეს სოლომონ ჭელიძეს ამოართვეს საფულე. ჯიბგირი არმიშ ყაზმაზოვი შეიპყრეს.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით გრიბოედოვის ქუჩა № 21 ოლღა კანდელაკის ბინიდან მოიპარეს 300 მანეთის ნივთები.

◆ **იმავე საშუალებით** ანდრიას ქუჩა № 40 ვარლამ მუსერიძის და ალექსანდრე კობახიძის ბინიდან მოიპარეს 150 მ. ნივთები და მაუზერი.

ახალსენაკი

— **მკვლელობა.** სოფ. თამაკონში ბოროტმოქმედებმა მოკლეს მაკარ სულუხია.

— **ქურდობა.** მორგებული გასაღებით დ. აბაშაში გაღებულ იქნა ლ. ციმაიას ტყავეულობის მაღაზია, საიდანაც წაიღეს ტყავეულობა და 14 მან. ფულად.

განათლება

მეფრინველეობის კურსები

15 დეკემბერს განათლების კომისარიატი თბილისში ხსნის მეფრინველეობის ათ დღიან კურსებს ტეხნიკუმების და სამეურნეო სკოლების აგრონომ მასწავლებელთა მეფრინველეობის შესასწავლად. კურსების დამთავრების შემდეგ, ჯიშიანი ქათმები გაუნაწილდება ამავე ტეხნიკუმებს და სამეურნეო სკოლებს.

მეთოდიური ბიურო

ახლო ხანში პოლიტგანათლების მთავარ მმართველობასთან დაარსდება მეთოდიური ბიურო, სადაც ლექციებს წაიკითხავენ გამოცდილი პედაგოგები, ა.-კ. უნივერსიტეტის და ცენტრ. პარტიულ სკოლების ლექტორები.

ეროვნულ უმცირესობათა

განყოფილების გამგე ამხ. ნ. მახარაძე განათლების კომისარიატმა მიავლინა ბორჩალოს მაზრაში ეროვნულ უმცირესობათა სკოლების დასათვალიერებლად.

დახმარება ტეხნიკუმებს

საქ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებული სამრეწველო ეკონომიური განათლების დამხმარე კომიტეტი შეუდგა დახმარებათა გაცემას სამრეწველო ეკონომიურ ტეხნიკუმებზე. აღნიშნულ ტეხნიკუმებს ეძლევათ ფულადი დახმარება სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღების შესაძენათ. ჯერ-ჯერობით კომიტეტმა მისცა თბილისის მე-3 ტეხნიკუმს —300 მანეთი, გორის ტეხნიკუმს—200 მანეთი და კოოპერატიულ კურსებს — 1000 მანეთი.

დანარჩენ ტეხნიკუმებს დახმარება მიეცემა მათგან სათანადო ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენის შემდეგ.

ხელოვნება

◆ **თარხნიშვილების კონცერტი.** ხუთშაბათს, 16 დეკემბერს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება თარხნიშვილების კონცერტი.

◆ **„ოტელო".** დღეს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ოტელო".

◆ **„მაზეპა".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „მაზეპა". დადგმა ეხვენალდის.

◆ **„დეზერტირკა".** მუშათა ახალ კლუბში რუსთაველის თეატრის დასის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება: „დეზერტირკა".

◆ **დ. ანდღულაძის გამოსვლა.** ხუთშაბათს 16 დეკემბერს მომღერალი ანდღულაძე იმღერებს ოპერა „აიდა"-ში.

— **ახალი წიგნი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა პროლეტარულ პოეტის იაკინთე ლისაშვილის (ხომრიკი) ლექსებისა და პოემების კრებული. გამოცემა სახელგამის.

◆ **სომხეთის კონსერვატორიის** 5 წლის თავის აღსანიშნავად 22 დეკემბერს ერევანში გაიმართება დიდი მასიური კონცერტი.

◆ **„შაირ ენში"** 20 დეკემბერს მხატვარი შერბაჩიანი წაიკითხავს მოხსენებას: „სომეხი ხატვრები მე-17 საუკუნეში".

— **ხელოვანთა სახახლეში** ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქართველ მხატვართა საზოგადო კრება.

სასამართლო

ვახტანგ რაზიკაშვილის საქმე

ამა წლის 5 მაისს, ვახტანგ ვაჟას—იგივე ლუკას ძე რაზიკაშვილს სოფ. ჩარგალში ესტუმრა ორი მეგობარი: **გიორგი პირქუშაშვილი და ილიკო თიბილაშვილი.**

საუზმის შემდეგ პირქუშაშვილს უთქვამს ვახტანგის დედისთვის: „შენ აქ რა გინდა, ვახტანგის საფლავს უნდა თხრიდეო". ვინაიდან პირქუშაშვილი ნასვამი ყოფილა, ამიტომ ვახტანგს მისთვის პასუხი არ გაუცია.

ღამით სტუმრები წავიდნენ.

ამის შემდეგ გიორგისა და ვახტანგს შორის შავმა კატამ გაიარა. უკანასკნელ ხანებში მეგობრებმა კიდევაც შესწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა.

ამ გარემოებას ზედ დაერთო ისიც, რომ ორთავეს ერთი ქალი შეუყვარდათ. ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირად ჰქონდა უსიამოვნებას ადგილი.

ვახტანგმა გადასწყვიტა მოეკლა მისი შეურაცხმყოფელი პირქუშაშვილი.

არ გასულა დიდი ხანი, რომ რაზიკაშვილმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

ერთ დღეს, როცა პირქუშაშვილი და თიბილაშვილი ცხენებზე ისხდნენ და სოფ. მაღაროსკარში მიდიოდნენ—„მავეროლის სალებთან", მათ დახვდა ვახტანგ რაზიკაშვილი. ის ჯერ მიესალმა მათ, შემდეგ კი ოთხჯერ ესროლა „ნაგანის" რევოლვერი პირქუშაშვილს. ეს უკანასკნელი მძიმე დაჭრილი ვადმოვარდა ცხენიდან.

რაზიკაშვილმა დაავალა თიბილაშვილს აეყარა პირქუშაშვილისათვის იარაღი, მაგრამ თიბილაშვილმა უარი უთხრა. რაზიკაშვილმა თითონ აართვა იარაღი დაჭრილს და რამოდენიმეჯერ თავში ჩასცა ხანჯალი. პირქუშაშვილი იქვე გარდაიცვალა.

რაზიკაშვილი შეჯდა პირქუშაშვილის ცხენზე და გამოცხადდა თიანეთის უბნის სახალხო გამომძიებელთან და უამბო მომხდარი უბედურების შესახებ.

რაზიკაშვილის საქმე ამა წლის 26 სექტემბერს გაარჩია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ დუშეთში.

სასამართლომ სცნო, რომ რაზიკაშვილის მიერ მკვლელობა ჩადენილია თავდაცვის ნიადაგზე და ამიტომ საჭიროდ არ სცნო მასზე სოციალური დაცვის ღონისძიებების შეფარდება.

პროკურორმა საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ საქმე გასარჩევად გადასცა ამავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

რაზიკაშვილის საქმე ამ ახლო ხანში გაირჩევა დუშეთში.

ტერ-ტანისლიანცის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ხუციშვილის და ჯიქიას მონაწილეობით გაირჩა შავარშ ტერ-ტანისლიანცის საქმე.

ტანისლიანცს ბრალდებოდა ნ. გ—ძის გაუპატიურების ცდა.

სასამართლომ ტანისლიანცი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუფარდა პირობით.

უძველესი ქალაქი

აზერბეიჯანში

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ცნობით. აზ. სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა შარიფოვმა მოახდინა არქეოლოგიური გათხრა ქალაქ კაბალუს, რომელიც მდებარეობს 15 ვერსის დაშორებით კავკასიონის მთაგრეხილიდან. თვით ქალაქი აშენებული ყოფილა გორაკზე, რომელსაც ორი მხრით ჩამოუდის მთის პატარა მდინარეები. სამხრეთ ნაწილში მდინარეები ერთმანეთს უერთდებიან. გორაკის სამხრეთით სჩანან აგურის კედლები, კოშკის ნანგრევები და ოდესღაც არსებული ქალაქის ალაყაფის კარი, როგორც ლეგენდა ამბობს, ხეობის ვიწრო ადგილში ძველად აგებული ყოფილა საგუბარი, რომელიც აჩერებდა წყლების მდინარებას. არქეოლოგიური გათხრებიდან გამოირკვა, რომ გორაკს, სადაც წინად აშენებული ყოფილა ქალაქი, თანდათან რეცხს და ანგრევს წყალი და თან მიაქვს მეტად მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ქალაქის კედლის კოშკის და ალაყაფის დარჩენილი ნაწილები ან ინგრევა და უკვალოდ იკარგება, ან სამშენებლო მასალად ხმარობს ადგილობრივი მოსახლეობა.

მდინარეებისაგან წარმოებული ნგრევის საშუალებით უკვე გამოჩნდენ ძველი ქალაქის კულტურული ფენები. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე სხვადასხვა ნაშთები, განსაკუთრებით კერამიკული ჭურჭლეულობის ნიმუშები, რომელიც მე-12 და მე-13 საუკუნის ნაშთებს უნდა ეკუთვნოდნენ. როგორც სჩანს ქალაქი მდებარეობდა კასპიისა და შავი ზღვის შემაერთებელ სავაჭრო გზაზე და უახლოესი კავშირი ჰქონდა სპარსეთთან, საიდანაც იგი [illegible] იღებდა, სხვათა შორის, კერამიკულ ნაწარმოებს. 1,5—2 მეტრ სიღრმეზე მდებარე ჭურჭლეულობის ნამსხვრევები, ფილები, ბადროების, შუშების ნაწილები, ნაცარი, ნახშირი, კედლის ქვების გადამწვარი ნაწილები მოწმობენ, რომ ქალაქი ოდესღაც ცეცხლითა და მახვილით [illegible]. შემდეგი გათხრები ალბად აღმოაჩენენ უფრო ძვირფას მასალებს ამ უძველესი ქალაქის შესახებ.

აღმოჩენილი მასალების და ისტორიული წყაროების მიხედვით ამხ. შარიფოვს გამოაქვს დასკვნა, რომ ქალაქი კაბალა დაღუპული უნდა ყოფილიყო მე-14 საუკუნეში თემურლენგის შემოსევის დროს. სწორედ ამ ხანებში თემურლენგი ებრძოდა ტახტამიშხანს. დაიპყრო სპარსეთი. შემდეგ კვალდაკვალ მისდია მას, ყარისის გზით შეესია საქართველოს და ქაბალუს, გაანადგურა ის ადგილები და საზამთროთ დაბანაკდა ყარაბაღში.

ლითონები

ამიერ-კავკასიაში ლითონის ნაწარმოების შემოზიდვის საქმე დაკისრებული აქვს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს, რომელსაც წელს ეთმობა 165 ათასი მანეთის ლითონის ნაწარმოები, რაც არ აკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის მთელ მოთხოვნილებას ლითონზე. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ამ.-კავკასიისათვის წელს გაცემული იქნეს 350.000 მანეთის ლითონის ნაწარმოები.

ნარევი

მონების ფასი

ინდოეთის ერთ-ერთ სამთავროში — ნეპალში, სადაც სამ მილიონზე მეტი მცხოვრებია, ამ რამდენიმე ხნის წინათ გააუქმეს მონობა: განთავისუფლებულ იქნა 57.889 მონა.

მონათმფლობელების ნაწილი დასთანხმდა უსასყიდლოთ გაენთავისუფლებია მონები, მონების ნაწილმა თვითონ გადაუხადა თავიანთ პატრონებს გამოსასყიდი თანხა, მონების დიდი ნაწილი კი გამოსყიდულ იქნა მთავრობის მიერ, რაზეც დაიხარჯა 3.670.000 რუპია (რუპია დაახლოვებით ერთ მანეთს უდრის). მონების გამოსასყიდი ფასათ დაწესებულ იქნა: ვაჟისათვის—სამ წლამდე — 15 რუპია, იმავე ჰასაკის ქალისათვის—20 რუპია; 13—40 წლის ქალისათვის — 100 რუპია, ამავე ჰასაკის მამაკაცისათვის — 45 რუპია. 40—50 წლის ქალისათვის — 60 რუპია, ამავე ჰასაკის მამაკაცისათვის —30 რუპია. უფრო მოხუცი მონებისათვის — ქალში — 41 რუპია, მამაკაცისათვის — 21 რუპია.

ფეხით დედამიწის გარშემო

უკანასკნელ წლებში ძლიერ გახშირდა ფეხით დედამიწის გარშემო შემოვლის ცდები. ამ მხრივ უსათუოდ ყურადღების ღირსია ავსტრიელ სპორტსმენ გეისლერის მოგზაურობა.

გეისლერმა 4-ნახევ. წელიწადში უნდა გაიაროს 50.000 კილომეტრამდე. ამჟამად მას უკვე გავლილი აქვს გზის დიდი ნაწილი. მისი მოგზაურობა სავსეა ტრაგი-კომიკური შემთხვევებით, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში.

თავის სამშობლო ქალაქ ვენიდან გეისლერი გამოვიდა 1923 წ. ნოემბერში ერთი ამხანაგის თანხლებით. გაიარა ავსტრია, [illegible] და შემდეგ გემით ჩავიდა კაპშტადში (სამხრეთ-აფრიკა). აქ მან დაკარგა თავისი ამხანაგი, რომელიც ავად გახდა ტროპიკული მალარიით და გარდაიცვალა. გზას განაგრძობს მარტო. შემდეგ უერთდება ინგლისის სამეცნიერო ექსპედიციას, რომელთანაც ერთად სახარის უდაბნოთი გაიარა მთელი აფრიკა მაროკომდი, სადაც ტყვედ ჩავარდა რიფებს.

სამი კვირის პატიმრობის შემდეგ გეისლერი გაანთავისუფლა თვით აბდ-ელ-ქერიმმა. გეისლერი განაგრძობს გზას და ხვდება საფრანგეთის ჯარებს ტერიტორიაზე, სადაც მას ატყვევებენ, როგორც რიფების „ჯაშუშს". მას წინადადება მისცეს შესულიყო უცხოელთა ლეგიონში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას, როგორც „ჯაშუშს", დახვრეტით ემუქრებოდნენ. გეისლერი იძულებული გახდა შესულიყო საჯარისო სამსახურში და მხოლოდ 1-ნახევ. თვის შემდეგ მოახერხა ავსტრიის კონსულმა [illegible] გამოკლევა და მისი განთავისუფლება.

მაგრამ გაბედულ მოგზაურს ბედი არ სწყალობს. იგი კვლავ ტყვედ ვარდება, ამ შემთხვევაში, დრუზებთან, რომლებმაც მას, როგორც ფრანგების „ჯაშუშს" დახვრეტა გადაუწყვიტეს, მაგრამ ღამით გეისლერმა მოახერხა გაპარვა და ისპანიური გემით ჩავიდა ლისაბონში. ამის შემდეგ გეისლერმა გაიარა ლისაბონი, პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, ესტონეთი და ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე წლის 12 აგვისტოს ის მოსკოვში იყო.

მოსკოვიდან მოგზაური წავიდა სპარსეთისაკენ, იქიდან — ინდოეთში, ავსტრალიაში, იაპონიაში — ალიასკაზე.

1928 წ. 28 ივლისს დილის სრულ 11 საათზე მოგზაური უნდა იყოს თავის ბინაზე ვენაში. თუ დანიშნულ ვადას არ გადააცილა, გეისლერს მიეცემა ორმაგი ჯილდო: პრემია 5.000 დოლარი და მუდმივი პენსია ტურისტების საერთაშორისო საზოგადოებისაგან.

ფეხბურთი

როგორ ჩატარდება პირველობის გათამაშება

შემოდგომის სეზონის პირველობის გათამაშებაში, რომელიც წასულ კვირას დაიწყო, მონაწილეობას იღებს 6 გუნდი პირველი კატეგორიიდან და 4 მეორე კატეგორიიდან.

პირველ კატეგორიაში შედიან: „დინამო", „არსრაიონი", „წ. ა. ფ. ს". „დურუჯი" (რომელმაც აიღო პროფკავშირების პირველობა); „პოლიტეხნიკუმი" და „სინათლე" (რომელმაც აიღო პირველობა რკინის გზის გუნდებს შორის).

მეორე კატეგორიიდან ითამაშებენ—„დინამო" 2, „არსრაიონი" 2, „რკინისგზა" და „მესტრანი" 1.

პირველი კატეგორიის გუნდებს შორის ჩატარებული იქნება 15 კალენდარული შეჯიბრი: „პოლიტეხნიკუმი"—„წ. ა. ფ. ს.", „დინამო",—„არსრაიონი", „დურუჯი"—„სინათლე", „პოლიტეხნიკუმი"—„არსრაიონი", „წ. ა. ფ. ს."—„დურუჯი", „დინამო", „სინათლე", „პოლიტეხნიკუმი"—„დურუჯი", „არსრაიონი"—„სინათლე", „წ. ა. ფ. ს."—„დინამო", „პოლიტეხნიკუმი"—„სინათლე", „დინამო"—„დურუჯი, „არსრაიონი"—„წ. ა. ფ. ს.", „პოლიტეხნიკუმი"—„დინამო", „სინათლე"—„წ. ა. ფ. ს." და „არსრაიონი„—„დურუჯი".

შეჯიბრები გაიმართება აქ ჩამოთვლილი რიგით. კვირაში ჩატარებული იქნება სამი შეჯიბრი:

მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრები გაიმართება შემდეგი რიგით: „რკინისგზა"—„დინამო" 2, „მესტრანი 1—„არსრაიონი" 2, „რკინისგზა"—„მესტრანი" 1. „დინამო"—„არსრაიონი", „რკინისგზა"—„არსრაიონი" და „მესტრანი"—„დინამო".

პარტიული ქრონიკა

დღეს 15 დეკემბერს, დილის 10 საათზე შედგება საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

თბილ. კომიტ. პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების აგიტპროპთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო ა. წ. 18 დეკემბერს, გადადებულია. მოწვევის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

— 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიკომის შენობაში შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის ახალი შემადგენლობის პლენუმის სხდომა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მესამე რაიკომის შენობაში შესდგება ორგანიზატორ-ქალთა თათბირი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ევოროვთან: 1) რაჭველიშვილი ერასტი—16 უჯრ., 2) ბაღდასაროვი ლევაი—უჯრ. 55, 3) დოლუხანოვი მიხეილი—უჯრ. № 2, 4) ივანოვი ივანე—უჯრ. 41, 5) მებონია მიხეილ—უჯრ. 49, 6) გლუიშვილი ვასილი—უჯრ. 17, 7) გაკეევი გაბრიელ—უჯრ. 17, 8) რეპკო პეტრი, 9) [illegible], 10) წულაია დავით—უჯრ. № 44, 11) ბეჟახოვი სეოსო ვ.—უჯრ. 20, 12) ივანოვი ანდრია გრ.—უჯრ. 20, 13) კაგანოვსკი დავით—უჯრ. 20, 14) ლოზინსკი ალექსი—უჯრ. 20, 15) როჟკოვი იაკობ—უჯრ. 20.

ღრმად დამწუხრებული შვილები სიკო მეუღლე ანათი, ივანე და მარიამი სიდამონ-ერისთავები, სიძე ქ. თ. ექიმი გერსამია და შვილიშვილები ირინა, გულბაათი და გულნარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი დედა

ნატალია ივანეს ასული სიდამონ-ერისთავისა

პანაშვიდი ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, ცხედრის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან დღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

928 2—1

დედა მინადორა, ძმები იპო იტე, იოველი და ქრისტეფორე, რძლები მარიამი და ელენე ქუთათელაძეები უღრმეს მადლობას გამოსთქვამენ ყველას მიმართ, ვინც მათ პირადათ, ან დეპეშების და წერილების საშუალებით თანაგრძნობა გამოუცხადა

ბაბო ქუთათელაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. 931

„კომუნისტი"

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—90	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებებს ორგანიზაციებსა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30	7 „	8—80
2 „	2—60	8 „	10—00
3 „	3—80	9 „	11—30
4 „	5—00	10 „	12—60
5 „	6—25	11 „	13—80
6 „	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 „
3 „	4 „	1 წლით	16 „

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში - მთავარ კანტორაში, რუსთველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. შიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს" წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, ხვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი - განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შ. შნიაშვილი ესტატე
18. ოჩამჩირე—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
19. ხად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა" მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფაჩულიშვილთან.

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

პირველ იანვრიდან იწყებს გამოსვლას განათლების სახკომისარიატის ხელოვნების განყოფილების ორკვირეული ჟურნალი

„საბჭოთა ხელოვნება"

ჟურნალში მოთავსდება მასალები ხელოვნების ყველა დარგიდან: კინო, თეატრი. მხატვრობა, მუსიკა და კრიტიკა.

ჟურნალი შეიცავს მთელ რიგ განყოფილებებს, რომელთაც ჰყავთ თავისი რედაქტორები: კინო-განყოფილების რედაქტორი სერგო ამაღლობელი, სათეატრო განყოფილების—გ. ბუხნიკაშვილი, სახვითი ხელოვნების - ვ. კოტეტიშვილი, სამუსიკო — ლ. ქუთათელაძე, პროვინციის მასალების შ. დადიანი, პროფ-მოძრაობის—ს. ქურიძე, კრიტიკა — შ. დუდუჩავა, და ბიბლიოგრაფიის — ნ. მიწიშვილი.

სარედაქციო კოლეგია: 1. ს. ამაღლობელი, 2. გ. ბუხნიკაშვილი, 3. ნ. მიწიშვილი, 4. ს. ქურიძე, 5. შ. დუდუჩავა.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. დუდუჩავა
მდივანი ს. ჩიქოვანი

ჟურნალში თანამშრომლობენ ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ძალები. ჟურნალს ჰყავს საკუთარი თანამშრომელნი მთელს კავშირში და აგრეთვე უცხოეთშიც.

რედაქციის დროებითი მისამართი: საოპერო თეატრი, ხელოვნების განყოფილება.

„საბჭოთა ხელოვნების" რედაქცია ბ. 350

თბილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილება № 107

13 დეკემბერი 1926 წელი.

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მოსახლეობის აღწერის შესახებ (იხ. ა. წ. 15 დეკემბრის ბრძანება 69 § 1, 8 და 9) თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. თბილისსა და თბილისის მაზრაში მცხოვრები ყოველი მოქალაქე ვალდებულია მასთან მისულ აღმწერელს მისცეს სრული ცნობები იმ კითხვათა ფარგლებში, რომლებიც მოთავსებულია აღწერის საპირადო საოჯახო და სასახლკარო ბარათებში.

2. ღამის გასათევ ბინათა პატრონებს ევალებათ აღმწერლები შეუშვან ბინაში 16-დან 17 დეკემბრის ღამის თორმეტ (12) საათიდან.

3. დახურულ დაწესებულებებში (გამასწორებელ სახლებში, საავადმყოფოებში და სხვა), თანახმად საკავშირო სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გამოცემული დებულების მე-51 მუხლისა, აღწერა ხდება განსაკუთრებული წესით. ამ დაწესებულებათა უფროსნი ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება აღწერის ხელმძღვანელებს.

4. სახლის მმართველობანი, დაწესებულებანი და ოჯახის უფროსნი ვალდებულნი არიან წინდაწინ დაამზადონ აღწერისათვის საჭირო ყოველგვარი ცნობები, მაგ. სახლების წიგნაკები ცნობები მფლობელობის საერთო სივრცისა, ცალკე ბინების სივრცისა, ბინათა ქირისა და სხვ. შესახებ.

5. სასტიკათ ევალება ყოველ მოქალაქეს ხელი შეუწყონ აღმწერელთ და მოეპყრან ამ უკანასკნელთ ზრდილობიანათ.

6. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში ან მის შეუსრულებლობაში დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებით 50 მანეთამდე.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მაგიერი **მეხი.**
სტატისტიკური განყოფილების
გამგე **შ. გოგაჩთელი.**
ბ. 346 2—1 პრეზიდიუმის მდივანი **ცქიტიშვილი.**

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ბ. 349

ს.მ.უ.ს. ცენტრალური ქიმიო-ტეხნიკური

ლაბორატორია

პირველი იანვრიდან 1927 წ. გაიხსნება

ს. მ. უ. ს. ცენტრალური

ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია

ლაბორატორიაში არის განყოფილებანი—ანალიტიური, ტეხნიკური და პრეპარატიული

ლაბორატორია ღებულობს ყოველგვარ ანალიზებს, იძლევა დასკვნას ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსების შესახებ, ამუშავებს მინერალურ და მცენარეულ ნედლი მასალების გადამუშავების მიზანშეწონილ საშუალებებს, ადგენს ახალ ქიმიურ წარმოებათა გეგმარებს.

ლაბორატორია ღებულობს შეკვეთებს სახელმწიფო დაწესებულებათაგან და კერძო პირებისაგან.

ბ. 347 6—1. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 17.

წალენჯიხის სასამართლოს აღმასრულებელი აცხადებს:

26 დეკემბერს 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ს. ფახულანში, კოოპერატივ „ალორძინება"-ს ქონებაზე, სინდიკატის დასაკმაყოფილებლათ. შეფასება 394 მ. 14 კ.
923 სასამართლ. აღმასრულებელი თ. ეფსია.

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუთჩევი

აცხადებს, რომ 18 დეკემბერს 12 საათზე, პრიუტის ქუჩაზე № 42 გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** მარიამ მერაბოვის დაუმთავრებელი ერთ სართულიანი სახლი უსახურავო, მარტო კედლებია აგურისა, არის 3 ოთახი. აღნიშნული სახლი შეფასებულია 500 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია კომუნალურ ბანკის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ, საერთო ჯამით 1953 მ. 80 კ. რაოდენობით. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საწინდარი, შეფასებულ ჯამის 10 პროც. ე. ი. 50 მანეთი. 930

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 18 დეკემბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 27 მილიციის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი იაშკილის მოძრავ ქონებას: ერთ სამოვარს, ერთ კედლის სარკეს, ერთ ხელის საკერ მანქანას, ერთ [illegible] ჭურჭლის შკაფს და სხვ. შეფასებულს 95 მან თად, თამარა [illegible] ფარიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლოსაგან 11 ნოემბ. 1926 წ. თარიღით, № 30872 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 935

ქ. ქუთაისის 1 უბნის ს.ხ.სასამართ. აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში პასაჟში დუქანი № 9 დანიშნულია 21 დეკემბერს 192[illegible] წ. დილით 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ივანე ხაინდრავას ქონების: სარკეების, სტაქნების, ჩამადნების, საპნების, პუდრების, ჩულქების, ლანძღების, პირსახოცების, შკაფების და სხვების, შეფასებულის სულ 469 მან. და 80 კაპ.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ივლიტა შვილდაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ბ. 345

ქალაქ ლაგოდეხის და გურჯაანის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მიხეილ დავ. როსტიაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 19 დეკემბერს, დღის 11 საათზე ქალ. ლაგოდეხში ყოფილი საპნის ქარხანასთან „წითელ განთიადი"-ის შენობასთან **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის „კრასნაია-ზარია"-ს საპნის ქარხნის მოწყობილებას, რომლის პატრონები არიან: 1) ალექსანდრე ბელსკი, 2) დიმიტრი პეტრიშვილი და 3) არმენაკ ლევონიანცი. გაიყიდება შემდეგი ინვენტარი: 1) დიდი და პატარა ქვაბები ქისტების 100 ფ., 2) ამ ზომის ყალიბები და ფორმები, 3) საპნის პრესი, 4) საპნის საჭრელი შტამპი; 5) ორი ხის დიდრონი კასრები და სხვა წვრილმანი. ერთი, საბარგო ავტომობილი 32 × 60 ძალის „პოკარტის" მარკის № 74440. ყველა ეს შეფასებულია სულ სამას თოთხმეტი მანეთათ 314 მან. „ზაკვნოსტორგის" და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გაცემული აღმასრულებელი ფურცლების: 1) 23 მარტი 1926 წ. № 22727 ათას ექვსას სამოცი მან (1660 მან.) მეორე 30 აგვ. 1926 წ. № 28704 ოთხი ათას ხუთასი მანეთი (4.500 მან.) თავის % % ვალის გადახდას. ბ. 351

ამ დღეებში საუკეთესო
კინო-თეატრებში
საქ. სახკინმრეწვის
ახალი სურათი

„სავურ საფლავი"

რეჟისორი ივ. პერესტიანი.
ოპერატორი ა. დიღმელოვი.
ბ. 348

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 15 დეკ. პირველი აბონემენტის მეხუთე სპექტაკლი

მაზეპა მონაწილეობენ: სპრიშევსკაია, სკიბიცკაია, კანცბურგი, გორელოვი, მესნიაევი.

აბონემენტის საფასურის შეტანის უკანასკნელი ვადა.
დარჩენილი ბილეთები იყიდება.

ხუთშაბათს. 16 დეკემბერს, **აიდა**

ბ. 342

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
0—12 ბ. 287

პირველათ თბილისში. მხატვრული ფილმა
„შეკვეცილი ფრთები"
ამ დღეებში „სიყვარულის სიმღერები" კოვანკოს მონაწილეობით.

პირველათ ეკრანზე განსაკუთრებული მხატვრული ფილმა
„უკანასკნელი განსაცდელი"
მილტონ სილსის მონაწილეობით,

პირველათ თბილისში კინო-შედევრი
„ჰო ან არა"
ლუიზი ვილსონის მონაწილეობით.

მომხიბლველი ფრანგული კინო-რომანი
„მკვლელის დაღი" 1-ლი და მე-2 სერია ერთათ.

ყველა კინოებში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ა. დ. შახბაზიან

ქალთა, საშეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

დაკარგვი თბ. სახელ. უნივერსიტ. პირადობის მოწმობა № 452, გრიგოლ ვარდოსანიძის სახელზე, ჩ. გ. 932

დაკარგვი მოწმობა, გაცემული საზინაო ამხანაგობის მიერ № 113 (კრილოვის ქუჩა № 5) ალექსანდრე გოკიელის სახელზე, ჩ. გ. 929

დაკარგვი მეტრიკული ამონაწერი № 489, ბორის ნიკოლოზის-ძე კარამოსკოს სახელზე, ჩ. გ. 927

დაკარგვი ტრამვაის წიგნაკი გაცემული ადმინგამის მიერ და კავშირის წიგნაკი ალექსანდრე ალექსის-ძე მიქელაძეს სახელზე, ჩ. გ. 924

დაკარგვი ახალი მუშათა კლუბის წიგნაკი № 263, გიორგი კუსრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 934

დაკარგვი დამზღვევი კასის წიგნაკი № 3018 და კავშირის წიგნაკი № 4492 ლენტო ალექსის-ძე მახარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 933

დაკარგვი პირადობის მოწმობა, გაცემული სამკურნალო ქვე-განყოფილების სამმართველოდან და მედსანშრომის კავშირის წიგნაკი ექიმი შალვა ივანეს-ძე თაქთაქიშვილის სახელზე, ჩ. გ. 926

დაკარგვი მეტრიკული ამონაწერი ივანე ბიჭიას-ძე გამყრელიძის სახელზე, ჩ. გ. 925

დაკარგვი მიწა-ტყის კავშირის საწევრო წიგნაკი № 6310—იოსებ ქურდიანის სახელზე, ჩ. გ. 922

დაკარგვი კომკავშირის მოწმობა ნოე ჭანჭალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 916

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.